

ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკა. № 3.

03. 31 რ თ ა გ ა გ ა

# შიო ეჩვითა ენი

გავუთა სამყარო

მთავრიშვილის და ამხ.წიგ. მაღ. გამოცემა.

ძუთაბე

ი. ხელაძის სტამბა

1917

## მიმდინარე და გავუპირავა სამართლი

მშვიათს მოვლენას და ბეღნიერს გამონაკლისს შეადგენს რომელისამე ერის ლიტერატურაში ისეთის- რჩეულ მხატვრის მოვლენა, რომელიც განვეძას და- უჯილდოვებია ადამიანის ზღვა გულის, უძირო გრძნობის და უსაზღვრო ფიქრ-ზრახვის გაგება-გა- მოცნობის და ახსნის ნიჭით და უნარით. ჩვენ ვი- ცით, რომ დიდის შრომის და მეცადინეობის წყა- ლობით რჩეულს მეცნიერს შეუძლიან შეისწავლოს ცა და დედამიწა და ყოველივე ის, რაც მათშია. მათემათიკურის სისწორით ის იკვლევს და აღნიშ- ნავს წელიწადს, თვეს, დღეს და წუთსაც მზის დაბნე- ლების ან რომელისამე უცნობის პლანეტის გამოჩე- ნისას; ანგარიშობს თუ რამდენ ხანში აღწევს მზის სხივი დედამიწას და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, მეცნიერებას და მის ქურუმთ შეუძლიანთ ისეთი რი- სამე შეტყობა და გაგება, იმისთანა რამეზე უტყუ- არი მსჯელობა და უეუცდომელი დასკვნის დადგე- ნა, რაც მათ არ უნახავთ, რასაც არ შეჰებიან, რაც ადამიანის შვილების სუსტს და უსრულს ხუთი გრძნობის სფეროს უსაზღვროდ გასცილებია და რაც დღემდის საიდუმლოებად, სასწაულიად ითვლებოდა.



ვინ არ იცის, რომ დღეს მეცნიერების წყალობით თითქმის გამოკვლეული და შესწავლილი ზღვა და ხმელეთი, მთა და უდაბნო, კა და მთლად სამყარო და მათი საიდუმლოებით მოცული სიცოცხლე. მეცნიერებამ ზედმიწევნით შეისწავლა თვასება და ზნე-ჩვეულება, მრავალფერი ინსტიქტები ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა. აღამიანს დღეს შეუძლიან ხელოვნურად გამოცვლა, გადაკეთება ფრინველთა, პირუტყვთა და მცენარეთა ჯიშისა.... აღამიანს შეუძლიან.... მაგრამ ვინ მოსთვლის იმას, თუ რისი გაგება, წარმოდგენა, შესწავლა და ცნობა შეუძლიან ადამიანს დღეს მეცნიერების წყალობით? ან ვინ წარმოიდგენს, რას შესძლებს აღამიანი მომავალში? დიახ! ბევრი რამ შეისწავლა აღამიანმა: ბევრს გაეცნო, ბევრს საიდუმლობას ახალა მან ფარდა; დღეს ადამიანს ესმის ქვემძრობითა ქვესკნელში ხოხვა, მცენარეთა და ყვავილთა სიცოცხლის თავისებური სუნთქვა; ურიცხვ ვარსკვლავთა და პლანეტთა სრბოლვა უსაზღვრო სივრცეში. სუსველაფერს ჩისწვდა ადამიანის გონება, არაფერი დარჩა მას თითქმის შეუსწავლელ-გამოუკვლეველი, გარდა თავისა, თავის სულისა და თავის მსგავს ადამიანის სულისა. ადამიანი დღესაც არ იცნობს თავის თავს; დღესაც მისთვის ისე არაფერი არ არის ბნელით მოცული, მიუწოდომელი და გამოურკვეველი, როგორც თვის საკუთარი არსება. ყოვლისავე მცნობს, ყოვლისავე მახსნელს და გამაშუქებელს— ადამიანს ვერ აუხსნია.



თვისი არსების საიდუმლოება; ვერ გაუშექებია არა მან მან შეუნგრია ბუშბერაზ  
მთებს გულ-მკერდი და აღმოაჩინა მათი შინაგანი  
სიმდიდრე; მან გააპო თვალუწვდენელი და უძირო  
ოკეანე და ჩიხედა მის ჯურლულში, გადალახა  
მიუვალი და ლიცოცხლო უდაბნოები, შეისწავლა  
პოლიუსები, მაგრამ ვერ იქმნა, ვერ ახადა ფარდა  
თავის სულს, ვერ შეიგნო მისი საიდუმლოება. კა-  
ცობრიობა დიდიხანია დარწმუნდა, რომ ადამიანის-  
თვის ყველაზე უფრო ძნელია თავის თავის შეგნება  
და გამოცნობა და ბერძენთა გენიამ ეს რწმენა გა-  
მოხატა ადამიანისადმი შემდეგი მიმართვით: „იცან  
თავი შენი.“ ეს მოწოდება ბერძენთა გენისა ჯერაც  
არ არის განხორციელებული. ჯეროვანად განხორ-  
ციელება მისი თითქმის შეუძლებელია; ადამიანის  
სულში ჩახედვა მხოლოდ რჩეულებს შეუძლიანთ.  
ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კაცობრიობა ყველა-  
ზე მაღლა იმას აყენებს, ყველაზე მეტს პატივს იმას  
სცემს, ყველაზე უსაყვარლესად იმას ისახავს, ყველა-  
ზე მეტს იმაზე ლაპარაკობს, ვინც ადამიანის სულის  
თვისებათა ახსნა-გაგებასა და გაშუქებაში გამოიჩინა  
ძლიერი ნიჭი და უნარი, ვინც ხელი შეუწყო ადა-  
მიანს თავის თავის შესწავლასა და გამოცნობაში.  
ასეთი პირები კი ხელოვანებია, მხატვრებია და არა  
მეცნიერები და სწავლულები. ხელოვანები თავის  
მხატვრული ნიჭის წყალობით, შინაგან ინტუიციით  
და ფსიქიურის ჩატვირთვით აშუქებენ ადამიანის სუ-

ლის ბნელეთს, მისი პიროვნების თვისებებს, მისი სულის ფარულს და უჩინარს კუნჭულებს, მის ბუნ-დოვან და გამოურკვეველ ზრახვა-მისწრაფებას და ნდომა—სურვილებს. იარაღად, საშვალებად მხატ-ვრები ხმარობენ არა ლოლიკას, არა მსჯელობას და არა კვლევა-ძიებას, არამედ შთაგონებას, წარმოდგენას, მგრძნობიარობას. ექსპერიმენტი და გამოცდა, რომლითაც სარგებლობენ მეცნიერნი ადამიანის სულის შესწავლის საქმეში, მართალია, ბევრს თვალ-საჩინოს არკვევს და ცხადყოფს, მაგრამ ისინი უფრო მხოლოდ ზოგიერთ სულიერ თვისებათა ფორმალურ მხარეს და ელემენტებს არკვევენ და არა ამ თვი-სებათა შემადულებელ-შემკრებ-იმხსნელ სულის ში-ნაგანს ვითარებას. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ვერც ექსპერიმენტალური ფსიხოლოგია, ვერც სხვა რომელიმე მეცნიერება ვერ შეიძლებენ ადამიანის სულის სრულს შესწავლას; ჯეროვანად ვერ ვა-აშუქებენ მის საიდუმლოებას. უმთავრესი წყარო ადამიანის სულის შესასწავლად მხატვრული ლიტე-ტურაა, უმთავრესი საშვალება, ხერხი--შემოქმედებაა და საუკეთესო ქურუმნი, ადამიანის სულის გამოშ-ცნობნი-მხატვრებია. აյი, როგორც ვსოდეთ, ერთ და კაცობრიობა თვისი იმ შვილებით ამაყობს, რო-მელნიც გამხდარან ადამიანის სულის მესაიდუმლოედ და შეუქმნიათ ისეთი ნაწარმოებნი, რომელშიც ნათლად და ცხადად იხატება ძირითადი თვისება იმ ჯერაც კიდევ გამოუცნობ სფინქსისა, რომელსაც



ადამიანის სულს უწოდებენ. შემოქმედების საშეფო ჯერ-ჯერობით თითქმის ერთად ერთი სარკეა, რომ-ლის წყალობით ადამიანს შეუძლიან ზედმიწევნით გაიცნოს თავისი თავი, სადაც ის ხედავს თავის სახეს მთლიანად და დაუმახინჯებლად.

მართლაც, იშვიათი ნიჭის პატრონი უნდა იყოს მხატვარი, რომ მან შესამჩნევად ფარდა ახალოს და გააშუქოს რომელიმე თვისება ადამიანის სულისა, რომ გასაგებად და აღვილ წარმოსადგენად გახა-ლოს ყველასათვის მისი ვითარება, მისი თვისება. სილრმე და სიღიადე მხატვრული ნიჭისა უმთავრესად იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ლრმად ჩასწევდა მხატვარი ადამიანის სულს, რამდენად მკაფიოდ ამო-იკითხა იქ ჩაწერილი იეროგლიფები და რამდენი მხარე ან თვისება სულისა ნათელჲყო და გააშუქა.

თუმცა, როგორც ზემოდაც ვსთქვით, დიდად ძნელი საქმეა ადამიანის სულის და პიროვნების შესწავლა და შეგნება, მაგრამ ამ სიძნელესაც სა-ფეხურები აქვს. დიდის დამთავრებულის, ასაკში მო-სულის ადამიანის სულის შესწავლა შედარებით უფ-რო ადვილია, ვინემ ნორჩი და დაუმთავრებელი ბავშვისა; განათლებული და განვითარებული პირო-ვნების და მისი სულიერი თვისებების შეგნება ისე სამ-ძიმო არ არის, როგორც პირველყოფილ, განუვი-თარებელ ადამიანისა, და ეს იმისთვის, რომ დამ-თავრებული ადამიანის სულიერ თვისებათა შესწავ-ლის დროს მხატვარს დიდად შველის და შესამჩნე-



ვადაც უადვილებს საქმეს; პირველი თვით მდგრადი რეგისტრისა და მხატვრისა და შეგნებული და აწონილ-დაწონილი მოწმობა დიდი ადამიანისა თავის სულიერ მდგომარეობის შესახებ, რაც აღინიშნება კერძო წერილებში, დღიურებში, მემუარებში, აღსარებებში და სხვ.

თვით დაკვირვება, ე. ი. საკუთარი სულიერი თვისებების შესწავლა მხატვარს უადვილებს სხვის სულიერ მდგომარეობის გამოცნობას და შესწავლას, ვინაიდგან ძირითადი სულიერი თვისებები ყველა ადამიანისა ერთგვარია. სხვების მოწმობა-დაკვირვება და პსიქოლოგიური ანალიზი საკუთარის სულიერის განწყობილებისა ამოწმებს და ადასტურებს იმას, რაც მხატვარმა გამოარკვია და შეისწავლა თვით დაკვირვების წყალობით.

გაგება და შესწავლა ბავშვის სულიერ სამყაროსი, თუმცა ეს სამყარო გარეგნულად შედარებით მარტივი და საღაა, უფრო ძნელია მხატვრისათვის იმიტომ, რომ მას ამ საქმეში თვით დაკვირვება ისე ვერ შევლის, როგორც დიდების სულის შესწავლაში და დამხმარე წყაროებიც თითქმის სულ არ მოეპოება, ვინაიდგან ბავშვებს არ შეუძლიან ჯეროვანი ანალიზი გაუკეთონ თავის სულიერ მდგომარეობას, განსაკუთრებით წერით.

მაშასადამე, გარდა მხატვრულის და ანალიტიკურის ნიჭისა, პოეტი უაღრესად უნდა იყოს დაჯილდოვებული გადაცვლის, გარდაქმნის ნიჭითაც



(перевоплощениe), რომ ნათლად და ორმად გამოიკვლიოს პავშვთა სული-  
ტოს, დაასურათოს, გამოიკვლიოს პავშვთა სული-  
ტოს, ერთ სამყარო; მიხვდეს მათის გულის ნადებს; ახსნას  
მათი მისწრაფება: აზრი მოუნახოს მათ გასართობებს,  
თამაშობას. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ სხვა-  
დასხვა ერთა ლიტერატურაში ნაკლებად მოიპო-  
ებიან ნამდვილი, ჰეშმარიტი და ნიჭიერი საბავშო  
მწერლები.

პირველი შეხედვით, საბავშო მწერლისთვის  
ვითომც არც კი არის საჭირო ძლიერი მხატვრუ-  
ლი ნიჭი, განვითარებული გონება, ლალი ფანტაზია,  
სილამაზე და სიმშვენიერე სიტყვისა, მაღალ-აზროւ  
ვნობა. ცდებიან ისინი, ვინც ისე ფიქრობენ. არც  
ერთს მწერლობითს დარგში არ არის ისე საჭირო  
„ზეგარდმო მადლით ცხებულობა“ და „ცის შვი-  
ლობა“, როგორც საბავშო ლიტერატურაში. არსად  
არც ერთს ნაწარმოებში ისე არ არის სასურველი  
სინაზე გრძნობისა. სიფაქიზე ფიქრ-ზრახვისა, გულ-  
ახდილობა გულწრფელობა და სინდისიანობა, რო-  
გორც საბავშო ნაწარმოებში; არსად ისე არ არის საჭი-  
რო ნაწარმოების მხატვრული ზომიერება, პოეტური  
სიმარტივე და სისაღე, როგორც საბავშო ნაწარმო-  
ებში; არაფერი ისე არ აღრმავებს და აძლიერებს საბავ-  
შო ნაწარმოების გავლენას, როგორც სილამაზე ფორ-  
მისა და მუსიკალობა სიტყვისა: არავის ისე არ სჭირდე-  
ბა პოეტური ჯადოსნობა, როგორც საბავშო მწე-  
რალს!



დიახ, იშვიათი ნიჭის პატრონი უნდა იყოს სა-  
ბავშო მწერალი, თუ კი ის კეშმარიტი მწერალია!  
ბევრი ისეთი თვისება და ლირსება მოეთხოვება სა-  
ბავშო მწერალს, რაც არც ისე აუცილებელად  
საჭიროა სხვა დარგის დიდ მწერლისთვის! აბა მიაქ-  
ციეთ ყურადღება მოწინავე ერთა ლიტერატურის  
ისტორიას; თქვენ უსათუოდ შენიშნავთ, რომ ზო-  
გიერთ მდიდარ და განვითარებულ ლიტერატურაში,  
რომელსაც ამშვენებენ ასობით საუკეთესო პირველ-  
ხარისხოვანი მწერალი მხატვარნი. ერთი ორი და თუ  
შეგვხდება ნამდვილი ნიჭიერი, ბავშვთა სულის შესა-  
იღუმლე, მათი მამა-აღრჩმდელი საბავშო მწერალი.

მაგალითისთვის ავილოთ რუსული ლიტერატურა,  
ლიტერატურა, რომელსაც ამშვენებენ ისეთი მწერლები, როგორნიც არიან პუშკინი, ლერმონ-  
ტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, გონჩა-  
როვი, დოსტოევსკი და სხვ. მთელ მეცნიერებე  
საუკუნის განმავლობაში რუსეთს დაებადა მხოლოდ  
ერთად ერთი პირველ ხარისხოვანი საბავშო მწერა-  
ლი—კრისტიანი, თუმცა არც ის არის მხოლოდ სა-  
ბავშო მწერალი.

ფრიად საყურადღებო და ღირს შესაძიშნა-  
ვია ის ფაქტი, რომ პატარა ქართველი ერის შედა-  
რებით სუსტ ლიტერატურაში გამოჩნდა ისეთი ძლიუ-  
ერი ნიჭის პატრონი საბავშო მწერალი, რომლის  
შემოქმედება ლირსეულად ემსახურება და თავს და-  
სტრიალებს ბავშვების სათუთ სულის და თავის ნი-



ჭით და შემოქმედების ძლიერებით გაცილებით მიზანი ლა სდგას ბევრ სხვა ერების ნაკებ მწერლებზე, ეს ჩვენი შიო მღვიმელია.

შიო მღვიმელს ჩვენში მხოლოდ ახლახან მიაქცის ყურადღება. ის დღემდის თითქმის მივიწყებული იყო. იმ დროს, როდესაც ჩვენში უბრალო გეორე ხარისხოვანი პოეტი იქცევს, დროებით მანც, ხაერთო ყურადღებას და პოპულიარობას პოლობს ფართო საზოგადოებაში,—ამ დროს დიდი ნიჭის პატრონი, უბადლო და უტოლო შემოქმედი—შიო იდგა ობლად დაჩრდილული, მივიწყებული გამოუწყობი, შეუსწავლელი, მშიერ-მწყურვალი. უდიპლომო, უპროტექციო, უადგილმამულო, ესახსრო, ჩუმი, წყნარი, მოკრძალული, უბრალო და უკიდურესად-სადა ზეცის რჩეული შვილი, ლვთაებრივ ჩანგის პატ-რონი, უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილი—ჩვენი შიო და მასი მოღვაწეობა დარჩდილა ჩვეულებრივ-მა მყვირალა უნიჭოებამ, ცრუ პატოსმა, მდაბალ გრძნობათა ამშლელ და გამალიზიანებელ სიტყვათა ვაკხანალიამ და ამ უნიჭოების მეპანეგირიკე კრი-ტიკამ. იმ დროს, როდესაც ჩვენი უურნალ-გაზე-თები „დამსახურებულ“ კრიტიკოსთა პირით, თუ ყოველ თვე არა, ყოველ წელიწადს მაინც, რამდე-ნიმე ათეულ დიდად ნიჭიერ პოეტს, ბელეტრისტს და დრამატურგს აცხადებდნენ; იმ დროს, როდე-საც ყოველწლიურის ლიტერატურის მიმმხილველი სხვისავან ნასესხ, უცხო მწერლობიდგან ამოღე-



ბულ აზრ-შეხედულობის გასასაღებლად და ზშირად უცხოეთში მოპარულ კრიტიკულ იარაღის გასასინჯად ნიჭით მცლე, მაგრამ მეგობარ მწერლების ნაწარმოებებს მიმართავდნენ, ცამდის აყვანდათ ისინი და სხვადასხვა ახალ ლიტარატურულ მიმართულების ლირსეულ წირმომადგენლად აცხადებდნენ, — ამ დროს ჩვენი შიო კი, თვისი ჩუმი, უჩინარი წყნარი, მაგრამ ქვეითური, აზრიანი, ნაზი და ლამაზი მუხით უყურადლებოდ რჩებოდა.

ერთი სიტყვით, „ოფიციალური“ ქართული ლიტერატურა და „მოწინავე“ ჩვენი საზოგადოება შიოს არც იცნობდა, არც იფასებდა და, მართალი რომ ვსთქვათ, არც დაფასება შეეძლო. შიო შეიყვარა, შეითვისა, დააფასა და იცნო შვათანა ჩვენმა საზოგადოებამ, ქართულში ფართო მასამ, ქართველმა გადაგვარებას ამცდარმა ოჯახმა და მისმა გაურყვნელ-გაუფუჭებელმა, საღმა შვილებმა. ეს სიყვარული, გაგება სიმპატია შიოსადმი თანდათან ლვივ-დებოდა, იჩრდებოდა, ძლიერდებოდა ერთს წიაღში და, ბოლოს იჩქეფა და გადმოხეთქა მაშინ, როდესაც მეორე დიდმა ერთს შეიღმა — ვაეგა დაჰკრა საყირი და საჯაროდ გამოაცხადა: „სირცხვილი ქართველებს, რომლებიც არ იფასებენ და არ იცნობენ თვის დიდ შვილს და პირველ ხარისხსვან პოეტს — შიოსო.“ ეს იყო შარშანწინ ზაფხულში: ეს იყო ვაეგას უკანასკნელი გედის სიმღერა.

ვაეგას გულწრფელმა სიტყვამ, მისმა სამართ-



ლიანშა საყვედურმა, მისმა შიოს ნიჭის და მარტოდა გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოება, წეობის დაფასებამ გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოება, გონის მოყვანა ჩვენი უურნალ-გაზეთობა. სიტყვა ამოალებინა და ჩააფიქრა ჩვენის მწერლობის მეს- ვეურნი და კრიტიკოსები. ყველამ ვიცით, რაც მოყვა ამას შედევგად. შიოს იუბილე დიდის ზეიმით იდლესასწაულებს თფილისში, ქუთაისში და ბევრს ჩვენებურ დაბა — ქალაქებში. ბევრი დაიწერა, ბევრი სიტყვა წარმოითქვა ამის შემდეგ შიოს შესხებ: ყველა ცდილობდა შიო ექო-ელიდებინა, მისი ღვა- წლი აღენუსხა, მისი ნიჭის სიგრძე-სიღიდე განესა- ზლერა, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის არ გასცილე- ს ქება-დიდება, შაბლონიურს ფარგალს არ გასცილე- ბია. რათა? იმისთვის, რომ შიოს თითქმის არავინ იც- ნობდა ჩვენში. მისი ნაწარმოები სისტემატიკურიდ, მთლიანიდ, ასე ვსოდეთ, ერთის ხელის მოკიდებით უკლებლივ არავის ჰქონდა შესწავლილ გაცნო- და უკლებლივ არავის ჰქონდა დღეს არც ისე ადვილია.

ვისაც სურს შიოს გაცნობა, ის მოთმინებით უნდა აღიჭურვოს, „ჯეჯილ“-„ნაკალულის“ ოცდა ხუთი წლის მტვერიანი ნომრები გადასინჯოს, ყველა შიოს მარგალიტები არამც თუ გადიკითხოს, მათი მომეტებული ნაწილი სიტყვა-სიტყვით ამოიწეროს. ამას კი დრო და მოცლა უნდა. ასეთი დრო ჩვენ, ქართულ ლიტერატურაში „მეგასტროლე“ მწერ- ლებს არა გვაქვს!



დილეტანტობა, ზერელე აწონ-დაწონდასაჭ-  
მისა და ფაქტისა საზოგადოდ არ არის საქებარი  
და სასურველი; მით უმეტეს დასაძრახისი და სამა-  
რცხვინოა ასეთის თვისების გამოჩენა, როდესაც  
ვინმე მწერლის შესწავლას და დაფასებას ხელს კი-  
დებს ჩვენში, სამწუხაროდ ქართულ ლიტერატურის  
შესწავლაში, ან რომელისამე მწერლის განხილვაში,  
დილეტანტობას და ზერელობას თვით ქართველი  
პროფესორებიც არ ასცდნენ.

როგორც ერთი დილეტანტთაგანი, როგორც  
ტიპიური „გასტროლიერი“ ქართულ მწერლობაში  
ჩვენც ვგრძნობთ, რომ ღირსეულად და ჯეროვანად  
ვერ გავაშუქებთ, ვერ ავხსნით დიდი შიოს შემო-  
ქმედებას. ამისთვის წინდაწინ ბოდიშს ვიხდით  
მსმენელთა და მკითხველთა წინაშე.

შიო ქუჩუკაშვილი—მღვიმელი დიდიხანია, რაც  
გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ მისი გამო-  
სვლა არ ყოფილა საზეიმო, რიხიანი. სისტემატიუ-  
რად მან დაიწყო მოთავსება თვისი საყმაწვილო  
ლექსებისა „ჯეჯილში“, მაშინ ერთად-ერთ საყმაწვი-  
ლო უურნალში, რომელსაც ნაკლებად ჰყავდნენ  
მკითხველები ჩვენი ოჯახის შეუგნებლობის და გა-  
დაგვარების გამო. ფართო ქართველი საზოგადოება  
კურძოდ ჩვენი გადაგვარებული ან გადაგვარების გზა-  
ზე დამდგარი არისტროკრატია და „რუსეთუმე“  
ინტელიგენცია არ იცნობდნენ არც უურნალ „ჯე-  
ჯილს“ და არც მის თანამშრომლებს, სხვათა შო-



რის, ქართულ საბავშო ლიტერატურის ამომავლენის მხედარის — შოთა თუ ვინმე მოინტელიგენტე ქართველი იწერდა ამ უურნალს, ისიც მხოლოდ ფორმისათვის ხაჩვენებლად.

თვითონ ვიცი დანამდვილებით, რომ ერთი ძველი ინტელიგენტი, რომელიც სამოციან წლებში საზოგადო საქმეებში მონაწილეობას იღებდა და ერთს დროს, თუმცა მოკლე ხნით, ლიტერატორობას ეწეოდა, იწერდა თავის ბავშვისთვის „ჯეჯილს“, მაგრამ სამარცხვინოთ არც ერთი გვერდი არც ერთი ნომრისა ათ-თუთხმეტ წლის განმავლობაში არამაც თუ არავის წაუკითხავს, არც კი გაჭრილა.

თუ უწინ „ჯეჯილს“ და მის თანამშრომლებს ვინმე იცნობდა, ეს ისევ შვათანა ინტელიგენცია: მლევლები, მასწავლებლები, შეგნებული ვაჭრები, მუშა-ხელოსანი. გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ საზოგადოდ შიო ქუჩუკაშვილის, ან რომელისამე მისი ნაწარმოების შესახებ ოციოდ წლის განმავლობაში არამთუ სერიოზული კრიტიკული გარჩევა, უბრალო რეცენზია, ზერელე შენიშვნაც არ დაწერილა.

მე არ მახსოვის, თუმცა შეძლებისამებრ თუ წელიწადზე მეტია რაც ქართულ უურნალ-გაზეთებს თვალყურს ვადევნებ.

გამოდის ასე, იყო კაცი, სახელდობრ შიო ქუჩუკაშვილი-მლევლები, რომელიც ათავსებდა თვის ობოლს მარგალიტებს, თვის საუცხოვო ლექსებს,



შეუდარებელის გრძნობით და აზრიანობით მუსიკურის, გაუვრცელებელ სპეციალურ ქურნალში: მას კი არავინ იცნობდა, არავინ აფასებდა!

შიოს უფრო იცნობდნენ თბილისში, როგორც  
წ.-კით. გამ. საჩ. მაღაზიის გამგეს და არა როგორც  
უნიჭიერეს, თითქმის უბადლო პოეტს. რამოდენიმედ  
შიოს შესახებ დაიწყეს ლაპარაკი, რამოდენიმედ  
მგრასანმა მიიჭცია ჩვენი ყურადღება მას შემდეგ,  
რაც დაარსდა მეორე უფრო ფართედ დაყენებული  
საყმაწვილო ქურნალი „ნაკადული“, სადაც ის თი-  
თქმის ყოველ ნომერში ითავსებდა თავის ძვირფასს  
ლექსებს.

წრეულს კი გონს მოსულმა და გთვითცნო-  
ბიერებულმა ქართველმა საზოგადოებამ, როგორც  
ვთქვით, პატივი სკა თავის მოზარდ და ნორჩ შეი-  
ლების მოყვარულ ბიძია შიოს და ეს პატივისცემა  
გამოიხატა მხურვალე გრძნობით გამობარ იუბი-  
ლების გამართვაში საქართველოს სხვადასხვა კუთ-  
ხეში..... დღეს ყველა აქებ-ადიდებს შიოს, ყველ  
გუნდრუკს უკმევს.....

მართლაც, არის თუ არა ლირისი შიო მღვიმე-  
ლი ასეთის თუმცა დაგვიანებულის, მაგრამ მხურ-  
ვალე მადლობისა და დაფასებისა? ჩვენი მოხსენების  
მიზანია სწორედ ამ კითხვას, შეძლებისამებრ პასუხი  
მისცეს.

რას აწვდის შიოს შემოქმედება ბავშვების გო-  
ნებას? რითი ასაზრდოებს მათს გრძნობას? რითი



აქმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობას? რით და როგორ გამოიყენოთ მათ ცქრიალი და ცელქ ბუნებას?

შიომ მშვენივრად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის ბუნების მოვლენათა და კანონების შესწავლას და გაგებას და ამისთვის ის შეუდარებელის სიმარტივით უხსნის ბავშვებს სხვადასხვა ბუნების მოვლენას, აგებინებს მათს მნიშვნელობას და სარგებლობას ადამიანის ცხოვრებისათვის. პოეტი ლამაზ სურათებით უხატავს ბავშვებს გაზაფხულს

„დიდებულს,

მორთულს და მოქაზმულს,

გულამაჟს, გულზედადს,

უგავიღებით შერაზმულს;“

და გაზაფხულზე მშვენივრად ამწვანებულს მთას და ყვავილებით გადაფუჩქნულს ბარს; გულის გამხარებელს ტურთა. „გულ-მართალს და ლია“ იას: თვალშინ გადაუშლის მათ საზოგადოდ საზაფხულო ბუნების ზედის, ყვავილთა ქორწილს და მეჯლისს. პოეტი დარწმუნებულია და ამას ბავშვებსაც შთააგონებს, რომ გაზაფხული განსაკუთრებით ბავშვების გულის ვარდია, მათი სიხარულის უშრეტი წყაროა.

„გის არ უქვარს, ნეტა, ეს დრო, — გატაცებით ამბობს პოეტი —

ვინ არ შეტრთის გაზაფხულსა?

მთის და ბარას სულის ჩამდგმელს

უძაჭვილების სიხარულსა!“ („ნაკ.., 1906. №3)



პოეტმა იცის, რომ ზამთარი განსაკუთრებული  
ბავშვებისათვის არის მოსაწყენი და საზიზღარი, რად-  
განაც მათ ძალაუნებურად ამ დროს უხდებათ სახლ-  
ში ჯდომა და ესპობათ საშვალება უდარდელად და  
მხიარულად იხტუნაონ და ირბინონ „ია, ვარდი და  
სოსანით“ მოქარგულ „მომცინარე ხავერდოვან“  
მინდორ-ველზე. ამისათვის ის ზამთრისაგან დანალვ-  
ლიანებულ ცელქებს სიამოვნებით ახარებს, რომ

„მთებში დამდნარა უინული,

კალთებზე ღრთქლი ავარდა;

ახლა ხომ გჯერათ, ბალდებო,

ზამთარს რომ ჭანი გაფარდა“ (ჭეჭ., 1904, №3)

კარგი და სასარგებლოა ბავშვების გულის  
მოხიბლვა ბუნების სიმშვენიერე-სიკეკლუციო, საამოა  
„ყვავილთა ქორწილით“ დატკბობა, მაგრამ არა ნა-  
კლებ საჭიროა და მნიშვნელოვანი ბუნების მოვ-  
ლენების ახსნა, გაგებინება მათი სარგებლობისა.  
სწორედ ამ მიზნით ჩვენი პოეტი ბუნების მოვლე-  
ნათა სრულის განხორციელებით და გაადამიანებით  
ცდილობს ბავშვები დაიინტერესოს ბუნების ცხო-  
ვრებით.

კერძოდ რომ გააგებინოს და აგრძობინოს მათ  
ლრუბლის და წვიმის მნიშვნელობა, პოეტი შემდეგს  
მხატვრულს ხერხს მიმართავს: ის აბასებს ერთმა-  
ნეთთან ზღვას და ლრუბელს:

ზღვა „—რას დაფრიალობ, დრებელო,  
ჟავრში, როგორც ეული;

დაქმიდ, ჩიმპენ წამოდია,  
ხომ წვიმადა ხარ ქცეული? —  
ეუბნებთდა ზღვა ღრუბელს  
შშფოთვარე, დაუდგრომელი,  
ღრუბელმა უთხრა: „რათა ხარ  
გულხარი, გაუძღვოშელი?

—  
ეველას რომ შენსპენ იზიდავ,  
ეწევი, იპატიუებო,  
განა შეც ამიუღლიებ  
და მაოებრ გამაგიშებო?

—  
ისეც ბეჭრი გაქვს ხომ წესლი,  
საშენოთ ღრა მცალია,  
მე იმას მიგეშგელები,  
უინც უფრო შესაბრალია.

—  
აბა შეხედე იმ ქანას,  
რჩრიგზდ ჩახურებულა,  
არც ერთ თავთავში მარცვალი  
ჯერაც არ დასრულებულა.

—  
სიმინდსაც გადგებებურები,  
ხელახლად გავაღანებ,  
პატრიარქის გულსაც ვახარებ,  
მტრის ქნას ავაუკანებ.“

უთხრა და ზღვასა გაშორდა,  
 გასწია, გადაიარა,  
 დასწევია მინდორ-ველებსა,  
 ზღვას არა მისცხებდა-რა“ („ჯეჭ.“ 1897, №5).

როგორც ხელავთ, მეოსანს მიზნად აქვს შთა-  
 აგონოს ბავშვებს, რომ ბუნებასა და ადამიანთა შო-  
 რის არსებობს კივშირი, თანაგრძნობა, სიყვარული:  
 შიო ამტკიცებს, რომ ადამიანს და ბუნებას ესმისთ  
 ერთმანეთის ყოფა-მდგომარეობა, ლხინი და ჭირი,  
 სიყვარულ — ალერსი: რომ ყვავილ-ბალახებსაც ენატ-  
 რებათ ადამიანის სამსახური, მათთან ყოფნა. ერთს  
 ლექსში: „გოგოვ ქეთინო, მომხედე“ შიოს საუ-  
 ცხოვოდ აქვს ასეთი შეხედულობა გამოხატული.

„თეთრი გვირიდა იძახის:  
 თქვენის მშობლების ლხენასა,  
 არ გამომაქლოთ შეიღებით  
 საერთო გულის ტექნისა.

პაბა-წითელა უაუაჩო  
 გულით გვაფაცებს ზენასა:  
 მომწევიტეთ, წამიღევითო,  
 ბანა მე არ ვგრძნობ წევნას?

უარდი და იაც კელს გვიწევს,  
 კედარ უძლებენ თმენასა,  
 სხვა უვავილებიც მოუკლავს—  
 კვნესას და ცრემლთა დენასა“ („ნ.“ 913, №9).

ეს ადგილი შინაარსით, აზრ-იდეით და გარეგან  
 ფორმა-გამოხატულებით და ლექსთა წყობითაც ძლი-



ერ მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას „გველიჭამიაშ და გილს, სადაც დამწიფებული თავთავებ ეხვეწებიან გრძნეულ მინდიას, არა მე მომჰერ მალე, არა მეო. იგი-ვე გაადამიანება უსულო საგნისა; იგივე ხერხი წერისა და აზრთა გამოთქმისა; იგივე ხალხური ლექსთა-წყობა, რაც ვაჟას „გველიჭამიაშია“. თუმც ეს ასეა, მაგრამ აქ მიბაძვასთან არა გვაქვს საქმე. შიოს ვაჟა-ზე არა ნაკლებ ეხერხება ცხოველების, მცენარეების და საზოგადოდ უსულდგმულო საგნების გასულ-დგმულება-გაადამიანება. აშას ნათლად მოწმობს პო-ეტის ბევრი ნაწარმოები.

აჩა გადავიკითხოთ მეორე მისი ლექსი „ნაძვე-ბი“, სადაც საუცხოვოდ არის გაადამიანებული და გაცხოველებული სახე უსულო საგნისა. დედა — ნაძვი შვილებს ასე ეუბნება:

„ ... ქარი ჩვენ  
გვიმდერის, გვიადერსებსო,  
არც შტოს მოგვტეხავს, არც ტოტსა  
და არც შეგვირევეს ფეხვებსო.

—

მისი ზუზუნი — კოცნა,  
მის ქრთლა — სიუკარულია,  
ჩვენი შტერი და ორგული  
შხოლოდ წალდი და ცუდია.“

—

არ გაუვდია დიდ ხანსა,  
კიდაც მოგვადგა ცუდითა

და სუთიგენი აგვებთა  
 მან დიდის სიხარულითა.

—  
 ხმას ვერ ვიღებდით, დაჭრილებს  
 ნაკაფი მწარედ გვიტარდა,  
 და ტანჯულს დედას სიმწარის  
 თვალებზე ცრემლი სდიოდა.

—  
 სახამდის წამთგვიღებდა,  
 დედის მპერდს მივეუვდებით  
 და აფად ვიხსენიებდით  
 ჩვენს მომჭრელს იქვე მრუდ-ენით.

—  
 უგანასკნელად მიგვიგრა  
 მაშინ და დედამ გულზედა  
 და კვნესით კოცნა დაგვიწეო  
 საბრალომ უველას წელუღზედა. ("ნ. 1906, №1).

რა საუცხოვო განხორციელებაა უსუოო საგ-  
 ნისა! რა წმინდა გრძნობით არის გამობარი მოთ-  
 ხრობა! რა უბრალო ფერადებს და სიტყვებს ხმა-  
 რობს პოეტი საგნის ასე შეუდარებლად გასაადამი-  
 ანებლად! რა ჩვეულებრივი და ყოველდღიური შე-  
 დარება-ანალოგით მიაღწია მხატვრულს მიზანს!  
 ამავე დროს რა სადად, ყველასათვის გასაგებად და  
 მისაწდომადაა აქ გატარებული შემზევი ღრმა დედა-  
 აზრი: ადამიანს უნდა ებრალებოდეს, მას უნდა უყვარ-  
 დეს უსულო საგნებიც, რადგანაც მათ შიაც არის



კოცხალი ძალა, თავისებური სიცოცხლით ქვეშანდა მართვისა და ტკივილ-  
ტანჯვისა!

მთელი ტრაქტატი, პოპულიარულად დაწერი-  
ლი პირველ-ხარისხოვან მეცნიერისაგან მცენარეების  
თავისებურ სიცოცხლის შესახებ ისე ვერ გააგებია  
ნებს, მით უმეტეს ვერ აგრძნობინებს პატარა ბავ-  
შვებს იმას, რასაც აგრძნობინებს მათ ეს პატარა,  
სადა ლექსი!

აი კიდევ პოეზიით აღსავსე ნიმუში ქომაგობა  
სიყვარულისა:

„ ერთი შეხეთ ამ ფუნჩულას  
ბადახების ტეპნელას,  
რა სიამით ეტანება  
ამთვრენიდ ჰეპელას!

ვერ დაიტერ, გაფრინდება,  
ერმაო, ბროლ-მქერდ-გულიანო,  
ან რად გინდა მის ტევეობა,  
შინ და-ძმანი ელიანო.“ („ნ.“ 1905, № 3).

თუ ყვავილი, ბალახი, ხე და მწერი ლირისია  
ადამიანის სიბრალულის და სიყვარულისა, მით უფ-  
რო მას უნდა ებრალებოდეს და უყვარდეს ისეთი  
არსნი, რომელნიც სულდგმულნი არიან და რომლებ-  
შიაც ღვივის, თუმცა სუსტად და შეუგნებლად,  
ალლო სიცოცხლისა. ცნობილია, რომ პირუტყვ-  
ფრინველშიაც ჩქეფს სიცოცხლის წყარო, ისინიც



სტებებიან ბუნების სხვადასხვა მოვლენით; უყვარსო და ენატრებათ მზის სხივი; ისინიც სია-მოვნებით ეგებებიან გაზაფხულს; მათაც იზიდავს „მადლიანი მიწის გული“; მათ გულსაც ახარებს მშო-ბლიურ-ნათესავური გრძნობა და სიყვარული; მათაც ეზარებათ და სძულთ „დაღვრემილი ცა და ხმელი“ და „თოვლით დაფენილი ველი“; მათაც + გულს უწუხებთ და სულს უხუთავსთ ლამით ჟინვა, დღით თოვლ-ბუქი“; ისინიც იჩენენ ერთგულობას, პირნათ-ლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და სხვა და-სხვა.

ჩვენ აკ ნებას მივცემთ თავს უხვად ამოვკრი-ბოთ ის ძვირფასი მარგალიტი შიოს ლექსებიდგან, რომლებიც გაშუქებულ-გამთბარი არიან ფრინველ-პირუტყვებისადმი სიბრალულის, სიყვარულის და მადლობის ნაზი და ლრმა გრძნობით.

დასაკლავად განწირული პატარა ბატკანი შე-მდეგის თხოვნით მიმართავს ბავშვებს:

— „რასაც თქვენ გულსა ქძახით,  
ჩემშიც იგივე გულია,  
ჩემი აღდგომა-ბუნების  
აღმდბენი გაზაფხულია.

შე ნუდარ მისპობთ სიცოცხლეს,  
იმედსაც მოქლე დღანსა,  
გამიშვით მეცა გუმზირთ  
აღდგომის დღესაც მზიანსა;

მეც მინდა მზესა ვუკურო,  
მიწაზე ვიარეთდე,  
მზე-მთვარის ჩასელა-ამოსელით  
ვსიამოვნობდე, ვსტკბებოდე.

რა ვუკოთ, რომ ვარ პირუტეგი  
მუნჯი, უენო ცხოველი,  
ვინ იცის, იქნებ ადგიგმას  
მე უფრო სელით მოველი.

თქვენ რომ იღებავთ წითლად პერცის  
და მხიარულობთ გულითა,  
ულოცჲეთ ერთი-ერთმანეთს  
აღდვომას სიხსრულითა,

განა მე მოქლებული ვარ  
ამ სიხსრულს და გრძნობასა?  
არა, ვფიცელობ დედის მზეს  
მეგობრობას და ძმობასა!

ჩემი წითელი პერცია  
ცა შედებილი წითლადა,  
მწვანეზე გადმოფრქვეული  
მზისა სხივები უვითლადა“ („ნ.“ 1908 № 7).

ყინვა სიცივით შეწუხებული და ცხოველ-მცო-  
ფელი მზის სხივს დანატრულებული ზელურა გულ-  
დამწვარი ჩივის:

„სქელ ბურუსით შემდგალა,  
 დაღვრეშილა ცა და ჭელი,  
 წეალი ეინუღს გაუფიცრავს,  
 თოვლით დაფენილა ველი,

ბელს გვიწეხებს, სულს გვიხუთავს  
 დამით ეინვა, დღით-თოვლ-ბუქი,  
 ეველათერი მოგვენატრა,  
 დაგვიძვირდა მზისა შექი.

სახლში ვერგის შემპედლეთ,  
 ფრთებს ბვიუინავს გარედ ქარი!..  
 არც საჭმელი, არც სასმელი,  
 არც მარცვალი საკენკარი.

ტეის პირებში ვერას ვპოებთ,  
 რადგან ცივა, ძალზე ჰეიინავს.  
 სიმშილით რომ გუჭი ბვეწვის,  
 არცა ბვდგიძავს, არცა ბვძინავს.

ზოგიერთმა ბალდმა კარწინ  
 მარცვლით რომ ვერ მოგვატესა,  
 მაღლა საბძლის საუფაფეში  
 გაბგისლართა ცხენის ძე.

და ბუღლცივმა ზამთარივით,  
 მოგვიშალა იქაც ბინა,

ავდექით და მიგმართეჭით  
მეწისქვილეს გუშინწინა:

კარს შენ მაინც ნე დაბჭიპეტ,  
შეგვიძრალე, მეწისქვილე!  
მანამ თოვლი გალხვებოდეს,  
ან გვიმოქმე, ან გვიშვილე.

ღმერთმან მისცეს მას ღდეგრძელი:

შევეცოდეთ, შეგვიძრალა

და გულუხვად მან ხორბალი

ბუხარს იქით მოგვიშალა.« („ჭეჭ.“ 1893, № 1)

მაგრამ აი შედევრი, აი საუცხოვო ნიმუში პო-  
ეზიის ოკბილ და ნათელ შუქით გამობარი და გა-  
კაშკაშებული ლექსისა, რომელშიაც შიომ მიუ-  
წდომელის, დიახ არ ვაზვიადებთ, მიუწდომელის  
სიმარტივით და სისალით გამოხატა სიყვარული და  
თან საყველურით შეზავებული ღრმა გრძნობა-გან-  
ცდა ფრინველ-პირუტყვთა და ადამიანთა ურთიერთ  
შორის ნდობისა, ნათესავობისა და სიყვარულისა!

მერცხალი უსაყველურებს ცელქ ბავშვს:

„შე ჰაწია მერცხალი ვარ,

მოჭიკჭიკე, მთალენსე;

ნერავი რა დაგიშავე,

ქვებს რომ მესერი, ბიჭი სესე?!

სიუვარულით, სიხარულით

მთები, ზღვები გადმოგდანე,

მასამ შენთან მოვიდოდი,  
 ერთხელაც არ დავიკვნეს.

—  
 შორით თვალებს გიგოცნიდი,  
 ცის ლაშვარდში ვსრიალებდი,  
 გვიგვიგობდი, შეგამჟობდი,  
 სულ შენ შემოგტრიალებდი.

—  
 ცხრა მთა გზიდგან მომავალი  
 მოქანცული, მოღალული,  
 დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,  
 შენ გეძებდა ჩემი გული.

—  
 აი მოველ, დაგინახე,  
 გულში ია-ფარდი ვთესე,  
 გვიგვიგობდი უფრო ტკბილად,  
 ხშები გავიუპეთესე.

—  
 გეფიცები და-ქმობასა,  
 მხოლოდ ახლა დავიკვნეს;  
 არ გრცხვენიან, უმიზეზოდ  
 ქვებს რომ ვესვრი, ბიჭო სესე?!“ („ნ.“, 1912 № 6).  
 ნეტავ ვიცოდე, იქნება სადმე ისეთი ბავშვი,  
 რომელმაც ეს ლექსი წაიკითხოს და მერე კიდევ  
 ქვე ესროლოს, ან საზოგადოდ შეუბრალებლად  
 მოექცეს ჩიტს? მე მგონაა, რომ რაც გინდა ბუნე-  
 ბრივად უგრძნობი გაუგებარი და სასტიკი გულის

ბავშვი იყოს, მაშინაც შეიძლება გული არ მოულ-  
ბოს, არ გაათბოს ის ამ საუცხოვო ნაზმა და გულ-  
ში ჩამწიდომელმა ლექსმა!

რა შეედრება ამ ლექსის სიძლიერეს, მის ჯა-  
ღოსნურ შთაბეჭილებას? მუდმივი დარიგება და  
მხილება, განუწყვეტელი ქადაგება და დიდება ოჯახში  
და სკოლაში ცხოველთა სიბრალულ-სიყვარული-  
სა მეათასედაც ვერ მიაღწევს იმ შედეგს, რა შედეგ-  
საც იღწევს პატარა ლექსი ბავშვის გრძნობის გან-  
სკეტაკებასა და გათბობაში!

ან რომელი ჩვენთაგანს, დიდსაც არ აუთროთო-  
ლებს და არ აუჩუყებს გულს ეს საუცხოვო ჰიმნი  
და ადამიანური მოწოდება ცხოველთამდი სიბრა-  
ლულისა და სიყვარულისა? ბედნიერი არის ის ყრმა,  
რომლის ნორჩის გულსაც ჩასწვდება ასეთი გამათბო-  
ბელი სხივი სიყვარულისა, ბედნიერია ის მშობე-  
ლიც, რომლის შვილებსაც განგებამ მოუვლინა  
შიოსთანა დაუფასებელი მასწავლებელ-დამრიგებელი!

საუცხოვო აგრეთვე ლექსი „მილოცვა დიდე-  
დასთან“, რომელშიაც პოეტმა სიყვარულის ოჯა-  
ხური ტკბილი მოგონება გააღრმავა და უფრო გა-  
ათბო პირუტყვთა ნაზი სიყვარულით. ოჯახს მოშო-  
რებული ბავშვი ეხვეწება თავის დიდდედას:

„არ დაივიწეთ, დიდდედა,  
ჩემი ქოჩორა გარია,  
ნიშა ხილ, ავი გიშერა  
და კატა უველი-პართა.

ხანდასხან დამესიზმულია  
მაგისი ტკბილი კრუტუნი,  
პატარა კვიცის ხეიხეინი  
და დედა-ცხენის ფრუტუნი.

ჭიცი, რთა მემდევრებიან,  
მაგრამ რა ჩემი ბრალია.  
სხვებს მიუც დედოფალებია,  
მაგათავის ადარ მცალია“. („ნ.“ 1904, დებ.)

შიო მღვიმელი გასაგებ და მისაწდომ ენით  
აკოდებს ბავშვებს „პატია მაიმუნს“, რომელსაც „კა-  
ცისაოვის თავი შეეწირა,“ ქუჩა-ქუჩა დადის და სა-  
ითკენაც უბრძანებდნენ, „გადახტოდა ყირა-ყირა.“  
მაგრამ ეს „თავშეეწირვა“ თურმე „უნებური“ იყო;  
გულში კი მაიმუნი ყველას აგინებდა. რომ უფრო  
გააძლიეროს შთაბეჭდილება პირუტყვის წვალებისა  
თავისთავად სიბრალულის გამომწვევი, პოეტი თავის  
პირითაც ამხილებს ადამიანის უგულობას და გო-  
ნებრივ სიბეცეს:

„გეგითხელთბდი, რთს ვუზერდი  
მის გონიერ, ცოცხალ თვალებს:  
„ეს ღრმესა მხეცზე მხეცი  
რად მტანვაგს და რად მაწვალებს?!

თუ ეს მოსწონს და ახარებს  
მის წადილს და გონებასა,  
რაღად სდევნის ისე მწარედ  
ბთრკილსა, და მონთბასა?!

სევდიანი, ნადვლიანი

გარდახტოდა, გადმოხტოდა

და ჰატრონი ბრუციანი

მის გაებას ვერა გრძნობდა. ("ნ. 1909, № 16)

თუმცა ეს პროტესტი, როგორც ხედავთ, მცე-  
ქარე და მეხის მფრქველ სიტყვებით და ფრაზებით  
არ არის გამოთქმული, თუმცა ის ჩვეულებრივ რი-  
ხიანობას მოკლებულია, მაგრამ მაინც წარუშლელ  
კვალს სტოვებს როგორც ბავშვების, ისე დიდების  
გრძნობა-განებაში. ამ ლექსის სიძლიერე მისი  
ფორმის და გამოხატულობის სისაღე-სიმარტივეშია.  
ორიოდე სიტყვით, ბავშვებისთვისაც გასაგებ და მისა-  
წდომ სურათში, პოეტმა მთელი ზნეობრივი ფილო-  
სოცია გარდაგვიშალა თვალწინ და ზოგადს, გან-  
ყენებულს იდეას, ზნეობრივ სენტენციას ხორცი შე-  
ასხა, ყველას დაგვიახლოვა, ყველასათვის მისაწდო-  
მელი გახადა.

კიდევ ბევრი მშვენიერი, ღრმა აზრიანი და  
გრძნობით აღსავსე ლექსები აქვს შიომს, საღაც ის  
ბავშვებს აყვარებს ფრინველებს, ცხოველებს და  
მცენარეებს; მაგრამ მათი შინაარსის დაახლოვებით  
გადმოცემაც დიდს ადგილს დაიჭირდა. ამისთვის  
ჩვენ აქ დანარჩენებზე მხოლოდ მივუთითებთ მკით-  
ხველებს. ასეთია ლექსები. „შრშია და ბავშვები“  
("ნაკ.“ 1911, № 8); „მერცხალი და ბავშვები“  
("ჯჯ.“ 1899, № 11); „თამაშობა“ ("ნაკ.“ 1907,  
№ 9); „ძალლი“ ("ჯჯ.“ 1897, № 10); „ჩემი



სტუმრები“ („ნაკ.“ 1913, № 3); „ფისუაზექნაციურა“ 1913, № 11); „ჩემი ციცა“ („ჯეჯ.“ 1899, № 3); „ასკილი და ია“ („ჯეჯ.“ 1894, № 2).

ამ ლექსებში აღწერილი და დახასიათებულია ბავშვების „სული და გული“, გაზაფხულის მოჭიკვიკე მარდი გზირი „ფრთა ცქვიტი, აღერსიანი“ და „ენა უღურტულა“ მერცხალი; „ლამაზი ჯიქან-მადლიანი და რძიანი“ ძროხა; ეშმაკი, „ჩიჩიას მოყვარული“ და ოგვების მტერი—ფისუა; პატრონის ერთგული და მოყვარული ძალლი მურია; „კარის წინ ხევი და დიდწყარო, ბალ-ბალჩა ყვავილიანი“; შშვენიერი და ლამაზი ვარდი, რომელსაც მარად დღე ბულბული“ დაჲყეფს, ეტრფიალება, მის ეშხე აჲყავს ცაში ხმა და მისგან გაიმსჭვალება“ და სხვა.

---

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი ნაზი გრძნობით აუწერს და აყვარებს ბავშვებს შიო სხვადასხვა უსულო და სულიერს საგნებს, მაგრამ მაღალ თვისებებს მოკლებულ არსებებს. დავინახეთ ისიც, რომ პოეტი ამ არსებებშიაც აფასებს მათს თავისებურ ცხოვრებას და ბავშვებსაც მოუწოდებს მორიდებით, სულგრძელად და აღამიანურად მოექცენ მათ. ამრით გად პოეტმა თვის საუცხოვო პოეზიის სხივით გააშუქა ბავშთათვის ბნელი და საიდუმლოებით სავსე ბუნების ერთი კუნკული და შიგ ჩაახედა მოსიყვარულე და დაინტერესებული თვალებით. მაგრამ შიო ამით როდი კმაყოფილდება: მას მიზნად იქვე ცოტ-



ცოტათი მიაღოს შთელი ბუნების კარი და თვალზებულია ახილული და გრძნობაგანსპეტაკებული ბავშვები შეიყვანოს ამ მრავალფეროვანს სამყაროში.

ბოეტმა იცის, რომ მეცნიერული აღწერა სხვა-დასხვა ბუნების მოვლენისა განყენებულად, მსჯე-ლობის ფორმით აღნიშვნა მათის დანიშნულებისა და სარგებლობა-მავნელობისა ბავშთათვის ისე არ არის მისაწდომი და გასაგები, როგორც მხატვრუ-ლი სახეებით და სურათებით მათი ახსნა-განმარ-ტება, შესწავლა. მიზანი დიდია და შიოც იკრებს მთელს თავის პოეტურ ნიჭს და ძალას, რომ ბავშვებს შეიყვაროს, გააგებინოს, აუხსნას, განუმარტოს ის, რაც მისთვის ყველაზე უსაჭიროესია — ბუნება, რო-მელთანაც ასე განუყრელოდ დაკავშირებულია მისი სიცოცხლე და არსებობა.

მეცნიერებიდგან ვიცით, რომ წყალი ერთი უმთავრესი ელემენტია ბუნებისა. საზოგადოდ წყალს, კერძოთ მდინარეებს, რუებს და ნაკადულებს დიდი მნიშვნელობა აქვსთ ბუნებაში. მათით ცოცხლობენ, სულდგმულობენ და კეკლუცობენ მთა-ბარი, მინ-დორ-ველი და ყვავილ-მცენარე; სხვათა შორის, ისინი აძლევენ ნაყოფიერებას, დოვლათს ყანას; ზრდიან ტყეებს... რომ ეს ასეა, ბევრმა დიდმაც არ იცის, შეიძლება ზოგიერთი „ნაშავლიც“ არ იყოს ამაში ჩახედული: და რა გასაკვირველია, რომ ამის შესახებ ბავშვს წარმოდგენაც არ ჰქონდეს. შიომ იკისრა, თავს იდო ლამაზად და თან გასაგებად აუ-



ხსნას პატარეებს წყლის ასეთი დანიშნულებრივი  
სარგებლობა.

პატარა ნაკადული ბავშვებს ეუბნება:  
„მინდა გადმოქვეთ სალაში  
ამწვანებული მთებისა,  
სალაში კლდეთა ჩანჩქრების  
და გაშლილ უფაფილებისა.

ოფით უფაფილების ცრემლი ვარ,  
ცვარ-ნაშად გამოწვეული,  
ერთს კალაპოტტში ჩამდგარი  
დღეს ნაკადულად ქრეალი.

იმ უფაფილების და ჩემი  
ერთია წალილ-სურვილი —  
გამხმარ ველ-მინდვრებს ვესხურო  
და ოქებენ მოგიპლათ წყურვილი. („ნაბ.,“ 1904, ნოემბ.).

იგივე აზრი უფრო მხატვრულად, უფრო ძლი-  
ერად შიოს გამოთქმული აქვს ლექსში: „წვიმა.“  
ამოვწეროთ მთლად ეს იშვიათი ნიმუში პოეზიისა:

„მთლად გადიბუგა შვევანა,  
მოსცდნენ სიმინდი, უანები...  
მინდორი, ველი, მთა, კორდი  
მთლად ლაქმს გაესახა ჩალასა.

უბალახობით სწუხს უველა:  
ფურს აღარა ჭიბავს ღურია,

მინდორში წიწენა არ არის,  
სამშილთან კიდევ სწეურია,

აა იელვა ცამ მედგრად,  
დაპქუხა, დაიგრიალა,  
გაჭერა-გამოჭერა ტალ-გვესი  
მთა — ბარი შეაზრიალა.

და წამოვიდა უუშუნა  
წვიმა ბროდისა წეალისა,  
სულის ჩამდგმელი გადამწვარ  
გვალვიან მთა და ბარისა.

სიმინდმა ღერო აიღო,  
გულს მოეფინა უანასა;  
ისმენენ წვიმის წეაპა-წეუპს,  
როგორც ტებილ მშობლის ნანასა.

გაცმა ცას მაღლი შესწირა,  
ფუტპარმა შორთო ბზეილი,  
პირუტყვთა შორის გაისმა  
სიხარულისა ზმუილი.

შეწედა ურძეოთ დარჩენილ  
ხბოთა და ბატპანთ ბდავილი,  
კვლავ გადაღანდა ბალახი,  
ფუტპართ სათაფლე უფაფილი". („ნ. „ 1907, №14).



ხომ მშვენიერია ეს ლექსი? ხომ ეტუ აუცილებელმას  
არაჩვეულებრივი სილაზათე, სილამაზე, აზრიანობა,  
სურათი, თუმც ყველასათვის ნაცნობი და ბევრჯერ  
ნანახია, მაგრამ ხომ ხიბლავს ადამიანს თვისის გან-  
საკუთრებულ სიმარტივით, მაღლიანობით?

მაგრამ წარმოიდგინეთ, შიოს აქვს უმშვენიერ  
რესი ლექსი, უექმნილი ამ აზრის გამოსახატავად.

ვგრძნობ, რომ დიდს ადგილს იკავებს გრძელი  
მონაწერები; ვიცი, ბევრი ფიქრობს, გრძელს ამო-  
ნაწერებს მაშინ მიმართავენ მიმოხილველნი, როდე-  
საც მათ მსჯელობა და სინტეზი უწყებს ძვირობა-  
სი. ვინც გინდ რაც უნდა იფიქროს, ჩვენ მაინც  
შიოს ნაწერების განხილვის დროს არ მოვერიდე-  
ბით ასეთს დიდს ამონაწერებს, რადგანაც ჯერ ერ-  
თო, მათი შინაარსის სინტეზი, მით უმეტეს მათი  
შინაარსის ბლანგვი პროზით ღირსეულად გადმო-  
ცემა შეუძლებელია და თანაც შეურაცხმულელია და  
მეორე-კი,— ვინ იტყვის გულახდილად, შიოს ნა-  
წარმოები ყველა წამიკითხია, მათი შინაარსი მახ-  
სოვს, მათი სიმშვენიერის შთაბეჭდილება არ წაშლი-  
ლა ჩვენს მეხსიერებაშიო?! ამისთვის ჩვენ მოური-  
დებლად ვანვაგრძნობთ შიოს ლექსების ამოწერას:

„ხედავთ, ბალდუბო, ანკარა

წეალს კლდიდან გადმომდინარსა?

ხან აღჭავებულს, მრისსანეს,

ხან დაწენარებულს, მცინარსა?

წამორბის, წამოგამების  
და საფამს აძლევს სერების,  
დაბლა ღიმილით უმზერის  
მწვანე კორდიან ვეღების.

შაწია, ქორთა უვავილების  
ჩაუვლის, წაუღიადინების,  
ზოგს ქოჩორს გადაუვარცხნის,  
ზოგის კალთაში იძინების.

რომ ცოტათ მოსვერებულმა  
შორი გზა პვალად განაგრძოს,  
ახლა ეწიოთს სწერა პუთხეს  
და ისიც გაალამაზოს.

როდესაც ცვარი და ნამა  
ცისა ზედ დაგმატება,  
ის მაშინ მაღლით აღვსილი  
გზას უფრო გაემატება.

მიდის და მიდის უღლესად,  
მისჩქვეს წინ, მიუხარია,  
იქ ეტანება, სად უფრო  
კორდები გადამწვარია.

რომ ცოცხალ მპვდარს ესხუროს  
მეურნალად მიესალმუნოს —

და მათი გამოცოცხლება

თავის გულს წილად არგუნთს. ("ნაბ., 1908).

ბუნების ერთი საუკეთესო დამამშვენებელი და  
თან სასარგებლო საგანია ტყე. გარდა იმისა, რომ  
თავის საიდუმლოებით მოცული ხან მღუმარე, ხან  
შრისხანე სახით დიდს შთაბეჭდილებას სტოვებს ადა-  
მიანზე და პოეტური სიტკბოება-კმაყოფილებას გა-  
ნაცდევინებს, ტყე უმთავრესი შემნახველ-დამცველია  
იმ ბუნების მაცოცხლებელ ძალისა, რომელიც გა-  
დამწვარ-გადამხმარ ქვეყანას წყლის სახით ევლინე-  
ბა; ამასთან ის ყოველს სულდგმულს თვის ჭერს  
ქვეშ საჭირო დროს მოსვენებას ანიჭებს. ეს საჭიროა  
ბავშთაც იცოდნენ და შიოც მხატვრულიდ უხსნის  
მას ტყის მნიშვნელობას:

„ძირს დაბლა სიცხის ლული სდგას,  
აქ ნიაგი ჰქონის გრილადა,  
ტყე მწვანედ მოუედუელათბს  
შიდამთს დასახრდილადა.

---

აურილი რცხილის და მუხის  
ედორტი ედორტს გადაჭინევია,  
ისე ჩაჭბერთან ერთმანეთს,  
ოტევით — და ძმასა სწავლია.

---

მათ გრილ ჩერთს ქვეშ მწერები  
დადან, დათვრიალობენ,  
-დაბზუილ-დაფუსფუსლიბენ,  
ფოთიალ-კოწიალობენ.“ (ჯეჭ., „1899, №9)

საინტერესოა იმასაც გავეცნოთ, თუ როგორ უხსნის მხატვრულის ხერხით მეოსანი თვის ნორჩ მკითხველებს დღე და ღამის და წელიწადის სხვადა-სხვა მომენტებს. აი განთიადი, შიომსაგან აწერილი:

„გავხედე აღმოსავლეთსა —

ცისკარი ამთდიოდა,

მოკრთოდა, მოციმციმებდა,

ნაკვერჩხალიფით დგიოდა.

—

ცა პირს იხსნიდა ალისფრად,

მთვარე შორს გადადიოდა;

მოსეირნობდა მზის თვალი, —

სიბნელეს სული სცვიოდა.“ („ნაკ.,“ 1910, №1).

პოეტის სიტყვით, ჯადოსნურ სახეს იღებს ბუნება, როდესაც ასე „მტრედის ფრად ირაერაებს“, როდესაც „ნამისაგან დავერცხლილი ოდნავ მოსახანს მთა და ველი.“ ეს ის მომენტია, როდესაც

„სოფელი ჭერ არ ხმაურობს,

თუშტა შეგრთა იქაც ძილი

და თვალების ფშვნეტით იძერის

მიწის მუშა, შროშის შეიღია.“ („ჯეგ. 1903, №8-9).“

ეს ის დროა, როდესაც

„ბნელი დილით იმოსება,

უპუნეთი სულსა დაფაგს;

მზე მთის წვერზე შემთიჭრა,

დაბლა ხევში ნისლებს ჰქაფაგს.

—

შირნარნარი, მოცინარი,  
არემარეს ქმოუგრება,  
გვდესჭი და მადლიანი  
სხივთა ფრქვევით ზედ აკვდება.

ძირს მიღამოც უხსნის მპერდესა,  
იპონებს და ეპონება,  
მჰმდუცდება, ლამაზდება,

იწონებს და ეწონება.« („ნაკ.,“ 1913, № 24)

პოეტმა კარგად იცის, რომ ბავშვებისთვის  
უსაყვარლესი წელაწაღის ის დროა,

„როგა მზე შემოიმადლებს,  
მთვარე კი დაბლა ცურდება,  
თოვლი და უინვა ფერს ჭარბავს  
და დედამიწა ფუვდება.«

ე. ი. მშვენიერი, ლამაზი, კეკლუცი და საამო  
გაზაფხული. ბავშვები გულის ფანცქალით წამიწამს  
ელოდებიან თავის საყვარელ გაზაფხულის დადგომას  
და როცა კი ის დადგება,

„ცას სიხარულით წვდებიან,  
მღერიან, მისახარებდად  
ერთმანეთს ეცილებიან.

„ახლა კი გაზაფხულდათ,“

გაიძახიან — სტებებიან.« („ნაკ.,“ 1910, № 5)  
მტრთლაც რომ საბუთიანია სიხარული და სი-



ამოვნება ბავშვებისა, რაღგანაც გაზაფხული სულიერების  
რომ წარმტაც სურათს წარმოადგენს:

„აპრილია, მთა და ველი  
გაფოთლილა, გადაშეილა;  
ცა გაშეაშებს, ცა ციალებს  
დურჯ-მთვერდლ, როგორც დიღა.

—  
ცხრათვალა მზე უხვად აფრქვებს  
ცხოველ სხივებს დაბლა ბარად,  
მდიდრის სახლს და დარიბის ქთხს  
ეფინება თანაბარად.

—  
ევავალების სუნელობა  
არემარეს მოფენია  
და მინდვრისკენ იწვევს უვალას  
სალერსთდ ნაზი ია.

—  
ცასა და შზეს უგალთბენ  
მოჭიაბჭიე ფრინველები,  
მათთან ერთად იმდერიან

მოზრდილნი და ქორფა ყრმები. “ ( „ნაბ., “ 1907, — №8)

კეკლუც გაზაფხულზე ფოთოლთა შრიალით,  
წყაროს ჩქრიალით, მწყერთა ჭუკჭუკით დამტკბარს  
ცელქ ბავშვებს მგოსანი არ უმალავს, რომ ბუნების  
და ადამიანის ცხოვრება დაუსრულებელი ლხინით  
აღყვავება-სიამით როდი არის აღსავსე.

როგორც ადამიანის, ისე ბუნების ცხოვრება-

შიაც არის თვისი ახალგაზღობა, სინორჩე, სიტურ-  
ფე-სილამაზე; აგრეთვე გაცერცნა, დაჭკნობა-დაუ-  
ძლურება და ბოლოს მთლად ძალთა მიღულვა, მო-  
დუნება, სიკვდილი.

მშვენიერს, სიცოცხლით და სილამაზით სავსე  
გაზაფხულს და მდირარს, ზავაუკაცებულს ზაფხულს,  
პოეტის სიტყვით, მოსდევს ისეთი დრო, როდესაც  
„მინდორი დაობლებულა, ყველაფერი მიყვითლე-  
ბულა, მთებსაც შემოუხვევიათ ლეგა ლრუბლების  
ჩალმები“ (ნაკ. 1909, №20); როდესაც ქარი სა-  
სტიკად უბერავს და ადამიანები, სიცივისაგან შეწუ-  
ხებულნი „შეშითა და კუნძ-ჯირკვებით ყველგან  
კერას აჩალებენ.“ („ნაკ.“ 1912, №22);  
ეს ის დროა, როდესაც

„გენახები ჩაიკრიფა,  
დასაწური დაიწურა.

—  
მადლიანმა ღვინობისთვე  
ქარი ტკბილად გაისურა,  
მზემ სხივები აიკრიფა,  
მიწამ ნისლი დაისურა.

—  
შავს ნისლებში გახვეული  
ტუე და ჭალა ჩაიბურა;  
ცამ შებლ-წარი შეაჭმესნა  
და სათოვჭედ დაიბურა.

წეალი ჩადგა კალაპოტში,  
 როდიდაა მხიარული,  
 მერცხალი ფრთას აღარა სცემს,  
 არ უგალობს მას ბუღალტი. “ („ნაკ.,“ 1909, №21).

აი „შემოღვომაც გაგვეპარა, არემარეს ნის-  
 ლი ბურავს და საცაა დედამიწა ზამთრის საბანს  
 დაიხურავს.“ დადგა ბავშვებისთვის საზარელი ზამ-  
 თარიც:

„დანაღვლიანდა ქვეუანა,  
 ჩადრი მოისხა არემა,  
 შზემ დაგვიძვირა სხივები,  
 შემთიმაღლა მთვარემა.

---

ქარი ქრის, თოვლი ზედ მოსდევს,  
 უინგა გგისუსხავს ხელებსა;  
 ხელთან ერთად ნამქერ ქვეშ  
 ჩასძინებია ველებსა.

---

„ვით მარმარილო შთრის თეთრად  
 მოსჩანან მთისა თავები  
 და უფსერულს ჩამოსაწილად  
 ეცველათბენ ზეავები.

---

ცაც ბურუსებით მოსილი  
 აღარ გაგვეურებს დიმითა,  
 პირს აღარ გვიბანს მინდვრებსა  
 ცივის ჟუჟუნა წვიმითა.

სდების არემარე უგელგანა,  
 სოფელიც მუნჯად ქრეულა!  
 გადის შირს ძველი საბძელი  
 თოვლის ქვეშ წამოქცეულა.

ზედ დასევიან ჩიტები,  
 საბენეს ეძებენ, წვალობენ,  
 ნისკარტით სცემენ ერთმანეთს  
 და უგულოთა გადობენ.

ბოსფის გარიდამ ბალდები  
 ჩიტების გროვას სედავენ;  
 უნდათ გამოსვლა გარეთა,  
 მაგრამ გი ვერა ბეჭავენ.

იქავე ახლო ბატა ძაღლს  
 გრუტუნით ჩაჭიუტებია  
 და მათზე ვგარდზე საწინდე

თოთილებისა ართავს ბებია.“ („ჯეჭ.,“ 1892, №6).

ამონაწერი ნიმუშებიდგანაც ცხადად სჩანს, თუ  
 რა გამოცდილი ოსტატია ბუნების მოვლენათა აღ-  
 წერა-დასურათებაში ჩვენი მგოსანი! განსაკუთრე-  
 ბული ლირსები და იშვიათი პოეტური ლირებუ-  
 ლობა მღვიმელის ამ ლექსებისა იმაშია, რომ ყვე-  
 ლასათვის გასაგები, ყველასათვის მისაწდომი, ყვე-  
 ლასათვის ადვილად განსაცდელნი არიან.

შეადარეთ შიოს ეს ხორცულების სმული ლექსები



თანამედროვე ახალ მგოსნების, ბრჭყვიალა და შეასრულა  
ლაპა სიტყვებით მოქაჩმულ — შეზავებულ უსისხლ-  
ხორცო ლექსებს, რომლებშიც სიტყვების რახა-  
რუხს, ფრაზათა გაელვარებას დაუჩრდილავს, ჩაუ-  
კლავს სიცოცხლე სახისა, და ოქვენ დაინახავთ, იგრ-  
ძნობთ, თუ რა განსხვავებაა ნამდვილს ჰეშმარიტს და  
ცრუ, ნაწვალებ პოეტურ ნაწარმოებთა შორის...

ყველამ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა  
აქვს ბავშვების მგრძნობიარე გულასთვის, მათი სა-  
ლი გონებისათვის და ლალი წარმოდგენისათვის ბუ-  
ნების შესწავლას, მათ საიდუმლოების გამოცნობას;  
მათის მრავალ-ფეროვან და მრავალგვარ მოვლენათა  
დაკვირვებას, შეთვისებას, შეყვარებას. ცნობილია  
ისიც, რომ ბავშობაში, როდესაც ადამის შვილი  
უფრო უდარდელი, გულგახსნილი, მგრძნობიარე  
და ყოველივე სიმშვენიერის „ლრმად შემთვისებუ-  
ლია,— უფრო აღვილად, უფრო მქიდროდ ეთვისება  
ბუნებას. ეს შიოსაც სხვებზე კარგად ესმის და მოუ-  
წოდებს კიდევ ნორჩის ბავშვებს დასტკბენ, ისიამოვ-  
ნონ ბუნებით, სანამ „ქვეყნის ჭირი და ცდუნება“  
არ მოუშხამავს მათ გულსა და გონებას.

„სანამ ურმა სარ, დაეწავე  
დადი მთების ოუნებასა,  
თორემ რცა გაეცნობი  
ქვეუნის ჭირს და ცდუნებასა,

—  
მაშინ, მაშინ, ეჭ რადა გსოტეა:  
დრო იქნება შეაცვალოს.

ნე ითიქრებ ამაზედა,  
 მამაშენი გენაცვალთს.

უური უგრე ქირთა ჭალას,  
 ხეები რას ჭრიალებენ,  
 მიმინთ და შავარდნები  
 ცაში რადა ტრიალებენ?

დაუკეთდი, დაუფიქრდი  
 უფავილების ენა ტბილისა:  
 ნიავთან რას ჩურჩულებენ —

სიუფარულს თუ სიძულვილსა? („ნაკ.“, 1914 № 19).

არსებობს განსაკუთრებული მეცნიერება, რომელიც იკვლევს და იძიებს პირუტყვების, ფრინველების, მწერების და სხვადასხვა არსთა და ქვემძრომთა აგებულობას, ფიზიოლოგიას. ზნე-ჩვეულებას, ხასიათს, ინსტიქტს. ამ მეცნიერებას შემოკლებით სკოლებშიაც ისწავლიან. რაც გინდ კარგიდ იყოს დაყენებული ეს საგანი სკოლებში, რაც გინდ ნიმუშებითაც სარგებლობდეს მისი მასწავლებელი, მაინც საგნის სწავლება არ გასცილდება განყენებულს და მშრალს გადმოცემა-შეთვისებას და თავის დღეში ვერ შეედრება პირალს გაცნობას და უშვამავლოდ შეთვისებას. ბავშვი ბევრ ცხოველს ეცნობა პატარაობითვე, როდესაც ის მათ ან მწყემსავს, ან ეთამაშება და უმეგობრდება თვის შესაქცევად. ამ პირობებში გაცნობა ცხოველისა, მისი



ზნე-ჩვეულების და ინსტიქტებისა გაცილებითა უფრო მეტა  
რო ნათელი და საფუძვლიანია, ვინემ წიგნებიდა  
გან ამონაკითხი და გაზეპირებული ცოდნა, და თუ  
ეს პირადი დაკვირვება და ცოდნა, ცხოველების  
თვისებების ბავშვებს ვინმემ მხატვრულს სურათებ-  
შიაც განუმეორა, გაუცხოველა, მაშინ ხომ სამუდა-  
მოდ აღებეჭდებათ ხსოვნაში! კარგი საბავშო მწე-  
რალი თავისის მხატვრულის ლექსებით, რომლებ-  
შიაც სურათებით აღწერილ-მოთხრობილია ცხო-  
ველთა ცხოვრება და ზნე-ჩვეულება, გაცილებით  
უფრო მეტს საზრდოს აძლევს ბავშვთა გონებას და  
წარმოდგენას, ვინემ გულმოდგინე ბუნების მეტყვე-  
ლების მასწავლებელი თვისი მშრალი გადმოცემით.

ბედნიერები არიან ქართველი ბავშვები, რადგა-  
ნაც მათ ჰყავთ საუცხოვო მხატვარი-მასწავლებელი, რომლის მადლიანი კალამი შეუდარებელ სურათებს ჰქმნის პირუტყვა-ფრინველთა ცხოვრებიდან და მით  
ბავშვებს უადვილებს ქვეყნიერების გაცნობას. და-  
ვაკვირდეთ შიოს ხერხს, მის ოსტატობას სხვადასხვა  
არსთა დახასიათება-გაცნობაში. ავილოთ მაგალითად  
ეშმაკი, მაცდური, მაგრამ ჰყვიანი, მელა. ბევრი  
გაუგონიათ ბავშვებს ამ თვალთმაჯუმი და გაიძვერა  
პირუტყვის შესახებ; ბევრჯერ უნახავთ მათ თვალით  
მისგან აწიოკებული საჭაომე; ბევრი მის წყევლა-  
კრულვა სმენიათ დედა-ბებიასაგან. ბავშვები ყოველ-  
თვის დიდის ხალისით და სიამოვნებით ისმენენ მო-  
თხრობას მელის ოინბაზობის შესახებ. თუ ასეთი



ჩვეულებრივი მოთხრობაც ბავშვებს აამებს **დაფიქციანობა**  
ტერესებს, პოეტურ სურათში იღწერილი მელას  
ოინები ხომ მთლად გაიტაცებს მათ და გაამდიდ-  
რებს მათ წარმოდგენას?!

შიოს დახასიათებით აი როგორია მელია:

„საით შიდიხარ, რას ეძებ,  
რას დაწანწალებ შეღია?  
მურელი ფერდზე შაგმებვთ,—  
საჭმელი შემოგეღია?!

ადიათ დაბლიდგან მოგესმა  
მამდაუინწების უიყილი!  
კბილები აგიაწაწაწლა,  
აგიტება მუცლის ტკივილი?

და ჩუმად მოიპარები  
კუდს მაღავ, ნაბავ თვალებსა,  
რომ დედლებს წამოეპარო  
და ასცდე ძაღლთა ბრჭყალებსა.

„მოიგდო ზურგზე საწეალი,  
ტეისაპენ გაარბენინო;  
კბილები უკლში ჩასტიდო,  
სული არ მოათქმევინო.

ხელი არ ახდო მისამარ  
აქ ჩემი უვინჩილ-მამალსა,

თორემ არც შენთვის დავზოგავ  
ერთ სრთლა ტევია-წამალსა.

არც კა გრცხვენია, თომ მუდამ  
ქურდეულად დაიპარებია,  
ადარსად ქანდარა გრჩება,  
არც სად საქათშის კარები!

თუ ვაჭპაცი ხარ, სოფელში  
თამამად შეხებად დიღითა.  
დაგესევიან ქოვებია,  
ისე გაგხდიან კისლითა,

რთმ ვაი-დედას იძახდე,  
თავსა და ბედსა ჩიოდე,  
გზა ადარსაით არ გქონდეს,

სულ ჭოტივითა ჟეკიოდე.“ („ჯეჭ.“ 1897, №9).

შიოს რამოდენიმე ლექსში იქვს გადაუჭარბე-  
ბელ-გაუზვიადებელი აღწერა მელიის ზნე-ჩვეულები-  
სა. აი ნამდვილი ნაცნობი, მაგრამ ორიგინალური დ  
გაშუქებული მისი ფსიქოლოგია; აი ირონია - და-  
ცინის კილოთი მხილება და დაგმობა მელიის გა-  
ძვერობა-დაუნდობლობისა.

ეს ლექსები, ართობს რა ბავშვებს, იმავე დროს  
ბევრს ცოდნასაც აძლევს ამ მხეცის შესახებ, რო-  
მელიც, როგორც ხალისიანად შეთვისებული, სა-  
მუდამოდ დარჩება მათ ხსოვნაში. ან და დავაკვირ-



დეთ „მოცანცალე“ კურდლელს, ამ „კომპიუტერული მწვანე კუტი-ლობის მტერს“:

„ბურდღელი მოცანცალებს  
უკრთა წეაპი-წეუბითა,  
გენახისებუნ მიძვრება  
ფეხ-აქრეფით, სეუბითა.

—  
მწვანე ბუტი-ლობით  
სულ მთლად გაატიალა,  
„იგანიჯას აეჭირ  
მოთმინების ფიალა.“ („ნაკ“ 1911 წ. №20).

ამ ლექსში ორიოდე ხაზის მოსმით მგოსანმა  
გადაუშალა ბავშვებს კურდლლის ზნე და ხასიათი,  
გააცნო მის ფიზიკურ ავებულობასაც და ამასთან  
აგრძნობინა, თუ რა ზარალი შეუძლია კურდლელ-  
მა მიაყენოს აღამიანს. და ეს მან მოახერხა ორი-  
ოდე სიტყვით, სადა ფრაზათა გარმონიულად შეწ-  
ყობით.

მეორე ლექსში მგოსანი აცნობს ბავშვებს კურ-  
დლლის ერთს იშვიათს ფიზილოგიურს თვისებას,  
იმას, რომ ბავიას დედა ძუძუს აწოვებს მხოლოდ  
სამ დღეს და ღამეს. ბავია ჩივის:

„ვინა სთქვა, ბედნიერი ვარ,  
ვინ შემომნატრის ამასა?  
განა მადლი აქვს ჩემს კაფინას,  
ამ ჩემს სმასა და ჭამასა?

რაც დავიძადე, არ გიცი  
 ერთი დღე სიხარულისა,  
 უურდაცმეტილი დავძვრები,  
 განკალი მახლავს მუხლისა.

—  
 ტბილი რძე, ტბილი ძექუთი  
 სამ დღეს მაწვა მხთლოდა,  
 მერე გაგარდა, წავიდა,  
 თითქოს არავინ ჰეთლოდა.

—  
 თქ, დედა, ნეტა გიცნობდე,  
 შებრედო ალმაცერადა,  
 ან გვითხო: ვისთან გამიშვი

შეიდობილად და გერადა?“ („ნაბ.“ 1912 №21).

თავისთვალ ნაზ გრძნობით გამობარს პოეტურს სურათში, რომელიც ბავშვებს აღუძრავს ყრმობის ტკბილ გრძნობას და ნეტარ მოგონებას, პოეტი მართალს და საინტერესო ცოდნასაც აწვდის ბავშვების გონებას. ასე შეუმჩნევლად, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად შიო ასახრდოებს ჯავშვების გონებას სხვადასხვა საღი ცოდნით. ეს კი უმთავრესი მიზანია ყოველ ნიჭიერი საბავშო მწერლისა.

ლექსში „ფისუა და მამლაყინწა“ მგოსანს იქვს დასახული სასაცილო, გასართობი, მაგრამ თან ფისუას ეშმაკობა-ოინბაზობის საუცხოვოდ გამომხატველი, მისი ზნე-ხასიათის მაჩვენებელი სურათი: ქათამთ კრებას ნელ-ნელა მიეპარა კუდის ქნევით



თვალკრუტუნა ფისუა; უცბად იკუმშა ჰუგრელზე  
ვლო ქათამთა გუნდში. ყველას — დიდს, პატარას,  
მამალს, დედალს — თავ-გზა აერია. დაფოხა, დაშინ-  
და ქათამთ გროვა.

„ზოგს ეიგიალი აუგარდა,  
ზოგი უშნოდ ჭაჭანებდა,  
ზოგი კიდევ ბუღ-წასული  
ძლიერს. ძლიერით ქაქანებდა.

—

ფისუა გი იცინოდა,  
გუჩქუჩქებდა ჩუმად გუდშა,  
ერთხელ კიდევ აპირებდა

გადახტომას მათ ფერხეულში“. („ნაკ“, 1907, №4).

ციცუნია ცელქია, როგორც თვით ბავშვები;  
დახტის, ხტუნაობს ისე, როგორც ისარი; აჯავრებს  
და აყვირებს მოხუც ბებიას, როგორც დაუდგრო-  
მელი შვილიშვილები; ის ხან

„გაიტაცებს წინდის გორგალს,  
გააგორებს, გაფარდება,  
არა ნადევობს, თუ ბებია

უევირის და უჯავრდება.“ („ნაკ.“ 1915, №13).

სიცელქესთან ციცუნიას ეშმაკობაც არ აკლია;  
დიდის სიფრთხილით და თან მოხერხებით ებრძვის  
თვის მტერ-მუხანაოებს და პოულობს თავისთვის  
და შვილებისთვის საზრდოს. სწორედ დახელოვნე-  
ბული ოსტატია ციცუნია ირსებობისათვის ბრძო-  
ლაში: იშვიათი თაგვი გაუსხლტება მის კლანჭებს.



ჩვეულებრივ, შეამჩნევს რა თაგვუნას, ციცუნთა: თავშეს  
მოიმძინარებს, თვალებს დახუჭავს და დაიწყებს ტკბი-  
ლიდ ფშვინვას, მაგრამ ისე კი, რომ მსხვრეპლს მაინც  
ხედავს. ასე სულგანაბული, გატვრინული უცდის  
თვის მსხვრეპლს და ბოლოს უსათუოდ ჩაიგდებს  
ხელში. („ჯუჯ.“ 1892, № 1).

რასაკვირველია, ციცუნის თვის სარგებლობა  
აქვს მხედველობაში, როდესაც ასე შეუბრალებლიდ  
სდევნის „წრუწუნა“ თაგვუნებს, მაგრამ თაგვების ასეთ  
დევნის ადამიანისაოვის, მისი ოჯახისათვის დიდი სა-  
რგებლობა მოაქვს. უკატო ოჯახში თაგვების თარეშო-  
ბას და თავგასულობას საზღვარი არა აქვს: ვერსად გა-  
დუმალავს დიასახლისს ტკბილეულბა, საჭმელი და  
სხვადასხვა მარცვლეულობა. ხშირად, როდესაც ფი-  
სუასი არ ეშინან, თაგვი მაგიდის თავზე მოექცევა.  
„ყველაფერს კბილსა დაადგამს, გულს არ დაუკლებს  
საჭმელსა, ტკბილეულობას მიირთმევს, მხოლოდ  
ხელს არ ახლებს სასმელსა.“ გამოძლება, გამოიფერ-  
დება თვითონ და მერეშვილებისაკენ გასწევს „კაპ-  
ლებითა და თხილითა.“

თავუნა დღიური საზრდოს შოვნით როდის კმა-  
ყოფილდება; ის ზამთრისათვის წინდახედულად ემზა-  
დება. ამისათვის მას. როგორც ბევრ სხვა უდირ-  
დელს ცხოველს, ზამთრის მოსვლა როდილა ესხვაოვე-  
რება, რადგანაც

„თვალ ვიწრო და გულით სარბმს  
ადრე მოიყველა თურა.

სხვის ნაშრომი აფაზაქე  
სორიებში მაღვით ზიდა,  
ბევრი ეანა გააფუჭა,  
ბევრი ცოდო აიკიდა.

განა მარტო სორიალი აქვს,

უდაგია ბდომად თხიდი, ...

არც პაპალი დაიწუნა. " („ნაკ.“ 1912, №22).

მოყვანილი მაგალითებიც მართლად მოწმობენ, რომ პოეტს ზედმიწევნით შეუგნია ის, თუ რანაირი ფორმით და რა სახით მიაწოდოს ბავშვებს საჭირო, სასარგებლო და საინტერესო ცოდნა ბუნების-მეტყველებიდგან. ნაცვლად მშრალი, მოსაწყენი და ძნელად შესათვისებელი განყენებულ თვისებათა ჩამოთვლა-აღწერისა, შიო აწვდის მათს გონებას ცოცხალს და გამახალისებელ სურათებს ცხოვრები. დგან.

რასაკვირველია, პოეტს მიზნად ის კი არა აქვს, რომ ბავშვებს მიაწოდოს გალექსილ-გარითმული მთელი კურსი ბუნების-მეტყველებისა, ე. ი. გააცნოს სისტემა-ტიურად ყველა ცხოველთა ფიზიოლოგია და ზნე-ხასიათი. არა, პოეტი მოწადინებულია, მიაწოდოს ბავშვებს მშვენიერ ფორმაში გახვეული, ადვილად გასავები, საინტერესო და სასარგებლო საკითხი; ამ მიზნისათვის არაქს თავის ლექსებისათვის იღებს იმ ცხოველთა ცხოვრებიდგან, რომელის ზნე-ჩვეულებას და ხასიათს ბავშვები კარგად იცნობენ.



მლეიმელს თავის ლექსებში გამოყავს ყაზარისხა  
გან კარგად ცნობილი ციცუნია, ფისუა, მელა, თა-  
გვუნა, კურდლელი, ბაჭია, ბატკანი, ძაღლი, ძროხა,  
ცხენი, მამლაყინწა და სხვა. საგანთა და ცხოველთა  
არჩევაში აშეარად გამოჩანს მგოსნის დიდად განვი-  
თარებული პედაგოგიური ოლოო; მას სასტიკად დაცუ-  
ლი აქვს ლექსებში საღ პედაგოგის ერთიძირითადაგანი  
მოთხოვნილება—მიაწოდოს ბავშვებს ის, რაც მათ აინ-  
ტერესებთ, პირველყოვლისა გააცნოს და თუმცნას  
ის, რასაც ისინი წინდაწინვე იცნობენ.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ის განყოფი-  
ლება ბუნების-მეტყველებისა, რომელიც შიოს მუ-  
ზას საგნად აულია, ვიწროა, ლარიბია. მაშასადამე,  
შიოს პოეზია ამ მხრივ ვერ დააკაყოფილებს ბავ-  
შვების ცნობისმოყვარეობასო.

ნუ დაგვავიწყდება, ბატონებო, რომ მგოსანი  
ბუნების-მეტყველების ოფიციალური მასწავლებე-  
ლი როდია; მას მიზნად სრულებით არა აქვს, მია-  
წოდოს ბავშვებს რაც შეიძლება მეტი ცოდნა ან  
სისტემატიურად გაიაროს კურსი ბუნების-მეტყვე-  
ლებისა.

საბავშო მწერლის მოვალეობა პირნათლად  
აღსრულებულად ჩაითვლება მაშინაც კი, თუ მან  
გაუადვილა, შეაყვარა, გააშუქა რამოდენიმე მოვლე-  
ნა, ან ფაქტი იმ მასალიდან, რომელსაც ბავშვებს  
აწედიან ოფიციალი პედაგოგები.



ადამიანს დიდი კავშირი აქვს დედამიწასთან. შიწა „დედა“ ჩვენთვის: ის გვასაზრდოებს, გვკვებავს თავის ნაყოფიერებით, გვატკბობს, გვასიამოვნებს თავისი მშვენიერი მორთულობით და მოკაზმულობით, ადამიანი გრძნობს და ცხადად ხედავს ასეთს მჭიდრო კავშირს მიწასთან. ასეთი მჭიდრო კავშირი ადამიანის და დედამიწის შორის სუფეს უმთავრესად სოფელში და ხორციელდება სოფლიურ მუყაით მუშაობასა და დედა-მიწის სიუხვეში. უდედამიწოდ კაცობრიობა ვერ იცხოვრებს, ბუნებას და სოფელს ხელოვნურად მოშორებული და ქალაქის ცივს, მტვერიანს, და მჭვარტლიან კედლებში მომწყვდეული ადამიანი ღრმად გრძნობს მათთან კავშირის გაწყვეტის სიმწეავეს; პირველ შეძლებისთანავე იგი ცდოლობს, დროებით მაინც, რამოდენიმე თვით ან კვირით, განაახლოს შეწყვეტილი კავშირი, იგემოს და შეიტკბოს ბუნების, კერძოთ სოფლის — სიამოვნება; დაუბრუნდეს ტყეს, მინდორს, გაგორდეს მწვანე მოლზე, დაიტკბოს სმენა ჩიტების სიმღერა-ერიამულით, ისუნთქოს წმინდა, მოუშამავ ჰაერით.

ბუნებას დაშორებულს ადამიანს ძაღლება, ყიჯდება ქალაქის ხელოვნურად მოწყობილი სიტკბოს და სიამეს მოკლებული, უზრუნველყოფილი, მაძლარი ცხოვრება; მას ენატრება თვალუწვდენელი სივრცე მინდვრებისა, ხეებით დარაზმულ-ჩახლართული, შავად და მრისხანედ გამომზირალი ტყე. ნაპირებ-ამწვანებული, ხეების ზოლებით გარშემო-



ვლებული ლალი მუინარე, ცქრიალა, ბალანტინი  
მოჩურჩულე კამეამა წყარო; მას ენატრება შეუბო-  
კველ-შეუკვრელი სივრცე, თავისუფლება, ბუნე-  
ბრივობა, სიუხვე სილალე. და როდესაც ეს ნატვა, ა-  
ეს ბუნებრივი სურვილი ადამიანს არა იქვს დაკმა-  
ყოფილებული ან იშვიათად იკმაყოფილებს მათ,  
მაშინ იგი უმაღურია ცხოვრებისა და რაღაც გამო-  
ურკვეველ მოწყენას და მოდუნებას გრძნობს. ბუ-  
ნებასთან და მის მოვლენებთან პირად კავშირს და  
განწყობილებას მოკლებული ადამიანი, როდესაც  
მას ვერ ძალუს დედის წიაღს დაუბრუნდეს, მისი  
მადლიანი ძეგუთი ისაზრდოვოს, იგი იკმაყოფილებს  
თანდაყოლილ მოთხოვნილებას ისეთის ნაწარმო-  
ების კითხვით, რომელშიაც მოთხრობილ-აწერი-  
ლია ბუნების ძალთა სილალე, მათი სილამაზე,  
მათი უხვობა და ცხოველმყოფელი ძალა, ასეთს ბუნე-  
ბრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ ის მწერალნი,  
რომელნიც მხატვრულად ასურათებენ უბრალო, ყო-  
ველ-დღიურ და ჩვეულებრივს ცხოვრების მოვლე-  
ნებს, რომელნიც ასწერენ ბუნებას, სოფლის მუშაო-  
ბას, დროსგატარებას, ჭირ-ვარამს და სხვ.

თუ წყურვილი ბუნების წიაღში დაბრუნებისა,  
მასთან დაახლოვებისა ცხოვრებაში ჩათრეულ, სხვა-  
დასხვა მოვალეობით დატვირთულ, პატივმოყვარე-  
ობით და ვერცხლმოყვარეობით ხშირად დაბრმავე-  
ბულ-გაქვავებულ დიდ ადამიანშიაც ასე მწვავე და  
მძლავრია, მაშინ ხომ ადვილი წარმოსადგენია, რა

ძლიერი იქნება იგივე წყურვილი სიცოცხლით და მოძრაობით აღსავსე ბავშვის გაურკვენელ არსებაში?!

განა ჩვენ, დიდებს, შეგვიძლიან ისე შეუსისხლ-ხორციელ, ისე შეუკავშირდეთ სოფელს და სო-ფლის ცხოვრებას, ისეთის გრძნობიერი სიმებით გადავებათ დედამიწას და მის წიაღს, როგორც ეს შეუძლია გულუბრყვილო და ბუნება-დაუმახინჯე-ბელ ბავშვს? განა ჩვენ შეგვიძლიან ისე უანგაროდ დავსტკბეთ „ოქროსფრად აპრიალებულ“ ყანით, სი-მძიმით დაძლეული და მტევნებით მიწის მკოცნელი ვაზით, პურის ძნებით გატენილი და „შემოკვერც-ხილ“ კალითი, როგორც ეს ბავშვებს შეუძლიან?

ეჭვს გარეშეა, რომ მუშების და საზოგადოდ დიდების ბუნებით და სოფლით სიხარულ-დატკბო-ბას თან ახლავს ანგარიში და ამავე ხასიათის სია-მოვნება. ბავშვების დატკბობა კი წმინდა ესოეთიური და უანგაროა, ამ დატკბობას იშვიათად დაჩრდილავს „სოფლის წაღმა მოსული სიკეთის უკულმა დატრი-ალება“, ესე იგი მოუსავლობა და სხვადასხვა მიზე-ზით გამოწვეული სოფლის განადგურება.

ჩვენს პოეტს კარგად იჭვს გათვალისწინებული ეს ბუნებრივი ალლო და მისწრაფება ბავშვებისა და ცდილობს კიდევა პოეზიის საშუალებით ჯეროვანად დაუკმიყოფილოს მათ ეს ბუნებრივი მოთხოვნილება.

ამ მიზანს ემსახურებიან შიომს შემდეგი ლექსე-ბი: „ყანა“, „საახალწლო ნატვრა თანდილასი“, „მკა-ში“, „შემოდგომა“ („ნაკ.“ 1909 №20). „შემო-



დფლმა“ („ნაკ.“ 1911, №21), „სამი სურათი, უკანასკნელი  
ნის ჩივილი“ და სხვა.

პური მოსულია. ყანა ფიცხობს, პრიალდება,  
დროა მოიმკას, თორემ აგვიანდება, მერე რა პური?  
სულ არ ურევია ჭვავი, სიმძიმისაგან მიწას კოცნის.  
ამისთანა მოსავლის წახდენა საცოდავობაა, დიდად  
დასაგმობია. ამას ხედავს უფროსი მუშა და იწვევს  
სხვებს, დროით შეუდგნენ მკას?!.

„გასწი, ბიჭი, გაეტია,  
დღეს ნამგალი ფხიანდება;  
გამოუსვი ხელუურსა,  
თორემ დაგვიგვიანდება.

—  
მზემ სხივები გაასპერა,  
ქანა ფიცხობს, პრიალდება;  
შიგ ჩაიწერის მოსაგალი,  
სარჩო გაგვიტიალდება.

—  
აბა, მექნევ, გენაცვალე,  
არ დაზოგო მუხლის თავი,  
მაგრად შეპარ და შებოჭე  
სალეწი და დასაფქვავი.

—  
დაგედოცოს, ყანავ, მადლი,  
სულ არ გირევია ჭუავი,  
სიმძიმისგან მიწას ჰერცნი,  
მტრისაც კი ხარ სანახავი.



ბიჭი, ჩქარა, ხელეური,  
ბიჭი, ჩქარა, სველი უღღ,  
თორემ დადგა მემნეური,  
შე ზარმაცო, შე თრგულო.

—  
ებრე, ებრე, მესკეურო,  
გასტერ უანა, გადაეძე,  
შემთხვევ „ჰოთპუნა“,  
შენთან სხებიც გაახელე.

—  
თავში ახვალ, თუ ბოდოშია,  
აიმართე, ჩახველე,  
ცხელი თველი მთიწმინდე,  
უელი ღვინით ჩაისველე,

—  
ჩამორჩენილს უთხარ მაგასედ:  
ჩამოდექი, სიუმე-მქრალო,  
დღეს შენ ღვინო არ გირგება,  
მარტო წეალი უნდა სცალო.

—  
გასწი, ბიჭი, გაეტიე,  
თორემ ძალზე გვიანდება,  
თუ დროზე არ მივეშველეთ,  
უანა ჩამარცვლიანდება. („ნაკ.“ 1913, № 11).

სოფლელ ბავშვისათვის ამ ლექსებში აწერილი  
სურათი კარგად ნაცნობია. მათ ბევრჯერ უნახავთ  
ოფლში გაწურული მუშები და გაუგონიათ მათი



მაღლიანი „პოპულარი“. პოეტი ამისთანა ბედნიერების  
ქხოლოდ გაუცხოველებს თვის საუცხოვო ლექსებით  
გადავიწყებულ სურათებს და ერთხელ განცდილ  
სიამოვნებას ხელახლად აგრძნობინებს.

ქალაქელ ბავშვებისთვის-კი, რომელთათვის სო-  
ფელი და სოფლური მუშაობა და სიამოვნება  
უცნობია, ეს სურათი, როგორც ახალი და უცნო-  
ბი, ბავშვების წარმოდგენაში შეიტანს ახალ სასი-  
ამოვნო და საინტერესო შთაბეჭდილობას. ისინი ამ  
ლექსების ზედგავლენით რამოდენიმედ მაინც წარმო-  
იდგენენ იმას, თუ ვინ და როგორ უმშადებს ქვე-  
ყანას არსობისაოვის საჭირო პურს, ვისი ოფლით  
და გარჯით იკვებება მთელი ქვეყანა.

შიო მღვიმელი მოუთხრობს ბავშვებს, თუ რა  
წვა-დაგვით და მძიმე შრომით მოჰყავს მუშა გლეხს  
ქვეყნის სარჩო, თუ როგორ ბევრჯერ უნაყოფოდ  
ჩაუვლის ხოლმე საწყალს შრომის-შეიღლს გარჯა-მუ-  
შაობა და შეუბრალებელი და უგრძნობი სტიქიონი  
გაუტიალებს მთელი წლის ნაამაგარს. სეტყვა, სიცხვ,  
წვიმა, ქარი ბევრჯერ უოხრებს „შვილივით გა,  
ზღილს“ ჯეჯილს და ვენახს. თავის მოთხრობით პო-  
ეტს სურს აგრძნობინოს ნორჩის ბავშვებს სიმწვავე  
და სიმძიმე მუშის ცხოვრებისა, მისი უბედობა, მი-  
სი უილბლობა

ნათხოვარის თესლით დაიმუშავა გლეხმა ყანა.  
ყანაში თავდაპირველად „დატრიალდა ლვთის თვა-  
ლი.“ ნაგრამ ხანმოკლე გამოდგა მუშის ბედნიე-



რება: მავნე სტიქიონშა მას ხელიდან ფართული  
თითქმის მოსული სარჩო... მივისმინოთ გაუბედუ-  
რებული გლეხის ჩივილი:

„შეჭირი დამითავთავდა,  
შეტის სიმძიმით წვებოდა;  
ისე დაბრაწა მზის გულმა,  
მტერსაც პი ეამებოდა.

—  
გაფიქრე, ახლა დაუხვდები  
გუღუხვად დარიბს, მშიერსა,  
ქედს არ მოგუხრი სიყალბათ  
გასისინებულ ძლიერსა.

—  
მაგრამ სურვილი, წადილი  
ხედიდან გამისრიალდა:  
წადმა მთსული სიპეტე  
უკუღმა დამიტრიალდა.

—  
სეტება მოგიდა, დამიკრა  
შეუბრალებლად ყანასა,  
მტერიც არ გამიწონავდა  
მე გუღმა ასე დანასა!

—  
ჯეჭირო, ყანად ქცეულო,  
სიაშით შემოგცემეროდი,  
თავს ვიწონებდი შენითა  
და გუღმა ტკბილად გმიდეროდი.

მაგრამ შენს დახვავებასა  
 ბედმა რომ აღარ მაცალა!  
 ჩაგრებვა მწარე გრიგალმა  
 და მერ უწევდოდ დამცარა.

—  
 ა დღეს ვხედავ, ბუნებას  
 ცრთ - გაშლით ფერი იტჰალა,  
 გულმა იქმარა საგრძნობლად,  
 რაც აქამდისინ იწყალა.

—  
 თბილ მზის სხიუებთან ხალისით  
 ვიკებ სულ ახალ ძაღლსა,  
 ხორბალს დავსთესავ, მოვიუფან,

ქოჩორა ჭეჭილ-ეანასა. ("ჭეჭ.", 1904, "დაზ. ჩივილი").

შეუბრალებელი სტიქიური მავნე მოვლენების  
 გარდა საბრალო მიწის-მუშას კიდევ სხვა ბევრი  
 მტერი ჰყავს. თავვი რა არის, ისიც ხშირად უსახ-  
 სროდ სტოვებს მუშაქს, უკულმა ატრიალებს მისი  
 ღოვლათის ბორბალს.

ყური დაწუგლოთ ნინოს ჩივილსაც:  
 თაგვები შემთგვეჩერივენ,  
 ზიღუს და ზიღეს ხორბალი:  
 უბედმა დაატრიადეს  
 ჩემი ღოვლათის ბორბალი.

—  
 თაგვების თინობაზე  
 შეზობლებიცა ჩიოდნენ,

მაგრამ გურავის გაეგა,  
 ხაიდან შემთდითდნენ.

ჭირმაც წაიღოს ფისქა,  
 ხატიც გაუწერეს, დმერთიცა,  
 ისე განავსდა ტიალი,  
 ვერ დაიჭირა ერთიცა.

აი რა უთხრა ჩემთავად  
 მე იმასთანა ბატასა,  
 რომელიც მარტო ძეხვების  
 ჭამაში იჩენს მადასა! („ნაკ.“ 1909, №9).

გლეხი მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როდესაც  
 ბუნება უხვობს და მოსავალი კარგი მოვიდა. ამ  
 შემთხვევაში რაც გაზაფხულზე და ზაფხულში მუ-  
 შამ შრომა დახარჯა და ოფლი დალვარი, ნაყოფი  
 იღებს, სარგებლიანობს, დოვლათიანდება. სოფელში  
 გაჩაღებულია მხიარული და იმედიანი მუშაობა.

„ქვევრები ირეცხება,  
 მზადდება საწნახელი,  
 მაღვე მიეშევეჭება  
 გენახს მშრომელი ხელი.

შეიქნება ჩიჩქთდი,  
 კრეფა, ურმის ჭრიალი,  
 საწნახილდან თავდარში  
 ტბილის წკრიალ-ჩქრიალი.“ („ნაკ.“ 1911, №21).



აუწერელ სიამოვნებას გრძნობს შრომის შეი-  
ლი, როდესაც ხედავს, რომ შრომაშ ამაოდ არ ჩა-  
უარა და ლვის თვალი დატრიალდა მისს ნაშრომ-  
ნადაგში; საზოგადოდ გლეხის მთლიანს, მიწასთან  
დაკავშირებულს ბუნებას ისე არ აღელვებს, არ  
ამოძრავებს ცრუ სიამენი ამა სოფლისა: პატივ-  
მოყვარეობა, ოქროს-მოყვარეობა, ძლევამოსილე-  
ბა და სხვა, როგორც კმაყოფილი, უზრუნველყო-  
ფილი, კარგად მოწყობილი სოფლური მდგომარე-  
ობა. გლეხი ჩვეულებრივად ნატრულობს:

„პარგ ხარ-კამეჩის უთლასა,  
ახალ გუთანს და საკვეთსა,  
შრომით მიწასთან ბრძოლასა,  
ქვითვირით ჩადგმულ საბძელსა,  
წინ შემოგვერცხლილ კადოსა,  
ბლომად სახნავ და სათესსა,  
ანეულსა და აღოსა;  
სახლის წინ კთხტა ბეღელსა,  
თბილსა და ფართე ბოსელსა,  
რომ უფრო კარგად დაუხვდეს  
სტუმრად მიმსვლელს და მომსვლელს.“

პირველ შეხედვით, გადამეტებით მიწიურია  
იდეალი გლეხისა, მხოლოდ სმა-ჭამას, თავშესაფერ  
და კმაყოფილ მცენარეულს ცხოვრებას დასტრიალებს  
მისი ნატვრა—სურვილი. მაგრამ ეს მხოლოდ პირველ  
შეხედვით; ისე კი გლეხსაც სწყურია აღამიანური  
არსებობა, ისიც სულით და გულით ესწრაფება თა-

ვრცელდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას, სწადიან, თავისთვის ბატონ—პატრიანი თვითონ იყოს, არვის წინ ქედს არ იხრიდეს, იცოდეს, თუ რა ხდება ქვე- უნიერებაზე. გლეხი აფასებს სწავლას იმისთვის, რომ გრძნობს მისს ძალას, მის სარგებლობას. შიოს გლეხი

„ნატრუალის უდლის მთხმნასა,  
შველგან წელ-გაშლით გასვლასა,  
სკოლაში დაზრდას შეიღების

და იმათ ბეჭით სწავლასა.“ („ნაკ.“ 1908 № 1).

საზოგადოდ პოტი განსაკუთრებულის სიმპატიით აშუქებს გლეხის მძიმე, მაგრამ პატიოსან, ნამუსიან ყოფა—ცხოვრებას. ეს ცხოვრება ისეთი მიმზიდვე- ლია, რომ ყველას თანაგრძნობას და სიამოვნებას აღძრავს, მომეტებულად კი ნორჩ ბავშვების გულ- ში. თავის ხელოვნურ აღწერით პოეტი აგრძნობი- ნებს ბავშვებს დახეულ ფარაჯაში გახვეული გლეხის ცხოვრების სიპატიოსნეს, მის გონიერებას, მიხვედ- რილობას, ადამიანობას.

ამგვარად შიოს ლექსების მკითხველი ბავშვები სიყრმითვე ეჩვევიან სოფლის სიყვარულს, მშრო- მელ გლეხის ყოფა—ცხოვრების პატივისცემას, მის შრომა-გარჯის, აზრიანობის გაგებას და დაფასებას. ეს პატარაობიდანვე შეთვისებული და განცდილი გრძნობა საძირკვლად ედება იმ მშრომელ ხალხის შე- გნებულ პატივისცემას, რომელიც მოეთხოვება მო- მავალში ყოველს გათვითცნობიერებულს ერის შვილს, პატიოსან მოქალაქეს.



მშრომელი ხალხისადმი სიმპატიით ჰუნდურებული  
როლით გამობარი ლექსები განსაკუთრებით იმ ბავ-  
შვებს გაუსპეტაკებს გრძნობას, გაუწმენდს სულს და  
გულს, რომელთაც ბედმა არგუნა დაბადება და  
აღზრდა ისეთს წრესა და ოჯახში, სადაც მშობელ  
ხალხს არ აფასებენ, სადაც ეს ხალხი მხოლოდ მეწველ  
ფურად დაუსახავათ. ეჭვი არ არის, რომ ასეთი მრუდე  
შეხედულებით მოწამლულ ბავშვების სულს შიოს ლექ-  
სები მოსწმენდავს ზნეობრივს ჭუჭყს და საღად აქ-  
ცევს. ვის შეუძლია ასწონოს ან დააფასოს ის მად-  
ლი, რომელსაც ამრიგად სთესავს ჩვენი მგოსანი?  
ბევრმა მშობელმა არც-კი იცის, თუ ვინ გაადამიანა  
მათი საყვარელი და სასიქადულო, საონოებით და ზნე-  
ობრივ სისპეტაკით ნაქები შვილი? ან და განა თი-  
თონ გაადამიანებულმა და ზნეობრივ სიმახინჯეს გა-  
დარჩენილმა იცის, თუ ვისი წყალობით გაეწმინდა  
მას გული, ვინ ჩაჰვევსა მასში პატივი და სიყვარული  
პატიოსან მშრომელ ხალხისადმი?!?

კეთილის მყოფელი, მკურნალი ხშირად უჩი-  
ნარად რჩება; მხსნელს ვერ ხედვენ; სულიერს აღმ-  
ზრდელს ჯეროვანი პატივით არ ეგებებიან. ასეთია  
აუწონელი და შეუმცნებელი საზოგადოდ მოქმედება  
და ზედგავლენა ნამდვილის ხელოვნებისა და მის  
ჭურუმთა! ჩვენში დღეს სხვადასხვა პარტია ერთ-  
მანეთს ეცილება, არა მე უფრო ვაფასებ მშრო-  
მელ ხალხს, არა მე უფრო მიყვარს ის, არა მე ვა-  
კრცელებ და ვქადაგებ, რომ ის ბურჯია ერისაო,

რომ მასში ჩამარხულია დიდი ძალა და სხვა და სხვა. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ საქართველოში არც ერთს პუბლიცისტს — პროპაგანდისტს და არც მთელ პარტიას არც სიტყვით და არც საჭირო ისე არ გაუშექებია შარავანდედით გლეხის სანდომიანი სახე, ისე არ გაუზრუნებია და არ გაუპატიოსნებია მისი მარჯვენა, როგორც ეს მოახერხა შიო მღვიმელმა თვისი სადა და მარტივი ლექსებით.

პოეტის უაღრესად ეროვნულმა ნიჭით თითქმის შეუგნებლად და მიზან-დაუსახვად სიყვარულით და-ხატა და გააშუქა საქართველოს მომავალის გამომ-ცედველის და დღესაც — მისი არსეობის დედაბო-ძის - საზოგადოდ მშრომელი სალხისა და კერძოდ სოფლის გლეხის სანდომიანი და სიმპატიური სახე. აკი კიდეც შიო ასე ღრმად უყვართ მდაბიო ხალ-ხის შვილებს!

გარდა სიმპატიისა და სიყვარულისა შიო მღვი-მელი უნერგავს ბავშვებს გულში გაჭირვებულ-და-ჩაგრულ და ლარიბ-ლატაკის შრომის შვილისადმი სიბრალულს და თანაგრძნობას; თუ კი ვინმე გაჭი-რვებული ლირსია სიბრალულისა და თანაგრძნობისა, პირველყოვლისა ასეთი თანაგრძნობის ლირსია სოფ-ლის პატიოსანი, მუყაითი, ფხიზელი, უანგარო, მო-რწმუნე და მოსიყვარულე მიწის-მუშა. იმ დროს, როდესაც უმთავრესი მიზეზი ბევრი სხვადასხვა ჯურის გაჭირვებულთა და ლარიბ-ლატაკთა ხშირად თვით მათი სიზარმაცე, ან კიდევ ბევრი სხვადასხვა



ზნეობრივი ნაკლულევანებაა (ლოთობა, ავტორული მუსიკა სხვა.), მიწის-მუშის „სარჩო-საბადებლის საბაღლ — ლორად გახდომა“, მისი გაღატაკება კი უმთავრესად ბუნებით, ან სტიქიონის შეუბრალებელ ზედგავლენითაა გამოწვეული. ვინ არ იცის, რომ ხშირად მუყაითი, დღე და ღამ შეუწყვეტლად მშრომელი, ბეჯითი, კოლმვილის მოყვარული და ფხიზელი მუშა ულუკმა-პუროდ რჩება, საშინელს სიღარიბეს განიცდის. სიღარიბეს, „ძაღლურ ცხოვრებას“, ხომ თან მოსდევს სხვადასხვა ავადმყოფობა, რომელიც უზომოდ სტანჯავს ისედაც შიმშილით კუჭვამხმარ გლეხს და შეუბრალებლად წუთისოფელს ასალმებს?! აი ასეთი ბედისაგან განაწამებ და მრავალტანჯულ ადამიანებისაკენ არის მიმართული მთელი სიმპატია ჩვენის შეოსნისა: ის ცდილობს სამწუხარო, მაგრამ გლეხის გაჭირვების ნამდვილი სურათებით წრფელი თანაგრძნობა გამოიწვიოს მათდამა ბავშვების გულში. ლექსში „ნატვრა“ შიო ასწერს გლეხის უმწეო, თითქმის სასოწარკვეთილს ყოფა-ცხოვრებას.

ღაჩაგრული ადამიანი ღმერთს შესთხოვს:

„დმერთო, მეც გადმომხედევი  
ერთხელ წეაღობის თვაღითა,  
თორემ ეეღამდე ავიგსე  
ცოდ-შეიღის ცოდთ-ბრადითა.

მოგხეცდა, გული გაშიტედა,  
დაშიუძლურდა ჭაგარი;

გმუშაობ ცისმარია დღე,  
 არ მოჩანს ნამუშევარი!

—  
 ”წელებზე ფეხი დავიდგი, —  
 მაგრამ ვერ გავხდი ღონესა  
 და ცდია პადევ თავს აკლავ ს  
 სხვის გარ-მიდამოს, თონესა.

—  
 შეიდა მედო-ედ მივეცი,  
 მინდორში დასდევს ღორებსა,  
 ვერც დღეობაში წასუდა,

ვერც სჩვენებია სწორებსა.“ („ჯევ.“ 1893, № 6).

არა ნაკლებ მძიმე და შესაწუხებელი სურათია  
 დახატული შიოს მეორე ლუქსში: „სამი სურათი“.  
 „პალარა შერეულ სოლოს“ ცოლშვილი მძიმე ავად  
 ჰყავს. ცოლი ლოგინზე საცოდაიად ხრიალებს და  
 სიცხის ალით დამწვარს ბალლსაც ვერ მოუსვენია და  
 შამფურივით ტრიალებს. იცის საბრალო სოლომ,  
 რომ ცოლშვილი მალე სატირელი გაუხდება და ობ-  
 ლად დარჩება; სულიერს ტანჯვას უბედურ გლეხს  
 უორკეცებს ისიც. რომ „სარჩო საბალებელიც გა-  
 უხდა

„საძაღლ-ღორადა,“ რომ  
 „უანა მზისაგან ჩაეწეა,  
 სიმინდი ქვიშა-შლამითა;  
 ვენახი გაუტიადა  
 ასერმა დათვემა დამითა.“



ვის დაემდეროს საბრალო,  
ვის შეუთვალოს უვედრება?  
თიაქთს უფალმაც უარჲეთ

შისი თხოვნა და ვედრება.“ („ჭეჭ.“ 1893, №5).

მძიმეა დაკარგვა საყვარელ არსებათა; აუტანელია მშიერ—მწყურვალი „ძალლური“ ცხოვრებაც. ვის არ „გაუტეხს გულს“ და არ დაუუძლურებს ჯავარს“ ასეთი ცხოვრება?! ასეთს ყოფაში დაჩაგრულს ადამიანს ერთი რამ ცოტათი მაინც უმსუბუქებს „ძალლ—უმაღურს ცხოვრებას“: ეს ის, რომ დატანჯულით ავისუფლად მაინც სუნთქვას, თავისუფლად მოძრაობს და ბუნების კარი მომავალში მაინც მისთვის არ არის დახშული: მზე იმასაც მოეფინების, მთვარეც იმისთვის კაშკაშებს, ნიავიც მისთვის ქროლავს, მინდორ-ველიც მისთვისაც მწვანე ბალახებით აბიბინებულია. „მშიერს და დატანჯულს რა ესთეთიკის ცხელაო“, შეიძლება იფიქროს ვინმემ. არ, ბატონებო, ეჭვს გარეშეა, რომ „არა მარტო პურითა ცხონდების ადამიანი!“ ესთეთიურ და მორალურ განცდას ლარიბ-ლატაკ და მშიერ-მწყურვალისათვისაც აქვს დამაამებელი და შემარიგებელი მნიშვნელობა!

ორკეცად შესაბრალისი და თანაგრძნობის ღირსია ისეთი ტანჯული-წამებულები, რომლებიც, ნებასით თუ უნგბლიერ, თავისუფლად მოძრაობის და ბუნების სიმშვენიერით დატებობის სიტყბოებასაც არიან მოკლებულნი, ავილოთ, მაგალითად, ტუსალნი.



ი ო სწორედ ამ უკანასკნელ ტანჯულ პრაშიგანები-  
სადმი სიბრალულს ქაღაგებს შიო თავის რამოდენიმე  
შვენერ ლექსში.

„თუ მქონდა ნაზ-ბულბულის  
ხმა ნარნარი, საკვირვევლი,  
ჩემგან მას გერ მოისმენდა  
ვერც მინდორი და ვერც ვეჭი.

—  
სედ სხვა შხარეს, შორს ქაღაქში  
გაფჩნდებოდი, როგორც ქარი;  
იქ დგას სახლი მეტად დადი  
მეტენვარე და შესაზარი,  
რომლის მაღალ პედლების წინ  
ჟარაული იძღვირება  
და წერილ ფანჯრის მინებიდგან  
ხალხი გადმოიმზირება:

—  
ეველა მწარედ დადგრემილი  
ჩამომქანარი, ჩამომხმარი,  
რომელთათვის ერთი ტებილი  
სიტუაცის მთქმელი არყინ არი.

—  
საღაც მხოლოდ მწარედ დმუის  
შირქუში და მძაფრი ქარი.

აი სწორედ მათ საკვირლის წინ  
დაგაწებდი ჭიაჭია-ფრენას

და გაფობით შავდღიანებს

გულს მოვთენდი შვება-ლხენას. „ („ნაკ.“ 1911, №17).

საზოგადოდ შიო მღვიმელი უნერგავს ბავშებს სიბრალულს და თანაგრძნობას ყოველ გვარი წამებულ-დაჩაგრულებისადმი, ურჩევს, ახსოვდეთ ყოველთვის, რომ „ქვეყნად ცხოვობენ ტანჯულები!“ კერძოდ, რამდენი მათხე პატარა ან დიდი დაუჩაგვრია ობლობას და დაღის მწყურვალ-მშიერი; რომ ობლების გარდა, არიან „ხელმოკლე ლარიბლატაკნი და უილაჯო მშობლები“, რომ საზოგადოდ ქვეყნად უფრო მეტი ტანჯვა წვალებაა, ვინემ სიხარული, სიტკბოება და კმაყოფილება.

პოეტი მოუწოდებს პატიას:

„იდაცე შათთვის, მიაპუარ

ზეცას პატია თვალები

და შეაბრალე მაცხოვარს

ბედისგან განაწვალები.“ („ნაკ.“ 1894, №3).

რა მშვენიერი, გულში ჩამწერომი და ნაზი გრძნობაა ჩაქსოვილი ამ პატარა ნაწყვეტში! რა გვარ მოხერხებულადაა გადაბმულ-ჩაქსოვილი ბუნებრივი გრძნობა აღამიანურის სიბრალულისა სარწმუნოებრივ სასოებასა და განცდასთან! ხომ ამჩნევთ, რანაირად აშუქებს და ალრმავებს პოეტი ბავშვების წარმოდგენაში საღმრთო ისტორიის იმ იღვილს, სადაც მაცხოვარი, ბავშვებით გარსშემორტყმული, ეალერსება და ებაასება მათ. მაცხოვარი ხომ ბავშვებია მეგობარია, მათი მოსიყვარულე მამაა;

ის სუკელაფერს აუსრულებს მათ. და აი შიომცემა  
წმინდა სარწმუნოებრივ ტოტზე ამყნის ბაჟშეების  
თანაგრძნობას, სიბრალულს და სიყვარულს ჩაგრულ  
ადამიანებისადმი.

მოყვასი, რასაკვირველია, უნდა უყვარდეს  
ადამიანს; დაჩაგრული „ხელ-მოკლე ლარიბ-ლატაკი  
და უილაჯო მშობლები“ და საზოგადოდ ყველა  
„ბედისგან განაწვალები“ უნდა ებრალებოდეს მას.  
მაგრამ განსაკუთრებით სიყვარელი, სანუკვარი და  
სათაყვანებელი არიან ახლო ნათესავები და მეგობ-  
რები: დედა, მამა, ბებია, პაპა, და-ძმანი, მეზობ-  
ლის გოგო-ბიჭები, სკოლის ამხანაგები და სხვა. ამ  
პირებთან გვაკავშირებს, გვაერთებს, გვამოყვრებს  
ყველა ჩვენგანს სისხლ-ხორცი, ამაგი, მზრუნვე-  
ლობა, უანგარო სიყვარული, თანზრდილობა, საერ-  
თო თამაშ-დროს გატარება და სხვა. არაფერი ისე  
არ არბილებს, ისე არ ასათუთებს, არ აკეთილშო-  
ბილებს აღამიანის სულსა და გულს, როგორც მშო-  
ბლიურ-ნათესავური, ამხანაგ-მეგობრული გრძნობას  
სიყვარული! და თუ ეს ასეი, მაშ საჭიროა, ეს გრძნობა  
ბავშობიდანვე განუვითარდეს, მოულონიერდეს, გა-  
უშუქდეს აღამიანს გულში. ოჯახი, შეკლა, ლი-  
ტერატურა შეენებულად უნდა ემსახურებოდნენ ამ  
კეთილშობილ მიზანს.

ჩვენი ოჯახის და სკოლის რა მოგახსენოთ და  
ჩვენი ქართული ლიტერატურა კი, უმთავრესად შიო  
მღვიმელის მადლიანი ნიჭის წყალობით, პირნათლად



და ლირსეულად ემსახურება ამ მიზანს. შიოს ჭრაშებით გი, ამ მიზნისაკენ მიმართულნი, საუკეთესო ნაწარს მოებად უნდა ჩაითვალოს მოელს საბავშო ლიტერატურაში. ასეთი ნაზი, წმინდა და უმანკო გრძნობით გამობარი ლექსები ჩვენ არ შეგვხვედრია სხვა ერის ლიტერატურაში მერე ამ ლექსებში რა მშვენიერია თვით კილო მოთხრობისა; რა ბუნებრივი და მხატვრულია თვით ზღაპარი, ამბავი შემთხვევა, მოგონება, რომელსაც ასწერს პოეტი; რანაირ სადა, ჩვეულებრივ, ყოველ-დღიურ სურათებშია ჩაწყული ღრმა აზრი და წარმტაცი გრძნობა! გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ შიო ამ დარგში უბადლო და შეუდარებელია! არ გჯერათ? გაზვიადებულიდ გეჩვენებათ ჩვენი აზრი? აბა მოისმინეთ. მოსიყვარულე ბებია „მოჩხაპნულს ბარათში“ შვილის შვილს სწერს:

„შენ ჩემთ დამტირებელო,  
ფარდო ბებიის გულისა,  
რომ ადარათერს არა მწერ,  
ნეტა რამ ბაგაჯულისა.

—  
იქნებ, შემდერი, ბენაცგა.  
სილი რომ დაგიგვიანე?  
თდონდ შენ კარგად ისწავლე,  
მე გული გამიმზიანე

—  
და შემდეგ, რაც გსურს, მომკითხე,  
ბებია შენთვის მზად არის:



იმდენს ვაშლს გამოგიგზავნა,  
რომ გევთს მთელი ზამთარი.

რომ ვერა გნახეა მდენს ხანს,  
ჯანი და ღონიერა მაღნება,  
შეიღო, იცოდე, მანდა ვარ,  
რა წამს უინული გადნება.

ბიძა თომა მანდ იქო  
იმ დღეს თქვენ სანახადა,  
ვერ მოსულიყო ხელმოკლედ,  
დარდს გაეხადნა აფადა.

წამთდებული ჩურჩხელა  
გზად სადმე დავიწევბოდა,  
ჯავრისგან დაბრაცუნებდა,  
ფეხზე ძლივასა დგებოდა.

მემტლეს ტიპი მოეხსნა,  
ესვა — და წეალი ჩაესხა,  
იმ შეჩვენებულს ეიეინა  
თურმე ბატებიც წაესხა.

ამ სირცევიდს ურთ მოებლა  
და სულ ეპლები დაესხა,  
მემტლის გასაღნდლავად  
ზიზღის ფარხმალი აესხა.

თქვენ გენაცვალოთ ბებია,

თომას წე დაქმდეურებით!

ამ სააღდგომოდ მანდ არის

კაბალი, ნაზუქ-პურებით.“ („ჭეჭ.“ 1904, ღებებ.).

რა უბრალო, მაგრამ გულში ჩამწერომი კილოა; რა ალექს. სიყვარული და ბოლიშია აქ გამოხატული! რა გვარი ირონია და დაგმობაა გამოთქმული „შეჩვენებულ მეეტლისადმი.“ - თვით მოთხრობა, არაკი—ეს ხომ ბუნებრივობის და სისალის შეუდარებელი ნიმუშია! ? უბადლითა მეორე ლექსიც. ამოს ვსწეროთ მთლად ესეც, თორემ მხოლოდ შინაარსის გადმოცემა მისი დამახინჯება იქნება. დედა ავათ მყოფ ბავშვის აკვანს არწევს და „ნანას“ უმღერის:

„მოდით, მოქუჩით, მოგროვდით,

ტურთა ვარდნო და იანთ,

ფრთებ-დაწინწკლულო პეპელავ,

მერცხალო შორის გზიანთ!

ნიავო დაღის მთებისავ,

წეაროვ ბროლ წინწკლებიანთ,

ბულბულო, ღამის მგრისანთ,

ადარც შენ დაიგვიანთ!

ჩემი ჰატარა უფავილი

ბატონებით მუავს აფადა

და უველას ერთად გხმითბილობით

თავისთან სანახავადა.

ეგავიდნო, შირმში ძეძუთა  
 დამიტბეთ სურნელებითა,  
 შეპელავ, გაუნიავე  
 შენის შაწაწა ფრთებითა!

წყაროვ, ესხურე მკურნალად,  
 ბუღალეთ, მოჰეე ბაბანსა,  
 ნიავთ, წენარად მოჰერე  
 ბატონებიან აკანსა.

მერცხალთ, ენა-ხმატბილთ,  
 შენ ბადევ გაეხმიანუ,  
 უთხარ, სად იუავ აქამდის,  
 ან რისთვის დაიგვანე.

უმღერე, როგორც ნანინა,  
 რაც კა საგაღისელი,  
 აგრემც თავს შემოგევლება  
 შისი დედა და მმთბელი.« (კლ. ა. 1897, №2).

საჭიროა მიმომხილველისთვის ელვარე და მკვეთ-  
 რი სიტყვა, რომ ამ ლექსს დაახლოვებით ლირსეული  
 ახსნა-კომენტარია გაუკეთოს; საჭიროა, რომ თვით  
 მიმომხილველი იყოს პოეტი ან მხატვარი. ვინაიდ-  
 გან ჩვენ ასეთი ნიჭით განგებას არ დაუჯილდოვე-  
 ბივართ, ამისთვის თავს ვანებებთ ამ ლექსის შე-  
 სახებ რამეს თქმას; დევ, მსმენელ-მკითხველი, ბუნე-



ბისაგან დაჯილდოვებული მშვენიერების გრძნობისათვე  
განცდით, დასტკბეს ამ ლექსის საუცხოვო პარმო-  
ნიით და შეუზარებელის გრძნობის სინაზით.

განვაგრძოთ ასეთი ჯადოსნური ლექსების გან-  
ხილვა. პატარა გოგონა ავათმყოფ მშობელს გვერ-  
დით ვერ შორდება. ოჯახურ საქმისთვის ხელი ვერ  
მოუკიდია. „ეზოც რჩება დაუგველი.“ გოგონას ეჯავ-  
რება სუსხიანი ზამთარი და ხანმოკლე ზამთრის დღე,  
რადგანაც ავადმყოფ დედას „გულს უსერავს, რო-  
გორც გველი.“ ის ემუდარება ზაფხულს და ეუბნება:

„შენ მიუვარხარ, შენ დდებრძელი,  
მოდი, დედა გამიგურნე,

ამიუვავე მთა და ველი“ — („ნაკ.“ 1904, №5).

ცქრიალა, ლუგრუმელა და კოპწია გოგონა,  
რომელსაც დედამ „ჩახატული, ჩაკვანწული“ კაბა  
შეუკერა, დარჩა საშობაოთ უჩუსტოდ, ფეხშიშველი.  
შეწუხებული მამას შესჩივის:

„როგორ უნდა დავენახო  
საშობაოთ ჩემ ტოლ ქალების!  
ამავლებენ, ჩამავლებენ  
ეშმაკები ჩუმად თვალების.“

მამა ანუგეშებს

„ნუ ინალეჭებ, კაბა ხომ გაქვს,  
დაგიჲერების ჩუსტების ბელა  
და იოლად წახვალ შობას,  
ჩემთ ცემიტო ცებრუმელა.“

ამ სიტუაციით დაამშვიდა  
 მამამ შეიძინ, ენა-ტბილი  
 და ადერსით დაუქოცნა

შეგენიერი მას ტუჩ-ბილი “ („ნაკ.“ 1909, № 24).

პატარა ბავშვს დედა შინ იღარა ჰყავს. ძალიან  
 შეწუხებულია მისი დაშორებით და მოუთმენელიდ  
 ელის დაბრუნებას. ნამეტანის მდელვარებისგან სა-  
 ბრალის „გული უხტის და სული უჩქროლავს“ და  
 აღარ უნდა დაიძინოს. ის შესთხოვს მზეს, მთელი  
 ქვეყნის დედას, ბევრი იღარ ალოდინოს, „მაღა-  
 ამობრწყინდეს“ და მით დაასწრაფოს „შორის გზი-  
 დან დედის მოსვლა.“ ბავშვმა იცის რომ დედას  
 მისთვის „საახალწლოთ მოაქვს ბევრი ტკბილეული,  
 ნაზუქი და შოთი ჰური, მთვარესავით მიღეული.“  
 ესეც, რასაკვირველია, ბავშვს ახარებს, მაგრამ ამას  
 ის არ დაეძებს, რადგანაცა

„მშობელს ეღის სულით, გულით,  
 უნდა, უნდა, დროზე დასტებეს  
 მხთლოდ დედის სიუვარულით.“

—  
 გადაეტდოს როგორც ვაზი,  
 ხეართქმასავით ზედ დაეწიას.“ („ნაკ.“ 1915, № 2).

—  
 „ომა ხუჭუჭა ბიჭუნია“ ეკითხება „ფრთა-მალ-  
 ხაზა ჩიტუნიას,“ რათ არის დალვრემილი. - მიზეზი  
 მისი დალვრემილობისა თურმე ის ყოფილა, რომ საღ-  
 ლაც წასულია „ყელ-ნაცარა და ფრთა-ჭრელი დე-

და ტკბილი“ და ჯერაც ორ დაბრუნებულია; „არც  
მამა სხინს, რახანია, სანაქებო მგალობელი.“ გულ-  
დამწვარი ჩიტუნია ეუბნება ბავშვს:

„არ დარჩები, ვიცი, წახვალ,  
ბიჭო, ლიტანია-დამეს,  
მოდი, ჩემი ღეღმამარა  
შაგედრე ქაენის მხსნელსა,  
იქნებ დახსნას ტავაოსას

და ვალიას იმ შავბინელსა. (“ნაბ.“ 1910, № 8).

პატარა მტრედი ჩივის, რომ ისევ „პატარა  
იყო, პაწია ქორფა ფრთიანი,“ როდესაც დედა მო-  
უკვდა. ბედისგან განწირულს, ობოლს, ოხერ-ტი-  
ალს „მამა-ლა დარჩა ნუგეშად და განთიადის ტრფი-  
ალი.“ საბრალო, „ობლობის ფიქრით ბურვილი“  
მტრედი, მამით-ლა გრძნობდა სიხარულს, „ მაგრამ  
„ისიც მოსტაცეს, როგორც ნატვრა და სურვილი.“  
 (“ნაბ.“ 1909, № 7).

ცევიტი მერცხალი დაპქროდა ჭიკჭიკ-გალობით  
და ობოლს ბავშვს ფრთებს ულამუნებდა ხუჭუჭ  
ომაზე. პავშვი ეკითხება ჩიტს:

„რა გინდა ჩემგან, მერცხალა,  
რად დამტრიალებ თავზედა?  
გამაშედ, უბედური ვარ  
ისედაც ქუჟანაზედა!

მერცხალი უპასუხებს:

„არ მოგეშვები, გოგონავ,

ვიდრე ძალა მაქვს ფრთისათ,  
 უნდა რაშ გითხრა პატიმარ,  
 ტანჯულ წამებულ ქმისათ.

მთხოვა: „გაფრინდი, მაღხაზოთ,  
 ნახე სამშობლო მხარეთ;  
 საფამი მიეც ჩემს დასა,

საფამი გულმხურვალეთ.“ („ნაგ.“ 1904, №11).

პატარა თინამ, დედის ალერსით და ტკბილ რძით  
 დამტკარმა, მაღლა აიხედა, თვალი მოჰკრა მერცხ-  
 ლის ბარტყებს, მხოლოდ არსად სჩანდა დედა.

„ცმეციტი ჰაწაწინა გული  
 მოუსვენრად ფანცქალებდა,  
 ფრთასა შლიდა, ჭეიშინებდა,  
 თითქოს კიდეც ბანკალებდა.“

თინამ ხვეწნით ჰკითხა დედას: მითხარ, რა ატი-  
 რებს ჭიკუკასო? დედამ მიუგო:

„როცა წელან დედა შენი  
 გარეთ იქთ, ჩინჩხვარს ჰქონდა,  
 გუდიანთ ცებრუშმელავ,  
 დოგიინში რა გატირებდა?!“

---

შაგის დედაც მინდვრად არის,  
 მოუმზადოს ჭია-ღუა,  
 განა მუქთა გუბულთა,  
 დილას ტექ როშ გააურუა.

---

შვილთ, მერცხლის ადათია,  
 უდარაჭთს ნათესს, მდედოს

და თან შავნე ჭით შვილებს

შირი ჩაუგემრიელდას.“ („ნაპ.“ 1912, № 9).

ამნაირად პირდაპირ და ალეგორიულად, მსჯელობით და სურათებით შიო მღვიმელი აღრმავებს, ასათუთებს, ასპეტაკებს და ანაზებს ბუნებისაგან ყოველ არსის, განსაკუთრებით კი აღამიანის გულში ჩასახულს და ჩანერგულს მშობლიურს და ნათესავურს გრძნობას. მგოსანი დაუინებით ჩასჩიჩინებს ბავშვებს, უყვარდეთ მშობლები, არ დაივიწყონ მათი ამაგი, შრომა, თავგანწირვა და სიყვარული; იგავებით ეუბნება, უხსნის მათ, რომ მშობლიურნათესავური გრძნობა პირუტყვებსა და ფრინველებშიაც ძლიერია; განსაკუთრებით შვილებისათვის დაუფასებელია ამაგი დედისა; და აკი შვილებსაც უსაზღვროდ უყვართ დედა.

„ნურვინ მეტყვიო,“ პირდაპირ ეუბნება მგოსანი ბავშვებს:

• ნურც შინ, ნურც გარედ,  
 გინდ ვიცინდებ,  
 გეგნესოდე მწარედ,  
 რომ ქვემანაზე  
 დედაზე ტბილი,  
 გრძნობით მხერვალე  
 და გულით თბილი  
 სხვა ვინმე იქმეს.

—  
 თუმცა შორსა მეავს,  
 მაგრამ დედის გულს,

იმის ტკბილ აღერსს,  
იმის სიუბარულს

და გულით ნათებაშის  
სევდიანს ნახას,  
მარტო მაუფლოთ  
გინდ მთელ ქვეპანს,

რა დამაფიქერდს!  
დდისით, თუ დაშით  
ცხადად თუ ძილში,  
მწარე მთვეჭმაში,

გინდა დობინში—  
მის წმინდა აღერსს  
გულით გატარები,  
მის ნათელ სახეს

თვით შზეს გადარებ. „(„ნაკ“, 1912, №24)

სწორედ ღირსი მშობელი დედა ასეთის სი-  
ყვარულისა. დედის სიყვარულისთანა წმინდა, ღრმა  
და უანგარო დედამიწის ზურგზე არაფერი არის!  
ვის, რომელ აღამიანს, „ეწვის, სტკივა ასე ღვიძლი“;  
ვის აქვს ისე „გულ-მკერდი და ძუძუ დამწვარი,“  
ვის სდის ისეთი „ცხარე ცრემლები,“ როგორც  
შვილის დამკარგავს დედას? მხოლოდ „ცრემლების  
ბუდედ ქცეულს, ზოვა ბოლმით და დარდით“ შე-  
კურობილს დედას შეუძლიან ასეთი სიტყვები წირ-  
მოსთქვას:

„ნეტაშც გამაბებინა,  
თუ სადმე დედა სტირისთ,  
მეუფებ, ეგადას აშორე

სიგვდილ-სიმწარე შვიდისთ.“ („ნაკ.“ 1909. №4)

ვინ არ იცის, რომ დედა შევნებულია და დამშვიდებით მზად არის შვილს თავი ანაცვალოს, მის მაგიერად ბედს ზვარაკად შეეწიროს. შაოს ერთს თავის ლექსში: „სამი სურათი“ შესანიშნავად იქვს დახატული ამგვარი გულამჩუყებელი სურათი დედის თავგანწირვისა და შვილის ღრმა სიყვარულისა.

დედა და შვილი მძიმედ ავად არიან. მათ ეს-ტუმრათ მხსნელი ცის ანგელოზი. დედამ სასოფ-ბით ხელები გაშალა და ანგელოზს შეეველრა „ხვეწ-ნით და მორიცებით“:

„ტის ანგელზთ, შენ გახდი  
სემ სიურმის შვიდის ფარია;  
არ მომიშრიოტოს სიგვდილშა  
სიცოცხლით დაუმტკბარია,

---

ჭერ ქორფა არის გულითა,  
უზადო, უანგართა;  
მაგის გრძნობა და გონება  
მთის მოგამამე წეართა.

---

შე დაფრჩე, იგი მომიკვდეს,  
გადავიქცეული არაკად,

ისა სჯობს, ისევ მე მოგვიდე, დ

დმერთო, მიმიდე ზუარაკად.“ („ჯეჭ.“ 1893, № 5)

ამავე გრძნობას ასევე ღრმად აშუქებს შიოს  
სხვა ლექსებიც: „ვარდის ბუჩქი“ („ნაკ.“ 1909 № 4),  
„ოთხი ძმა პეპელა“ („ჯეჭ.,“ 1892, № 4). „დედა  
კაბას უკერავდა“ („ნაკ.“ 1908, № 2) „გულითადი  
თხოვნა“ („ნაკ.“ 1914, № 1) და სხვა.

ცელქი, მოუსვენარი, მოძრავი, მხიარული და  
უდარდელია ბავშვი თავის ლალი ბუნებით. მას  
სიამოვნებით გულს უხსნის მწვანე ყვავილ-ბალახე-  
ბით გულმოქარგული მინდორ-ველი და უცინის  
გაზაფხულის მზე; მას ჩუჩჩუხ-წკრიალით უმენას უტკ-  
ბობს ანკარა წყარო და ნაზად უგალობებენ მოჭიკ-  
ჭიკე ფრინველები; დედა, მოსიყვარულე დედა, ხომ  
ალერსით, სიყვარულით და მზრუნველობით ატკბობს  
და ანებივრებს თავის პატარას. იშვიათად თუ  
რამე სერიოზულად დაალონებს და დააფიქრებს  
მალხაზ ბავშვს. ჰერნია, რომ სულ ასე თამაშობით  
და უდარდელად გაატარებს თავის ცხოვრებას. ოჯა-  
ხი და სკოლა მოვალეა, გონიერი მიმღინარეობა  
და ელფერი მისცეს ბავშვის ასეთს ბუნებრივ სი-  
ლალეს, მკვირცხლობას, თამაშობა-გართობას; მო-  
ვალეა, ხელი შეუწყოს მის ნათელ, ბრწყინვალე  
სულის განწყობილებას... მაგრამ ამავე დროს იგი-  
ვ სკოლა და ოჯახი ვალდებულია მოხერხებუ-  
ლიდ, გონივრულის ლონისძიებით ბავშვი დააფი-



ქროს ცხოვრების სხვადასხვა საჭირობო ორგანიზაცია მიმდინარეობს რებაზე, დაანახოს და აუხსნას მას, რომ ცხოვრება მხოლოდ სიამოვნება როდია, რომ ადამიანის ცხოვრება მოითხოვს დიდს შრომას, გამრჯელობას; რომ ცხოვრების გზა უფრო მეტს შემთხვევაში მოფენილია ნარ-ეკლიტ, ვინემ ია-ვარდიტ, რომ სიზარმაცე, უდარდელობა, მუქთა-ხორობა, უსაქმურობა აფუჭებს ადამიანს, ხრწის მას სულიერ—ხორციელობად. ოღონდ ასეთ ჩაგონებისათვის არა კმარა მშობელთა და პედაგოგთა მშრალი დარიგება, განყენებული მხილება და სენტრენცია. საჭიროა, რომ ლიტერატურამაც მიაწოდოს მშობლებს და სკოლას ცოცხალი და სალი მხატვრული მასალა ბავშვებში ამ აზრისა და შეხედულების ჩასანერგად და განსამტკიცებლად. ყველა ერის ლიტერატურა კისრულობს ამ მოვალეობას, ემსახურება ამ მიზანს.

სხვათა შორის, შიო მღვიმელიც დიდი, ხელოვნებით აყვარებს ჩვენს ბავშვებს შრომას, გამრჯელობას, ბეჯითობას და აძულებს სიზარმაცეს, მუქთა-ხორობას, უდარდელობას, ფუქსავატობას.

„ადე, ბიჭ, ზაქარია!

წამოვრინდი აბა ჩქარა.

შზე კაშკაშებს, შზე იცინის,

ცამ ღრუბელი ვადიქარა.

შზის სხივები თქრთს ფერად  
ხუჭუჭუ თმაზე გმიფინება,

შერცხალიც თავს დაგჭიბჭიბებს,  
 შენ კი ისეგ გეძინება?!

ადე, ბიჭო ზაქარია,  
 ადე, ადე, გმარა ძილი,  
 ერთი პადებ გადიკითხე  
 ღღევანდელი გაბგეოდი,

თორებ დედას ეწეონება,  
 დაგიძახებს სიუმე მზე-ბნელს,  
 ზარმაცი და ძილის გუდა

შეჭავრდები მასწავლებელს. ("ჯეგ." 1912, №23)

ლექსში „ფუტკარი“ პოეტი ბავშვებს უჩვენებს  
 მაგალითს დაუკრძომელ, მაგრამ მაინც საამო შრომა-  
 მუყაითობისას. დალოცვილი და ნაკურთხი ფუტკარი  
 ბავშვებს ეუბნება:

„არა, ჩვენ ღვინო არა გვაქვს,  
 ისეც სავსე ვართ დხინითა,  
 სული და გული ბვისარის,  
 როცა არ გვმინავს ძილითა.

აა აშ ღამეს რევრაჟზე  
 მივველ და მოვიქელ გეღები,  
 გნახე მრავალი უვავილი,  
 ვარდები სასურველები,

ათ სწაირი ბალახი  
 მომწვანო, სრულა-სრულები,

სამოდ გადაუჭიდათ  
 ერთმანეთის თვის ექვები.

ბეჭრი გამოხნდა მათგანი  
 უხვი, პურმარიდიანი,  
 მოძცეს სათაფლე ნაერე,  
 ფეხები მამაქნი მტკრიანი.

ახლა სკის გუნა მივთვრინავ,  
 ზუზუნით მივმშრები,  
 რომ დავემზადო სოიედისა  
 თაფლი და ფიჭის პურები.

ვიცი, მაურიან სიცილია  
 ბუზები უგუნურები,  
 მაგრამ რას დავსდევ, დე სულელო  
 გამოუჭიდონ ეურები. ("კუპ.," 1903. №21).

მუყაითი და მშრომელი ბავშვის სანდომიან ტიპ-  
 სა ჰემის მგოსანი და მიუთითებს თავის ნორჩ მკი-  
 თხველებს, იყვნენ იგეთივე გამრჯელნი და მუყაით-  
 ნი. — სკოლაში მორიგედ დანიშნული თინა ადრია-  
 ნად წამოფრინდა, გადიკითხა გაკვეთილი, ხევისაკენ  
 მიირბინა; ცივ-წყაროზე საჩქაროდ ვადიბანი პირი,  
 ხელი, თავზედ კოხტად გადაისვა ტუჩ-კოპტია სავარც-  
 ხელი,

„დაბტაბა აბგას მეგირცხელად,  
 ზურგს მოიდო სედდასედად,

დედისაგან დაშვებარ ჩაით  
 გმღა-პი გერ ჩაისველა.

შშიბედს უთხრა, მიყდიფარო,

ადრე უნდა მიგაშერო,

რომ სკოლაში მიმსვლელ-მომსვლელს

დავუსვედე და უთვალუერო..” („ნაბ.“ 1914 №9)

ბავშვებისათვის მისაბაძ მაგალითს მგოსანი იღებს  
 სოფლის ცხოვრებიდანაც, საღაც შრომა და გამრჯვ  
 ლობაზეა დამყარებული აღამიანის ბედნიერება.

შრომის-შეილს გლეხს დიდის წვალებით დაუ  
 მუშავებია ყანა. ღმერთს მოუხედნია საწყლისთვის  
 და ყანაში „დატრიალებულა უფლის თვალი.“ მშვე  
 ნიერი სანახავია ქვეყნის მარჩენელი ყანა:

„ნეტა ნახთ მადლით სავსე

ქვეუნის მარჩენელი ყანა,

მისს უტურფესს, მის უამესს

თვალი ნახავს კიდევ განა!

ნავი ზედ დასისინების,

მიდის, მოდის მეღეური,

შრიალებს და იზნიქება

ვით მომგალის ხელეური.

უკელაზედ მეტად ეს საუცხოვო სანახავი ახა  
 რებს თვით მუშას. ის გატაცებისა იტყვის:

„ნეტავი შენს გამჩენელა,

ბუნებისა ძალთა ძალთ,

სანამ მიღებას ჰირში სული,

შენს მაღლს უნდა ვენაცვალო.“

ასეთი ლრმა განცდა, ასეთი სიამოვნება-დატუკბობა თავის ნამუშავრით მხოლოდ ბეჯითს და მუყაითს შეუძლიან. ზარმაცი და მუქთახორა“ ვერ შესძლებს განიცადოს შრომის ასეთი სიტკბოება,— შრომის ნაყოფის ასეთი სიმშვენიერე და დოვლა-თიანობა. ზარმაცის გულს ვერ გაახარებს ვერც „სი-მინდის და ყანის ბიბინი. ვერც მუშების მწარ.-ტკბილ ლილინი.“ ძილისაგან გასიებულ-დაზანტებულს, გვერდ-ზე გადაბრუნება ეზარება, ხელფეხი ვერ გაუნძრევია. („ჯეჯ.,“ 1907, №7—8). „თავლიად“ მცხოვრები არამც თუ აითონ პირადად უბედური და დალუ-პულია, მისი არამზადობა მთელ ოჯახსაც აუბედუ-რებს და სპობს. პატარა ძმა ეკითხება თავის უფ-როს ძმის, რამ მოუსწროფა სიცოცხლე დედას აღ-რეულადო?

„მამის თავდია ცხოვრებამ,

მამის უჯიშო ქცევამა,

მისმა შინ დღისით არუთვნამ

და გარედ დამისთებამა.

სად დადოდა, ვინ იცის,

ერთ აფაგს არა დგებოდა:

მისდევდა ქსიფს, ღვინის სმას,

თვეუბით იგარებოდა.



აქა-იქ ღროსი გასატარებლად  
უკუღს არ იღებდა ჯიბები;  
მე და ღება-კი მუდამ ღღე  
გიუჩვით სიდარიბები.

—  
სად იუთ ჩვენთვის სადალი,  
ან დროზე ძილი დამითა;  
საბრალო ღება ზეზედა  
თვალის ატეჭებლა წამითა.

—  
მასსთვის, როდესაც ლოდინით  
მოდლალი წაიძინებდა,  
ძილში მორთავდა ფაპარაკს  
და მწარედ გაიცინებდა.

—  
სულ ჩვენზედ ფაპარაკობდა  
და აევედრებდა მამასა,  
რომ უკრის არ უგდების შეიღებისა  
და მისდევს სმას და ჭიმას.

—  
შენ მაშინ ძებუთ იუავი,  
ჭერ ფეხზე ვერც-კი ღიებოდი,  
თუ რომ გსმენოდა უგება ქს,  
შეც ცრეპლად დაიღვრებოდი.

—  
ცრემლმა ღალა ღებაცა,  
გმილავ უფრო დადარდინდა,

ჩამდინა როგორც სახითედი,  
 და გული დაუზიანდა.

მოგვდა და თბილ დაგვტოვა,  
 შატრონად დაგვრჩა ბებია...  
 დედა აქ ასაფლავია,

აი, აქ რომ დიდი ქვებია.“ („ჯეჭ.“ 1894, №4)

თუ ჯინკველა, შრომი გარჯის ილოოთი ვა-  
 კეზებული, მძიმე ტვირთი ათრევს და ისე ეზიდება  
 მას, როგორც ლომი და მდევი; თუ ფუტკარი მო-  
 უსვენრად დაბზუის ყვავილებზე და აუკრიას სათა-  
 ფლე მტვერი პაწია ფრთებზედა; თუ ეს უანგარო  
 მუშა „ლმერთს და კაცს ემსახურება, მთელს დღეს  
 შრომაში ატარებს, სძულს მცონარეების ცურება“  
 („ჯეჭ.,“ 1899, №6), — მაშინ ხომ გონიერებით  
 და კუუა-აზროვნებით დაგვირგვინებული იდამიანის  
 ცხოვრებაში უფრო უნდა იყოს დამკვიდრებული  
 შრომის მეუფება!

ამას, ამ აზრს და შეხედულობას ყოველის სა-  
 შუალებით და შხატვრულის ხერხით ქადაგებს შიო  
 თავის ლექსებში.

კერძოდ, მგოსანი დაუინებით შთააგონებს ბავ-  
 შვებს სწავლის საჭიროებას, ურჩევს, სწავლას სია-  
 მოვნებით ესწრაფებოდნენ; შიოს ენატრება, რომ  
 ყველა ბავშვი ასე იტყოდეს:

„დედილო, აი ეს არის  
 ჩემი ნატვრა და სურვილი,

ნეტაფი მართლა მთმებდას

სწავლის ჟირი და წეურვილი.“ („ნაკ..“ 1909, №1).

„სწავლის ძირი მწარეობ,“ ამბობს ანდაზა. რა თქმა უნდა, ამ „სიმწარეს“, ყველაზე ძლიერად გრძნობს ნორჩი ბავშვი. ჩვეულებრივს თამაშობა — ღროს გარარებას მოსხლეტილი, ხშირად დედის ალერსს და მზრუნველობას მოკლებული, უცხო მხარეში, უცხოთა შორის მომწყვდებული ბუნებით ცელქი ბავშვი უხალისოდ, ხშირად გულაცრუებულად ეკიდება სწავლას; სკოლის ოთახი, — განსაკუთრებით თუ კი მასში უსულგულო და უვიცს ისტატს მოუკალათნია და სკოლაში გაუმეფებია მშრალი და მოსაწყენი ფორმალიზმი, — ბავშვისთვის ერთ გვარ საპყრობილეს წარმოადგენს, სადაც ის შებოჭვილ — შევიწროებულად გრძნობს თავის თავს. ცნობილია, რომ პირველი გაკვეთილი, პირველი შეხვედრა უხეშ, უგულო და უმეცარ მასწავლებელთან ბევრჯერ გამხდარა ბავშვისთვის საბედისწერო მომენტად: ბავშვს სამუდამოდ შესძაგებია სკოლა და სუსველა-ფერი ის, რასაც სკოლასთან აქვს კავშირი და დამოკიდებულება და ბავშვი დარჩენილი მთელს თავის სიცოცხლეში ინდიფერენტი, ხშირად მოძულეც სკოლისა და წიგნისა.

ამგვარად დიდი, ძლიერ დიდი გავლენა აქვს ბავშვის ბედზე, მის მომავალზე სკოლის პირველს შთაბეჭდილებას.

შიო მღვიმელმა იცის ეს და ამისთვის ცდის



ლობს დაუსურათოს ნორჩ ბავშვებს მიმზიდველად და  
და სასიამოვნოდ სკოლა და ყოველივე ის, რასაც  
იქ ადგილი აქვს: სწავლის მსვლელობა, მასწავლებ-  
ლის პიროვნება, ამხანაგები, მათთან თამაში და  
სხვა და სხვა.

სკოლაში ახლად მიბარებული პატარა მოწაფე  
დიდ-დედას სკოლიდან სწერს წერილს, რომელში-  
აც გახარებულ-გატაცებული აუწყებს მოხუცს სკო-  
ლის პირველს შთაბეჭდილებას:

— მოგიუგე სკოლის ამბავსა,  
მაგიჭიჭიჭი ტვბილადა,  
ახლა მე გითხრა ზდაპრები  
და გუდს ჩაგებრა ტბილადა.

— დიდებო, მრავლად ვისწავლე  
ლექსები, გამოცანები,  
ზოგი კოტწია შარადა  
და ზოგიც ამოცანები.

— აშ დღეს გვიამბო სკოლაში  
შასწავლებელმა ანამა —  
ლებებში გაზრდილ ქეთოზე,  
თუ რა ჰქმნა „იავნანამა“.

— თთ! რა ეშმაკი უთეიდა  
გიკოლას შეიღი „ქაჯანა“:  
ბუდრაჭამ დაუცინავი  
ადარეინ გააჭაჭანა.

მის ღინები რომ გითხრა,  
 მეტი თუ არა, ასრა.

თვით წავიგითხე, აქაპის  
 პაჭია წიგნი „გადია“,  
 სოფორონის - უურტას ქურდიც“  
 პარტი ეთებილა, ცხადია.

გაფა-ფშაველას მოთხრობა  
 „ამბავი ნუკრის შვილისა,“  
 რომ ჩავთავე, ვერ შევძელ  
 თვალზე დაჭირა ცრემლისა.

დადედო, ჩემთ დადედო,  
 ჩემთვის ყიტბესო სულტედა,  
 უპელას მანდ გადაგიათხავ,  
 რომ მოვალ გაზაფხულზედა.“ („ნაკად.“, 1904, ვებ).

იმ პატარა ილოც ოცნებობს ჩქარა სკოლაში  
 შევიდეს და წერა-კითხვა ისწივლოს. დღეს ილო  
 ცერ გავა ეზოში, ხვალაც არა იქვს იმედი გავიდეს.  
 მოწყენილმა ძმის წიგნი ხელში აილო, უნდა მით  
 მოიხალისოს. დაუწყო წიგნს ფურცელა, შიგ სხვა-  
 დასხვა სურათები ნახა; უნდა მათი ახსნა და მნი-  
 შვნელობის გაგება,

„მაგრამ არ იცის ჯერ კითხვა,  
 დაივიქრდა, დანაღველიანდა:  
 რათ არ მაძლევენ სკოდები,  
 სომ სწავლა დაშიგვიანდა?!

სოქება და მაუცა თცნების:  
აგერა სკოლა, სტოლები,  
ერთადა სხედან, სწავლობენ  
ისა და მისი ტოლები.

ხან კითხულობენ, ხან სწერენ,  
ზოგჯერ ერთადა მდერიან,  
გან ვის გაასწრების სწავლაში,  
ერთმანეთს ეჭიბრებიან...

კითხულობს იდო ხშა-მაღლა,  
მშვენიერად იტეხს ენსა  
და უხარიან, რომ მშობლის

გუდს ამით მატებს დხენასა. ("კუპ.", 1895, №2).  
სწავლას დანატრულებული ანიკო ღმერთს შესთხოვს:

"...გამხადე,  
დმერთო, თამარას ტოლათ,  
მინდა მეც მქონდეს სახლშია  
„პატარა ნუცას სკოლათ,“

ვასწავლო ჩემსა ტიგინების  
წიგნიდან ანა ბანათ,

დღით ვაზებირთ დექსები,  
დამით ვუძღვოთ ნანათ." ( კუპ., " 1903, № 1).

ასეთი ლექსების წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ  
ბავშვის გონება — წარმოდგენაში უნებლიერ აღიძევ-  
დება ერთგვარი სიმპატიური, სანდომიანი და სა-



სურველი სახე იმ დაწესებულებისა, საჭავალო, ანთ-  
გორც დიდები ამბობენ, ლმობიერნი მასწავლებელნი  
გონებას უნათლებენ და ცოდნით ამდიდრებენ მო-  
ზარდ თაობას; საჯაც იფურჩქნება, შიოს თქმისა არ  
იყოს, „ნიჭი სწავლისა და კმაყოფილდება მეცნიე-  
რების სურვილი“ („ჯეჯ.,“ 1894, №3).

დიდად ტლანჭი და მოუხეშავი უნდა იყოს მა-  
სწავლებელი, განსაკუთრებით უგუნურად უნდა იყოს  
დაყენებული სწავლა და ოლჩრდა მის სკოლაში, რომ  
შიოსაგან ასეთი დახატული წარმტაცი სურათებით  
და ნაზი ჩაგონებით მომზადებულმა ბავშვა შეიძულოს  
სკოლა, წიგნი, რომელშიაც მოთხრობილია „მრა-  
ვალი ზღაპარი შორის ზღვისა და მთებისა“ („ნაკ.“  
1914, №4.)

საზოგადოდ შიოს ლექსებში, როგორც მკი-  
თხველიც შეიმჩნევდა, სრულებით არ არის რეფლე-  
ქსის, რეზონიორობის მომზეზრებელი ქადაგების  
ნასახი; მშრალსა და განყენებულს მსჯელობას არა  
აქვა მათში იდგილი. სურათებით, მხლოდ ცო-  
ცხალი სურათებით და მაგალითებით, ასახიერებს და  
ცხადად ჰყოფს მგოსანი თავის აზრს და შეხედულო-  
ბას. ასეთს მხატვრულს ფორმებში გახვეული სწავ-  
ლება, ასეთი ცოცხალი დარიგება და გულში ჩამ-  
წდომი ქადაგება თავისდღეში არ მოსწყინდება ბავ-  
შვებს და მათში ალძრავს სკოლისა, სწავლისა და  
მასწავლებლისადმი სიყვარულს.

ასეთი მადლიანი და კალამ-ნაკურთხი მწერლის



შესახებ შეიძლება ითქვას შიომსავე სიტყვებით: „კანკულური უფურჩენიან (ბავშვებს) გონებას, იყურობოს მა- ათ კალიმი“. („ჯეჯ.,“ 1899, №1.)

შიო უსურვებს ბავშვებს „სიმკვირცხლეს, სიხა- რულს, სამაგალითო ზნეობას, დაუღალავ მხნეობას- თან ერთად,“ „ნალის სწავლა-ცოდნისას და მახ- ვილ პკუა-გონებით განსპეტაკებულ გრძნობას“; პო- ეტი ნატრულობს, ბავშვებს „აშორდეს მავნე სიბნე- ლე,“ „მიეცეს მათ სინათლე მრავალი“ და ფიქრიდან არ შორდებოდეს მათ წიგნი, კალამი, მელანი.“ („ნაკ.,“ 1907, №1).

ასე შეუწყვეტლივ, ასე დაუინებით ახსენებს და- აგონებს შიო ბავშვებს სწავლის—ამ გონებრივი სი- ნათლის—საჭიროებას, ასე აყვარებს მათ „სწავლის მამებს“ — მასწავლებლებს.

---

მოზარდი თაობა, როგორც ვიცით, ოჯახის, სა- ზოგადოების, ერის და ოვით სახელმწიფოს მომავა- ლი იმედი და ბურჯია. ამ თაობის მომავალ მოქმე- დებასა და ცოდნა-შეგნებაზე იქნება უმთავრესად და- მოკიდებული ელფერი, მიმართულება, სახე და წეს- წყობილება ოჯახისა, საზოგადოებისა და ერისა. მა- შასადამე, დიდი მნიშვნელობა იქვს ერის და სახელ- მწიფოსათვის იმას, თუ რა შთაბეჭდილებათა და იდე- ათა ზედგავლენით ღვივდება, იფურჩენება მოზარ- დი თაობის გრძნობა-გონება; თუ საითქენ იქნება გადახრილი მისი სიმპატია; თუ რა ფიქრები და მო-



ვლენები, რა სოციალურ-პოლიტიკური და ფინანსურული მიზან-  
 სიურ-ეკონომიკური ნორმები და პრინციპები გადა-  
 იქცევა, მისთვის სასურველ-სანუკვარად ან დასაგმობ  
 გასაკიცხად. ამისდა მიხედვით ყველა საზოგადოე-  
 ბრივი ორგანიზაცია, ყველა მიმართულებას და იდე-  
 ალის შარძომადგენელი პარტია და ჯგუფი ცდილობს,  
 სკოლა და მოზარდი თაობა იყოლიოს თავის გავ-  
 ლენის ქვეშ: სკოლის დააკისროს განსაზღვრული  
 იდეათა და მისწრაფებათა ქადაგება და განხორცი-  
 ელება, რათა მოზარდი თაობა გაიქმინთოს ერთ-  
 გვარი სასურველი შეხედულობით და რწმენით. ყო-  
 ველ ერსა და სახელმწიფოში გაჩაღუბულია ხან ჩუ-  
 მაღ, უჩინრად, ხან-კი აშეარად, საქვეყნოდ ბრძოლა  
 სკოლის და მოზარდი თაობის ბედის დაპყრობის და  
 დაჩემების ნიადაგზე; კიდევ კარგი, თუ ამ ბრძოლა-  
 ში ის ძალა იმარჯვებს, ის ორგანიზაცია, რომელიც  
 პროგრესიულ იდეალებით და მისწრაფებითაა გამს-  
 ჭვალული, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მოე-  
 ლი ერის ბეღნიერება, რომელიც აღიარებს თავი-  
 სუთალ გონებრივს, ზნეობრივს და სარწმუნოებრივს  
 განვითარებას; რომელიც ყოველსავე თავის საქმეს  
 და მოქმედებას აფუძნებს საშს ბურჯზე: ძმობასა, სი-  
 კვარულსა და სამართლიანობაზე... თუ ასეთი ჯგუ-  
 ფი დაეპატრონა სკოლას, ეს ერის ბეღნიერებაა. მაგ-  
 რამ დიდად საზარალო და საბედისწეროა, თუ ბავ-  
 შვების სული ან გონება სათავეშივე მოიშამა უწ-  
 მინდური, ეგოისტური და გამრყვნელი გრძნობებით და



თუ მისი ნორჩი გონება შეეთვისა და შეეგუდება მართლობის, ძალმომრეობის, ფანატიკოსობის და სისასტიკის იღეოლოგიას. ამისათვის ყველა შეგნებული წევრი საზოგადოებისა და კეშმარიტი მოქალაქე სახელმწიფოსი მოვალეა, ხელი შეუწყოს სკოლის საქმის მოწყობას, რომ იგი განთავისუფლდეს ყოველგვარი გამრყვნელი და მოლუპველი უკიდურესობისაგან, რომ იქ მხოლოდ ენთოს ლამბარი ცოდნისა, სამართლიანობისა, კეშმარიტებისა და უანგარობისა. განსაკუთრებით მოვალენი არიან მშობლები, მასწავლებლები და ყველა ის პირნი, რომელთა ხელმწიფების სკოლის უმაღლესი მართვა-გამგეობა, აღზარდონ და ასაზრდოონ ბავშვების სული და გონება საღი საზრდოოთი, რათა მომავლში, როდესაც ოვით დაიწყებენ ცხოვრების შექმნას და ღვაწეობას, ისინი გახდნენ მომხრეები და მქადაგებელნი სამართლიანობისა, კეშმარიტებისა და ყოველგვარ სათნოებისა.

ოჯახმა და სკოლამ, სხვათა შორის, ზემო და-სახულ მიზნის მისაღწევ იარაღად უნდა გამოიყენოს ის საუცხოვო ნაწარმოები ხელოვნებისა, სადაც, „ზეცის შვილები“ — მგოსნები ქადაგობენ საღს სამშობლოს და მოძეთა სიყვარულს, კეშმარიტებას, უანგარობას, პატიოსნებას, ძმობას, ერთობას, მიტევება — შებრალებას, სამართლიანობას და ჰკიცხავენ, ამხრლებენ ყოველვგარ ზნოებრივს ნაკლულევანებას. უეჭველია, რომ ამ პატიოსნურ და წმინდა



ნაწარმოებთა წყალობით ბავშვის სულსა და გულში  
ადრევე ჩაეკვესება ის სინათლე და დაიმკვიდრებს ის მა-  
დლი, რომელთა ჩაქრობას და აღმოფხვრას ადვილად  
ვერ შესძლებს მოდლესას წაულე უსამართლობა ტ გაბა-  
ტონებული ზნეობრივი მანკიერება. თუ-კი საღმე სა-  
ჭიროა სტრიოზული ყურადღება იქნეს მიქცეული მო-  
ზარადი თაობის ოღზრდას, ეს ჩვენს საჭართველოში,  
საღაც სწავლა-ოღზრდის საჭმე სათავეშია მოწამლუ-  
ლი. საჭიროა ჩვენში მოხდეს საყოველთაო ძალთა  
მომილიზაცია, რათა ჩვენი ბავშვები, რომელთა წინა-  
ოღმდეგ „ასეთის კადნიერებით ამხედრებული ათასნაი-  
რი უსჯულოება“ და ტლანქი ძალა, გადავარჩინოთ  
მომავალს ზნეობრივს და მოქალაქობრივ არარაობას,  
სიკვდილს.

ზოგნი ამბობენ, პოეზია რაიმე უტილიტარულ  
მიზანს არ უნდა ისახავდეს; ხელოვანი მქალაგებელი  
არ უნდა იყვეს: ის უნდა ქმნიდეს მიზანშეუწონლად,  
შეუგნებლადო; რომ საზოგადოდ პოეზიას ამცირებს  
მის სფეროში მოქალაქობრივი მოტივების შეტანა  
და სხვა და სხვა. ბევრი ასე შრუდედ ფიქრობს. მაგ-  
რამ, როგორც სინამდვილე გვიჩვენებს, საბედნიე-  
როდ, არც ერთი ნიჭიერი და ჰეშმარიტი პოეტ-მწე-  
რალი გვერდს ვერ უვლის ცოდვილ ქვეყნის ბრუნ-  
ვას და ვითარებას, არც ერთი არ „მღერის, რო-  
გორც ჩიტი გარეული“; ყველა ისახავს საზოგადოებ-  
რივ მიზანს, ყველა ისხამს ფარხმალს უსამართ-  
ლობასთან საბრძოლველად და ყველა ადის პარნა-



სის მწვერვალზე სიმართლის, კეშმარიტების და უძლიერი სიმახის ნოების საქადაგებლად და ზნეობრივი სიმახის დასაგმობად.

თავის სასახელოდ, ჩვენი შიოც მეგნებულად მოქალაქეობს: იგი შეუწყვეტლივ უქადაგებს ბავშვებს — სეზოგადოების მომავალ წევრებს — დაჩაგრულ სამშობლოს და მოძმეთა სიყვარულს, წარსულის პატივისცემას და მომავალის იმედს; აბრალებს დაჩაგრულებს, დამცირებულს და ბედისაგან დასჯილებს; აძულებს ბარბაროსებს, ბნელ ძალებს, სიმართლის და კეშმარიტების დამთრგუნველთ; ჰიმნს უგალობს სოლიდარობას, თანხმობით ცხოვრებას, მოყვასისადმი თავის განწირვას და უანგარო სიყვარულს.

კერძოდ, შიო უხსნის ბავშვებს, თუ რა არის სამშობლო, როგორ ძვირფასია იგი ცველასათვის.

„ვინც სად დაბადებულა, — მღერის მგოსანი:

მისი ტურთა სამთხოეც

იქავ აუგავებულა.“

ყველას გული სამშობლოსაკენ „ფანცქალით იწევს.“ („ნაკ.,“ 1913, №8).

არაფერი სიამოვნება არ შეედრება, სამშობლოს მთა და ველად ლხინს და სიამოვნებას“ („ნაკ.,“ 1911, №8). მხოლოდ უგუნურება, გადაგვარება ან და რამე „სიმწარე და სიოხრე,“ ე. ი. ადამიანთა შეუბრალებლობა და უაღრესი გაჭირვება, „სახლში გამჭრალი კერა“ თუ „გადასტყორცნის“ ადამიანს სამუდამოდ სამშობლოს საზღვრებიდგან.

ქართველი დედის პირით შიო შემდეგს ჩასძანეს ბავშვებს:

„გით მე არ ვცვლი ვარდს ებალში  
 და ვინატრი მისა დხენას,  
 ნურც შენ გასცვლი ნურაფერში  
 სამშობლოს და დედა-ენას.

თუ რომ მის ბედს დაჩაგრუდსა  
 არ შეხედავ შენ გულგრილად,  
 მხოლოდ მაშინ შეგერგება

დედის ძემუ, ნორჩო, ტებილად.“ („ჭკ.,“ 1895 №4).

მგოსანი არ ლმალავს ქართველ ბავშვებს, რომ  
 მშვენიერი სამშობლო დროებით უხეშ ძალას-  
 ზამთრის სუსხს შეუბოჭავს, თავისუფლება წაურთ-  
 მევია, ცხრაკლიტულში მოუმწყვდევია. შელახუ-  
 ლა მისი მშვენიერი სახე, დაძრულა და გამხმარა მისი  
 ვარდ-ყვავილნი; ტურა—მგელს შეურყვნია და აუ-  
 ოხრებია მისი მიღამო:

„ბე, ჭოტი, უგავი, უგანჩალა,  
 სუეველა სთფლის საპუარი,  
 ურუ, ბრმა, კოჭლი, ჩანჩალა“  
 საქართველოს მოსევია.

„მაქვთ და მაქვთ ხელაბმით,  
 სარჩოს მთლად ეზიდებიან,  
 მაინც ვერ ძღება მათ გული,  
 პელავ უმაღლერნი რჩებიან.“ („ჭკ.,“ 1908 №1).



საქართველოში გადამალულან და ტკბილი იქნათ კი კი შეუწყვეტათ ვირის ყროყინით და მგლის ღმუილით დამფრთხალ ჩიტებს; შეწუხებულ, დაჩა-  
ვრულ და დამონავებულ სამშობლოს შვილთა  
შორის გამეფებულა „ცბიერება, მტრობა, შური,  
ხაცვლად უძლეველი სიყვარულისა.“ („ჯეჯ“, 1897  
№ 4).

საქართველოს პირით მგოსანი საყველურით  
მიმართავს იმათ, ვინც ის დააიმედა — მომენტე — და  
ცხოვრება დაგიამდებაო:

„და ნეტა რისთვის, გიცოდე,  
ეს მაინც გამაგებინა.  
ნუთუ მან ხმალი ქარქაშე  
აშისთვის ჩამაგებინა?

თუმცა ასეთია შიოს სიტყვით დღეს დღეობით  
მდგომარეობა სამშობლოსი, მაგრამ პოეტს სწამს  
და ბავშვებსაც ამცნობს, რომ დადგება უკეთესი  
ღრო.

„მოგა, დაჲჟეფაფს ბუღბუღი  
მრავალ-ჭანგებიანი,  
გაიხარებს საშმიდლოც  
უანუღ-კალთებიანი.

ეგელას დააფიქვდება

ზამთარი სუსნიანი („ნაგ.,“ 1911. № 8);

რომ საქართველო იმასაც მოესწრება, როდესაც  
მისი სისხლის მწოველი „თვალ-ჭრელა ქორიც“ ოვი-  
თონ ჩაუვარდება „მიმინოს და ძერასა.“

თავის რწმენას, იმედს და სურვილ-მოლოდინს სამშობლოს აღდგენის, განკურნების და განთავი-სუფლების შესახებ მგოსანი სადა ალეგორიულ სუ-რაოდებშიაც გამოსაქვამს. ეს სურაოდები ბავშვების-თვისაც ადვილად მისახვედრი და გასაგებია.

„კულ-მაკრატელა მერცხალმა, შორის მხრიდ-გან მოფრენილმა,“ მარტს და ოებერვალს,— ამ სი-ცოვ-ავდოობის და ცვალებადობის სიმბოლოს,— გადმოსძახა:

„რაც გინდ ითვეთთ, იწვიმოთ,  
ჟინიც მოიგდათ გუდისა,  
მაინც გედარას გახდებით:

მადლი სჩანს გაზაფხულისა“ („ნაკ.,“ 1911. №3).

ზამთრის სუსხით შეწუხებული ფრინველები გალობენ:

„ნიავშა გგამწნა, გამქრალა,  
რაც გვაწუხებდა, გვძუდდათ,  
ზამთარს დაემსხვა ბორკილი,  
ჩამოთბა, გაზაფხულდათ,  
წაგიდეთ ჟივილ-ხივილით,  
ამა აქ რადას ველითთ,  
ვიდხინთ, ვისიამოქნთ

სამშობლოს მთა და ველითთ“ („ნაკად.,“ 1911 წ.).

„ქვეყნის ვარამზე ცაში მგალობელი“ ტორო-ლა ტყვედ ჩაიგდეს ქორებმა და „ბუზლუნით და და მუქრებით“ წაიყვანეს თავის „ციხე-ქვეყანაში.“ უმ-თავრეს ბრალს ტოროლას მტაცებლები იმაში სდებ-

დნენ, რომ ის კაზე „თავისუფლების კილომეტრის გამოყენებისა და გამომოვალის“ შემთხვევაში გამოიძინოდა.

ტოროლი არ შეშინდა, „ის მაინც გამოიძინოდა გზაშ. ც წკრიალა ხმებითა“ და აქებ-აღიდებდა სათა- ყვანებელს თავისუფლებას („ნაკად.“ 1907 წ. №6). მოყვანილ ნიმუშებიდანაც სჩანს, სიოთკენაა მიმა- რთული სიმპატია ჩვენის მგოსნისა, რას უმდერის იგი, როგორც დატყვევებული ტოროლი და ვის კულისხმობს იმ „მობუზღუნე ქორების“ მავიერ, რომ- ლებიც თავისუფლებაზე „წვრილი ხმით“ გალობას იშლევინებიან.

შიო გატაცებით ეგებება ბუნების აღდგენას, მის გამოცოცხლებას, რაღვანაც ის სიმბოლოა ხალხ- თა აღდგენისა:

„მთა-ბარს შუქი მოჭოენია,  
სიბნელე და ნისლი ჰქოება,  
აღდგენილა მაცხოვარი,  
რომ დასთრგუნთს ბორთტება.

ახარების და აფრთხოების  
ეს დღე ეგებდა უმწესა,  
თავისუფლების მანა იწვევს

ტევეთ ქმნილსა და უმწესს. („ნაკად.“ 1907 წ. №8).

პოეტს აქვს ერთი შესანიშნავი აღეგორია-პიმნი თავისუფლებისა, რომელშიაც ის, როგორც დროთა ვითარებით, იძულებით დამშვიდებულ, დაწყნარე- ბულ, მოსვენებულ საქართველოს შეილთა, ზიზლით

იხსენიებს მაძლარს, მაგრამ მონურს ცხოვრებას და  
სასურველად ისახავს ნაკლებად უზრუნველყოფილს  
ჭირ-ვარამიანს, მაგრამ თავისუფლების სხივით გაშუ-  
ქებულ, ყოფა-მდგომარეობას. ისეთი კარგია და და-  
მაფიქრებელი თავის შინაარსით ეს ლექსი, რომ არ  
შევიძლია, მთლად აქ არ ამოვსწეროთ. დატყვევე-  
ბული ბაჭია პატარას ეუბნება:

„დღეს შენთანა ვარ, პატარავ,  
მიუვავებ, მედერსები;  
ებ ტბილი ხეები-ლიქლიკი  
გულს ხვდება, როგორც ნემსები.

შწვანე ბალახსაც მიზიდავ,  
მასმევ რძეს დილით, დამითა,  
მაგრამ რა: მაინც ტუვა შქეიან,  
რა გამოვიდა ამითა?!“

გულს განა ჭამა ახარებს,  
ან სხვის ბაღხა და სხვა ვარდი,  
თავისუფალი ცხოვრება,  
თავისუფალი ნაფარდი.

გამიშვი, შენი ჭირიმე,  
გამიშვი, ჩემთვის წაგიდე,  
ხან ეანის პირებს მოვედო,  
ხან გორაკებზე აფიდე. - („ნაკად.“ 1915 წ. №10).  
ამ ახლო ხანებში იყო ისეთი დრო, ისეთი მო-  
მენტი, როდესაც უველა თავისუფლების მოტრფია-



ლეს ჩვენში ეგონა, რომ საბოლოოდ დაიჭირეთ მონობის ბორკილი, რომ დამყარდა ქვეყნად სამართალი, ძმობა, ერთობა, რომ დადგა დაჩიგრულ-დამონავებულთათვის გაზაფხული და სხვა.

შიოც განსაკუთრებულის ალტაცებით მიეგება ამ მომენტს და შეჰქმნა უუმშვენიერესი მოქალაქობრივი გრძნობით გაცისკროვნებული ჰიმნი თავისუფლებისა. ბავშვი მერცხალს ეუბნება:

„მართალია, აქამდისინ  
ზაშთრის სხივი გვაშინებდა,  
მაგრამ, ჩემთ ფრთა კოშწავ,  
იმის ძალას ვინ დანებდა?!

ებ შენი ხმა მოჟდრიალე  
გაზაფხულის სხივს უმდერდა,  
შაწაწინა მაგარ მკერდში  
მისოფეის დიდი გული სძგერდა.

როცა ვიუავ ისევ ბალდი  
და დაკრითდი ციქციქითა,  
ამ დღიდგან გაზაფხულსა  
შენ ჩამძახდი ჭიბჭიკითა.

---

მე ურმა ვიუავ, არ შესმოდა,  
მხოლოდ დედა ტეობილობდა,  
ჩემს გაზრდას და შენს გაზაფხულს  
ის ხატის წინ დოცულობდა.

---

კოშწია, ფრთა-ჩანასკული!

გხედავ, გხედავ, გაზაფხულდა,

მე ჩემს მშობელს გავეზარდე,

და შენ ხატვრაც აგისრულდა. („ ნაკად.“ 1906, მაისი).

შელახულ-შეგინებული, გაღატაკებულ-დაღარიბებული მდგომარეობა თავის სამშობლოსი, რომლის უმთავრესი მიზეზი შვილების დაუდევრობა, უჭყუობა და ქარაფშუტობაა, მგოსანმა შეძლევებს ალევგორიაში დაუსურათა და დაუხასიათა მამულის მომავალ შვილებს: „უგულო“, უტოლ-ამხანაგო, უდარდელი და გულ-ცივი გუგული დასტირის თვის გატიალებას:

„რადა რას ვჩიდი, წამერთვა

ჭალა-ტექ, მთაც და ბარიცა,

ცოდ-შვილი დამიწითევდა,

თუმცა შემირცხვა გვარიცა,

დამის გასწევიტონ სინდისი

და ჩემი სახსენებელი,

აღარც ჩემი მაქვს, აღარც სხვის;

ბუდე პერცხ-დასადებელი.

წადებით სულ მთლად წაიღეს,

რაც მქონდა მზა-მზარეული;

დავდიგარ, გრირი ჩემ ბედსა,

როგორცა გაღარეული.

იწით, ეს საქმე ვინ მიუთ:

ჩხიჭვმა, იმ გაიძვერაშა,

რაც ქორს ვერ დააკდებინა,

ის შემისრულა ძერამა.“ („ჭეკიალი“ 1904).

ვინ არ იცნობს ამ „უდარდელ“ გუგულში  
 იმ გზა-კვალ აბნეულს ქართველობას, რომელმაც  
 ზოგი თავის დაუდევრობით, წინ დაუხედაობით,  
 და შეუგნებლობით, ზოგი კი სხვის თალღითობით,  
 გაიძვერობით, და მსუნავობით „ნაკერ-ნაკერ“ გა-  
 ყიდა, გაასაჩუქრო ან და ისე უგუნურად დაჰკარგა  
 თვისი მამა-პაპეული მიწა-წყალი, შეიქმნა ბოგანო და  
 თავის სამშობლოში უცხოებს შესცეკრის ხელებში!  
 ამ ლექსში დასურათებულია ნამდვილი სახე „ჩაბა-  
 ლახ ჩამოხდილი“ და გადაგვარების გზაზე დამდგარის  
 საქართველოსი! მეოსნის სურვილია, რომ ბავშვებ-  
 მაც იცოდნენ, რა დანაშაული ჩაიდინეს მათმა წი-  
 ნაპრებმა, როდესაც თავისი დაუდევრობით და უჭ-  
 კუობით დაამცირეს, დააკუწიშაწეს, დააბეჭავეს და  
 სხვის ფეხ-ქვეშ განართხეს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-  
 ზურმუხტი“ საქართველო; რომ იმათაც იგრძნონ  
 ბავშობაშივე თავის მამულის მონური და დამცი-  
 რებული მდგომარეობა.

იმ ლექსებში, რომლებიც ამოვწერეთ, შიო ბავ-  
 შვებს აყვარებს სამშობლოს თავისუფლების სიტკბო  
 -სიაშეს, აინტერესებს მისი მდგომარეობით, უხსნის,  
 აგებინებს სამშობლოს დაავადმყოფობის მიზეზს. სხვა



ლექსებში მგოსანი უხსნის და აცნობს ბავშვების კრიტიკას, თუ რა არის საზოგადოდ „სრულ-თავისუფლებით ფრენა კიდით-კიდემდე,“ ე. ი. დამოუკიდებლობა; თუ რა სიამოვნებას აგრძნობინებს ყოველს ადამიანს თავისუფლად, „წყნარად და ლალად“ ცხოვრება. ამ აზრის ცხად-საყოფად პოეტი მიმართავს ჩვეულებრივს ხერხს: იგავარაკით მოუთხრობს მათ გასაგებს და მისახვედრს ამბავს, საიდგანაც ბავშვიც გაიგებს და იგრძნობს, თუ რა სანატრელი და სანუკვარია თავი სუფლება და ლალად თავისიანებსა და ტოლ ამხანაგებში ცხოვრება.

### შველი მოგვითხრობს:

„დაბურულ ტექშა კცხოვერობ  
ჩემთვის წყნარად და დაღადა,  
სრულებით თავისეუფალი  
გულს აღარ ვიმჩნევ დაღადა.

მეზობლადა მეავს ირემი,  
დათგი, პურდღელი, მელია,  
კატუნი, კვერნა რბილ-ბეწვა,  
ფართო გვაქს მთა და ველია.

ერთმანეთს არას ვუშავებთ,  
უველანი კცხოვერობთ ძმურადა;  
მოუვარეს ვხვდებით მოურულად  
და მტერს-კი ისევ მტრულად .“ (ჯეჭილი. “ 1893, №4).



აბიბინებულ ბუნებით, ცის სიცილით დამტკბარი, თავისუფალი, ლალი შაშვი მღერის:

„ფრთას გმდი, სუდა მშორდება,  
გუდი მეგსება დხენითა,  
ზამთარში დამუნჯებუდი  
ქინს ახლა გიგლავ სტეპნითა.

მიუვარს სრულ თაჭისუფლებით  
ფრენა კიდიდან კიდესა,  
გადობა დიდა-სადამოს,  
რომ არაინ დამიშლიდესა.

არ ვეძებ მდიდრედ ცხოვრებას,  
იქ, საცა ნაზი იაა,  
სადაც გამლილი ვარდივით

ბეჭი სუდ მედამ დია.“ („ჭეჭ.,“ 1893 წ. №3).

„სულ მუდამ ლია“ ბავშვების გულში ნაზაღ ჩირგვის და საოცხებოდ ვაითურჩქნება ასეთი ცოცხალი, ხალისიანი, ხმატკბილი და ლამაზი ია-სიმღერა თავისუფლებაზე! რაც გინდ სუსხიანი ზამთარი დაუდგეს ასეთი ტკბილი ჰანგით გულ-გამთბარს ბავშს, ის მაინც მოტრფიალე იქნება „ნეტარი“ თავისუფლებისა; მის გულს ვერ დაზრავს შეუბრძლებელი ყინვა დუხვირი ცხოვრებისა.

ვიმოერებთ, ამ შემთხვევაშიაც ბედნიერია ქართველი ბავშვი, რომ მას ჰყავს ასეთი ტკბილი მომ-

ლერალი თავისუფლებისა!.. რამდენადაც ბრწყინვალე, ლილი და მომხიბვლელია ჩვენი მგოსნის სიმღერა თავისუფლების, სამართლიანობის, ძმობისა, ერთობისა და სიყვარულის შესახებ, იმდენად მწარებასრი და მკვეთრია მისი სატირა, მხილება და გაკიცხვა ცბიერებისა, მტრობისა, შურისა, ჭმონობისა, შეუბრალებლობისა და ძალმომრეობისა.

შიო იქაც სურათებით ქადაგებს, იქაც მსჯელობს, ამტკიცებს სიმბოლიურ სახეებში თვისი ფიქრაზრებს, რათა ბავშვებს გაუადვილოს თავისი აზრის და რწმენის შევნება-შეთვისება.

„გარე ხარ ზოგჯერ, ზამთარო, — შესძახებს პოეტი:

მოჟკლავ მერალ ჭია-ღუასა,

მგელს პირს აუკრავ, დათვს ტოტებს,

მედას ასწავლი ჭიბუასა.

—

ხან სულ აბარგავ ქმედიდას

ზოგიერთ მედა-მედას,

რომ აღარ ეტანებოდეს

სხვის ოფლით ხამცხვარ უკას. “ („ნაკად.“ 1916 წ. იანვ.)

იგი ზიზღით იხსენიებს გაუმაძლარ ობობას, ამ ბოროტება ძალმომრეობის სიმპოლოს.

„სულგატვრენიდო თბობავ,

შენ ვაღას მოედოდები,

განა არ კმარა შენთვისა,

რაც გისერს გაძუშს ცოდვები?!

—

წედან საბრალო ფუტბოლი  
 სკისაგენ შიიბზუდდა,  
 ქვეყანაშ იცის, რომ შენთან  
 ის არაფერსა სტუდია;

შენ-კი გზად ჩასაფრებოდი,  
 როგორც უახადი, ფირალი,  
 თდნავაც არ შეგბრალებია  
 აბზუებული, მტირალი,

თავიდგან წუწია დაუწემ,  
 ბოლომდის სისხლი გაართვი,  
 შეოშის მოევარე ძალ-ღონე  
 არც-კი ასენთქე, წაართვი.

ფე, შენს ავს ზნეს და ბუნებას,  
 შენს მაცდელს აბლაბუდესა,  
 ცეცხლი გაუჩიდეს შენს მეცდს

ოდგინს, სისხლის გუდას! („ჭუჭ.,“ 1899, № 8).

თუმცა შიო სატირიკოსად არ არის დაბადებული, თუმცა მისი ჩანგი საზოგადოდ ტკბილ-ხმოვანია, მისი სიმღერა-კი ხალისიანი, ნაზი ბრწყინვალე, მაგრამ ძალომომრეობა უსამართლობა და დაჩაგვრა, რომელთა მსხვრეპლად არაერთხელ გამხდარა მისი სათაყვანებელი სამშობლო, ისე სძულს და ეზიზლება მას, რომ თავის ტკბილხმოვან ჩანგს, მრისხანე გაკიცხვის ხმასაც იმოაღებინებს ბოროტე-



ბის გასაწყეპლავად და სამარცხინო ბოძეულებების  
კრავად.

ზევით ამოწერილ ლექსში პოეტი გვევლინება  
ჩვენ უუპატიოსნეს და ჭეშმარიტ მოქალაქედ, რომ-  
ლის სულსა და გულს აშფოთებს ყოველივე ბო-  
როტი და რომელიც მზიდ არის კიდეც ამ ბორო-  
ტებას გმირულად შეებრძოლოს. ეს ფაქტი მოწმობს  
იმას, რომ, რაც გინდ წყნარი და მშვიდობის მთ-  
ყვარე იყოს ქართველი მხატვარი. იგი მაინც მებრძო-  
ლია და უაღრესად გამსჭვალული მოქალაქობრივი  
გრძნობით; იგი ქვეყნის საქმეს და მოძმეთა ბედს  
თავზე დასტრიალებს, ერის ტანჯვით იტანჯება და  
მისის იმედ-მისწრაფებით სულდგმულობს. „სამშობ-  
ლო მისთვის ხატია“, ვიტყვით აკაკის სიტყვით, და  
ამ ხატის წინ ყოველთვის მუხლ-მოდრეკით ლოცუ-  
ლობს. ეს თვისება ჩვენი პოეტებისა სრულებით არ  
არის გასაკიცხი, ის სრულებით არ არის მაჩვენე-  
ბელი მათი შემოქმედების უგორიზონტობისა, ცალ-  
მხრივობისა, — არა, ეს თვისება არის გამოწვეული  
სამშობლოს ბედზე შეუწყვეტელი ფიქრით და დაურ-  
ნებული განცდით. ქართველი პოეტი განსაკუთრებით  
სამშობლოს მოტრფიალეა, მისი ჭირ-ვარამის მტვირთ-  
ველი და გამომხატველი; მისთვის უძგერს მას პა-  
ტოსანი გული, მაგრამ მას ამავე დროს მოელი ქვე-  
ყანა სახატედ მიაჩნია, აკაკისავე ელვარე სიტყვით  
რომ ვსოდვათ ე. ი. ჩვენი მგოსნები ქვეყნის, კაცო-  
ბრიობის სევდითაც არიან გამსჭვალულნი. ამით აიხ-



სნება ის იშვიათი მოვლენა, რომ პატარა ჩატარებული მოვლენა რჩეული მსოფლიო გოდების წარმომადგენლებიც დაჰბადა. ამ მიმღებულების გამომხატველ პირველ-ხარისხოვან პოეტებს თავი დავანებოთ, გავიხსენოთ ჩვენი უდროვოდ დაკარგული ირ. ეპლოშვილი და მისი მწერალი სიმღერა, მოვიგონოთ კერძოდ მისი საუკეთესო ნაწარმოები: „ისმინეთ ძენი ისრაილისა.“

შიოც, როგორც მის მიერ დახასიათებული „ძველი წელიწადი“ (იხ. „ჯეჯ“, 1903, №1) „ყველასგან სიმართლეს ოხოულობს და სწყევლის, ვისშიაც სიბოროტეს ჰპოულობს“; იგი ნატრულობს, რომ ყველა ადამიანი იყოს „შუბლ-ნათელი, სხივ-მოსილი, გულკეთილი, მოცინარე“; რომ „ყველა ერთმანეთს ჰკოცნიდენ, როგორც ძმასა და როგორც დასა.“ („ნაკ.“, 1907, №8); „რომ ერთის გრძნობით განიმსვაჭლოს ბეჭნიერი და უბედური, რომ თანაბრად სცემდეს, თანაბრად უღერდეს მხნედ და მტკიცედ მათი გული.“ („ჯეჯ“, 1897, №4).

შიოს მოქალაქობრივი ხასიათის ლექსების გარ რჩევას ჩვენ დავაბოლავებთ მისი ლექსით: „შობის ხის“ ამოწერით.

ბავშვები ეუბნებიან ნაძვის ხეს:

„ნაძვთ, გახსოვს ადბათ ტუში  
დგომა განმარტოებითა;  
ასა იქ ჭის ასარებდი  
შაგ დაშაზი შტოებითა?“

ଶବ୍ଦ ପରିବ ଯେ କୁରିଶ୍ବାଲି  
ଏଣ ଗୁରୁତ୍ୱରେ ଧାରିବ କିମ୍ବା,  
ମହାନ୍ତିର କ୍ଷେତ୍ରରେ ଗୁରୁତ୍ୱରେ  
ତୃତୀୟରେ ତତ୍ତ୍ଵରେ ଧାର୍ଯ୍ୟନିଷ୍ଠା!

—  
ଏ ଏଣ ଶବ୍ଦରେ ଗୁରୁତ୍ୱରେ  
ଅର୍ଥାନ୍ତର ପରିବର୍ତ୍ତନରେ;  
ଶବ୍ଦରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ  
କ୍ଷେତ୍ରରେ ଧାର୍ଯ୍ୟନିଷ୍ଠା!

—  
ଏ ଏଣ ଶବ୍ଦରେ ରା ମହାନ୍ତିରରେ  
ଶବ୍ଦରେ ଧାର୍ଯ୍ୟରେ  
ଏ ଶବ୍ଦରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ,  
ଏ ଶବ୍ଦରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ:

—  
ଅତାକୁରିଶ୍ବାରି ସାତାମାମେ,  
କ୍ଷେତ୍ରରେ ସାନିଦିନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ,  
ଏ ଶବ୍ଦରେ ଏଣର ଗୁରୁତ୍ୱରେ  
ଏଣର ତତ୍ତ୍ଵରେ ଧାର୍ଯ୍ୟରେ  
ନାହିଁ ପରିବର୍ତ୍ତନରେ:

—  
”କୁରିଶ୍ବାରେ ରା ତୃତୀୟ ପରିବର୍ତ୍ତନରେ  
ଶବ୍ଦରେ ଧାର୍ଯ୍ୟରେ  
ଏଣର ପରିବର୍ତ୍ତନରେ,  
ଏଣର ପରିବର୍ତ୍ତନରେ,  
ଏଣର ପରିବର୍ତ୍ତନରେ!

—  
ଶବ୍ଦରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ଧାର୍ଯ୍ୟରେ  
ଶବ୍ଦରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ଧାର୍ଯ୍ୟରେ

ჩემს მომყრელს და აქ წამოშდებს  
ახლაც სწევდის დედა-ჩემი.



მართალია, მხიარულად  
დაშცქრიალებს თქვენი თვალი,  
მე კი გვიდას მირჩევნოდა  
მთის სიც და ქლდის ნაპრალი.

ახლა კინდაც შემიძრალოთ  
და კადეგაც დამაბრუნოთ,  
მე სიცოცხლეს გედარ შევსძლებ  
უძარდეთ და უსულგულოთ. ("ნაკ.", 1914, №24).

ამ ლექს დიდი განმარტება არ სჭირდება. გარდა  
იშვიათის პოეტურის სიმშვენიერისა სიმარტივე-ბუ-  
ნებრივობისა, მას ამკობს ღრმა აზროვნება და უპა-  
ტიოსნესი მოქალაქობრივი განცდა, ჩვენ გვვონია,  
რომ ამ პატარა სურათში მგოსანმა განსაციფრო-  
ბელის სიცხადით დაასურათა „ბედი ქართლისა“ და  
მისი დღევანდელი „უძარლვოდ და უსულგულოდ“  
არსებობა. თქვენც შეამჩნევთ, რომ ეს ლექსი კი-  
ლოთი და ძარითადი მოტივით ძლიერ ენათესავება  
აკაკის შესანიშნავ ლექს:

„შეთვისებას გიპირებს გაიძვერა მოყვარე.“ ეს  
ორივე ლექსი უწმინდესი მამულიშვილურის სუ-  
ლიერის განცდის გამომხატველია, მაგრამ რომელი  
მათვანი უფრო ღრმად და მხატვრულად გამოსახავს  
დასახულს იდეას. ძნელი სათქმელია დიდებულს აკა-

კის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე და ძლიერი შემოქმედება „მიჯაჭვულ ამირანის“ ყოფა-მდგომარეობაზე ფიქრ-ზრახვის მთანდომა და შეალია, ლირსეულად გვერდში ამოუდგა, როგორც მოქალაქე, საბავშო ლექსების მწერალი და ბავუშების გამრთობი ძია შიო! აი ძლიერს ნიჭს რა შეუძლია!

დიდმა ნიჭმა შეაძლებინა შიოს, სხვათა შორის დაეწერა თვისი შესანიშნავი სატირა-მხილებაც ვა-ჟა-ფშაველას სიკვდილის გამო. (იხ. „სახალხო ფურცელი“).

გარდა იდეურის ლექსებისა, რომლებშიაც შიო ცდილობს ბავშებს გული და გონება გაუთბოს, გაუსპეტაკოს და გაუმახვილოს, მას აქვს მთელი რიგი სხვა ლექსებისა, რომლებიც უმთავრესად მათი თავშესაქცევად და სასიამოვნოდ აქვს დაწერილი. ამ ლექსებშიაც პოეტი ცდილობს მიაწოდოს ბავშვს სუფთა, ნაცნობი და აზრიანი მასალა: შიო აუწერს მათ მხატვრულად საყვარელ სათამაშოებს, დროს-გატარებას; არიგებს ბავშებს, რომ ყოველივე თა-მაშობა და თავის შექცევა ამხანაგებთან უნდა იყოს „და-ძმური და მეგობრული“, რომ მხოლოდ ასეთი დროსგატარება არის სასიამოვნო და საქებარი. აი მგოსნისაგან აღწერილი საამო სურათები:

„გაუმართავთ გოგო-ბიჭებს  
 მხიარული არითვანა.  
 ნადიშობა შეგობრული

არ იქნება ამისთანა,  
 ზოგს დო გამოუტანია,  
 ზოგს ჯინჭარი, სატაცური,  
 ზოგს შეკად-პურა ზოგს ხმიადი,  
 ზოგს გამალა თორნის პური.

უნვადა აქვთ უკელაფერი,  
 სკელი სურით ცივი წევადი;  
 არ ერჩევა ამათ შორის  
 არც თბოლი, არც საწევადი.

### ან კიდევ:

„გადამჯდარან უმაწვილები  
 გამხმარ ჯოხის ცხენებზედა.  
 საჭირითოდ გამოსულან  
 ბექობსა და სერებზედა.

ბავშვების ერთს ასეთს გროვას:  
 „იძანის და მთაქრთლებს  
 რაშს ფრუტუნით ჭინებითა;  
 უბან მისდევს მას ღამქარი  
 უაღვირო ცხენებითა.

უკელა ერთად შემჭება,  
 უკელა ერთად მხიარულობს;  
 აწ პაწია მეგობრების  
 სული სულობს, გული გულობს..

და-მშერად და შეგობრულად  
 გამართული არისანა  
 არ მონახავს, ჩემო კარგო,  
 მეგთბერთბა ამისთანა.“ („ნაკ.,“ 1906, ივნისი).

ზოგი აცხა, ზოგი პიღები  
 ტანტალა და უქედოა;  
 რაშები კი ისეთი ჭიათ,  
 რომ სუსველა უკადოა.  
 წინ მოუძღვის ბელადი—  
 აგერ იელადს დაეწია  
 სხვა ბელადი უფელოჩინა,  
 მერანს უკრა ბეჭერდში დეზი  
 და გაჰკურცხლა თითონ შენა

მაგრამ გახურებულ ტაიშს  
 თავი ვეღარ დაუჭირა,  
 სრამს გადევდო შედარი  
 გადმოვარდა თავდაუირა.

ამბობს, ცხენმა მიღალატა,  
 მაგრამ რა დროს ფიცილია,  
 ამთვანგლულ მხედრის თავზე  
 სარხარი და სიცილია. („ნაკ.,“ 1906, თებერვალი).

ასევე ლამაზად, ცოცხლად და თან სასაცილოდ  
 შიოს აქვს ოწერილი „თვალხუჭუნა“ — „პაწია კუდრა  
 კების“ საყვარელი სათამაშო; ახალი წლის დროს—  
 გატარება და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც ბავშვებს  
 უყვართ და რითაც თავს იქცევენ:

თხილი, ჩურჩელა, ჩამიჩი,  
ბასილა, ბედის გვერდი,  
გაშლი და თხილი მრავალი,  
უხვად სხვა ეველაზერით.

—  
ბურთი, ბზრიალა, ჩიპორი,  
სხვადასხვა გასართობით,  
წიგნები ნაირ-ნაირი,  
ერთი მეტრის მფლიბით.“

ბევრი სხვა კიდევ საუცხოვო ამგვარი ლექ-  
სები დაუწერია ჩვენს შილს ბავშვთა „სალალობოდ,  
სართეველიდ.“ მათი დაწვრილებით მიმოხილვა შორს  
წაგვიყვანს. ამისათვის აქ მხოლოდ ჩამოვთვლით იმ  
ლექსებს, რომლებიც რჩეულ ლექსებად მიგვაჩნია,  
მაგ.: „ნუკას სიზმარი“ („ჯეჯ.“ 1893, №1). „ჩიტი“  
(„ჯეჯ.“ 1897, №1) „შობის ხე“ („ნაკ.“ 1910,  
№24), მამამ კურდლელი მოგვგვარი“ („ნაკ.“,  
1908, № 24). „მარიამის შობა სალამო“ („ჯეჯ.,  
1914, №12). და სხვ.

ამ ხასიათის ყველა ლექსებში პოეტი ისეთის  
სიხალისით, გატაცებით და თან დაწვრილებით ასწერს  
საბავშო. საყვარელ სათამაშოებს და თავის შექცევას  
რომ გონიათ მათი ავტორი თვით ცელჭი, ცქვი-  
ტი, კუდრაჭა, მოუსვენარი, მოტიკტიკე ბავშვია  
და რომ მისთვის, გარდა ამ თამაშობა—გართობისა,  
ქვეყნიერებაზე სხვა უკეთესი და უსისმოვნესი არა-  
ფერი არსებობსო. თქვენ უნდა იცოდეთ, რა ლამა-



ზაღ და ცოცხლად აქვს მგოსანს აწერილი მისუმარებულის ჩვეულებრივი თავშექცევა-სიცელქე: მწიფე ბალ-თუთის ლილინით მოკრეფა; პატარა ციცას კალთაში ჩასმა და მასთან ტკბილი ხმით კურკურის; ეშმაკი და კუდ-ჭიკინა ფანიასთან კუნტრუში, ცანცალი და-ხტუნაობა; შობის ხის სანთლებით აფერადება, გა-კაშკაშება, ცეცხლის ბურთივით აფრიალება; დედო-ფალის მოკაზმა და მორთვა. ბაასი; ბავშების ჩვეუ-ლებრივი ყიჯინი, ერიამული, სირბილი და სხვა და სხვა. თვით უბრალო და ყოველ დღიურ მოვლენას ბავშვის ცხოვრებიდგან შიო ისეთის ხელოვნებით აგვაწერს, რომ დიდებშიაც იწვევს შეუკავებელს ჯანმრთელ და საღ სიცილს და ამ-სთანავე ესთე-ტიურადაც გვატკბობს. ამ მხრივ შეუდარებელი ლექი: „პატარა შალვა“

„რთდესაც დედა უფრთს შეიძს  
გულშეურგადედა დოცავდა,  
ტახტზე შისივე პატარა  
ბოთლის გარშემო ცოცავდა.

და ებლაუჭა, აგორა,  
იმდენს ხანს ითვათიალა,  
რომ ბოთლის ფეხზე წამოდგა  
და ბოთლიც აატრიალა.

ხელს ადარ უშვებს, შესცინის  
ანჯლრევს, აწვალებს ცქრიალა,

ბოლოს თავი შეძერა, უერთდ  
იჭებს, დაიგრიადა.

ბოლი ავარდა, შეშხება  
წერი ამოდის, ჩერიალებს,  
ძირს ვეღარ ჯდება ჰატარა,  
შეშინებული ღრიალებს.

დედა ხარხარებს, ბავშვებიც  
სიცილით იხთცებიან:  
„ოქენი აღგა შალიკოშ“,  
ერთმანეთს უებნებიან.

იცინის მთელი ოჯახი,  
ურამულია, უვირილი,  
შალვა ფეხზე დგას, ძირს ისმის

მისი უმანკო ტირილი. („ჭეჭ.,“) 1895, №1).

შიოს აქვს შედარებით მოზრდილი პოემები,  
ზღაპრები, ამბები, „სამი ცელქი“. ოქროს თავთავი, “  
„ძუნწი და ნატვრა.“ და სხვა. მგოსანს საზოგადოდ  
უფრო ნაკლებ ეხერხება გრძელი, შედარებით დი-  
დი ნაწარმოების შექმნა. როცა იგი ხელს კიდებს  
ისეთს ნაწარმოებს, მას ჩვეულებრივ მდიდარი და  
ლალი ქართული უწყებს ძვირობას: მისი რითმა ჰყარ-  
გავს ჩვეულებრივს მუსიკალობას, სურათები მკრთალ-  
დება და მთლიად ნაწარმოები არ ახდენს. სრულ  
პოეტურს შთაბეჭდილებას. ავილოთ, მაგალითად,



პოემა „ძუნწი“. ჯერ ერთი, ამ ნაწარმოებში ჰქონდა სუსტობს იმაში. რაშიაც ის ჩვეულებრივ ძლიერია ე. ი. ფსიქოლოგიურ ანალზში. დახასიათება ძუნწობისა ამ ნაწარმოებში ტრაფარეტულია, ზოგადი და უფერული. გარდა ამისა თვით ფაბულა პოემისა მოსაწყენია: ის ბავშვებს ვერ დააინტერესებს, მით უმეტეს ვერ გაიტაცებს. ენა პოემაში ალაგალაგ შესამჩნევად მკრთალია: ლექსიც კოჭლობს ჩანდახან მოუხეშავ ლექსებსაც შეხვდებით. აი, მაგ. ნიმუში: „ჩემთა ცოდვათ მონანება, რომ მოვინან, მაშინ ჩემზედ, დე ასრულდეს უფლის ნება.“ ერთი სიტყვით, ეს პოემა ყოველ მხრივ ასეთი სუსტია, რომ ღირსი არ არის შიოს სახელის ტარებისა.

მეორე პოემა „ნატვრა“ კარგად მოფიქრებული და ლამაზიად შესრულებული ნაწარმოებია. ის ბავშვებსაც ასიამოკნებს და დიდებსაც. ფსიქოლოგიური ანალიზი აქ შიოსებურია. ნინიას გრძნობა-სურვილის ცვალებადობის აღწერა ბუნებრივად და მხატვრულად არის შესრულებული. დედა-აზრი ასეთია გატარებული: სიმდიდრე, დიდკაცობა თავისთავად არაფერს ღირებულებას წარმოადგენს, თუ მათ თან სდევს უკძაყოფილება. ნინიას ცხოვრების ფილოსოფია, გამოხახულია შემდეგს სიტყვებში: „რა იქამდისინ მქონია, ახლაც დავემყარები“, საყურადღებოა, პოემაში შეგხვდებათ საუცხოვო აღწერა სოფლის სურათებისა, მაგ.:

„ნახირიც მოდის, მორბიან



ტუსტუს-ღრუტუნით ღორები,  
ბაჭებს იკლებენ ბდავილით  
დედისთვის ჩვილი ხმოები.“ და სხვა.

„სამი ცელქი“ საინტერესო და სახალისო წიგნია. აქ მოთავსებულს სამს ლექსში („გოგია“, „ვანო“ და „თამრო“) ყველაზე კარგია, როგორც შინაარსით, ისე ფორმით „ვანო“. შიო ამ ლექსში ნათლად გვიხატავს იმას, თუ როგორ იმონავებს ადამიანს, განსაკუთრებით ნორჩს ბავშვს, ერთხელ შეძენილი ჩვეულება. თვით ულრმესი დედის სიყვარული, მისი მუდმივი ყურადღება-მზრუნველობა და გულში ჩამწდომი დარიგებაც უძლურია ჩვეულების ძლიერების წინაშე. ტკბილი, ღრმა და გულის ამჩუ-ყებელი დედობრივი სიყვარულითაა გაფლენთილი შემდეგი ადგილი ამ ლექსისა:

„შვილი! — უთხრა ერთხელ დედამ,  
დაგედების შობილს მტრადა,  
ნე დამადნე შენის ფიქრით,  
ადარ გიყვარი განა დედა?

თუ მიდინარ, კადეც მოდი,  
მთიგთნე ბინა, ჭერი,  
აფინება როდი ვარგა!  
რიგათ უნდა ჰველაფერი,

—  
ერთხელ არის, ჩემთ კარგო,  
შებემთხვევა რამე კარზე;

არ იცი, რომ უთქვაშოთ ძგეღვებს,  
 „გატედებით კოპა წეალზე.“

და მე მაშინ, თმა ქთხილებებს,  
 ჩემთ ჩიტო, ჩემთ გროტო,  
 ხომ სიცოცხლით დავიღუშე,  
 დედის გულის მარცალიტო...

შეიდო! რაგი და ეწევები  
 მუდამ გარეთ სიარულსა,  
 სკოდაში რომ მიგაბარო,  
 გერ დაუდებ სწავლას გულსა.

გაგვეთიდზე გაიხსნები,  
 როგორ დარბის წეალში დატა  
 ან ციმრი, ან კალმახი,  
 ან ჭიჭინა, ან ნაფოტა;

გულისეური წაგეროშევა,  
 დაიგიწებ უკედავერსა,  
 მასწავლის შეჯავრდები,  
 დაგიძახებს ჭიჭა შტერსა.

და მე მაშინ მხოლოდ უნდა  
 გიტარო და გიგაზალო,  
 ან კადა — კადეს უნდა გდიო  
 და შედარით მოვიდალო.“



ვინ იცის, რამდენ ცელქ და ონავარ ბაქშუის  
თვის აუჩუყებია გული დედის ამ დარიგებას და სა-  
გონებელში ჩაუგდია?! რე ზომიერად, გონივრულად  
და თან მხატვრულად არის ამ დარიგებაში ჩაქსო-  
ვილი საღი პედაგოგიური პრინციპი!

ზღაპარი „ოქროს თავთავი“ შიოს ერთი საუ-  
კეთესო ნაწარმოებთაგანია. იდეა ამ ლექსისა (ადა-  
მიანი მუდამ კეთილი უნდა იყოს) ღრმა, ფორმა-  
შვენიერი, მხატვრული. ამ ლიდად შინაარსიანს  
ზღაპარს მუდამ ეჭნება აღმზრდელობითი მნიშვნე-  
ლობა: მასში სადად, ყველასათვის გასაგებად და თან  
განსაკვიფრებელის ხელოვნებით აღწერილია პრო-  
ცესი ადამიანის სულის თანდათან განსპეტაკება-გა-  
კეთილშობილებისა. სურათები ზღაპრებში ცოცხა-  
ლი და დამატებობელია, ენა-მკვეთრი. მკვირცხლი  
ზედმიწევნით მხატვრული; რითმა — საამო, ჰარმონიუ-  
ლი, მუსიკალური. მთელს ნაწარმოებს ამკობს იშ-  
ვიათი მხატვრული ზომიერება. შიგადაშიგ შეხ-  
ვდებით საუცხოვო აღწერას. აი, მაგალითად, აღ-  
წერა „პურის ანგელოზისა“:

— ეს სთქვა თუ არა, მიწაზე  
ხორბადმა გაიძირიადა,  
გადისნა, შეაგულიდაშ  
გამოძერა გოგო ცქრიადა!  
უაკაჩოს ტანისამოსი  
ტანს აღისთერად ებურა,  
გვირიდის წამლს, სხამზე

რექტანის ქუდი ეხურა.  
პატია იუთ გოგონა,  
ცეცხლის თვალებად ქრეალი,  
მოწევეტილს ვარსკვდავსა ჰიბაგდა  
ის დასაქცევი, „წეველი“.

შიო მღვიმელის შემოქმედების გაცნობამ ჩვენ  
იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ იგი ზედმიწევნით  
ნიჭიერი, გრძნობით აღსავსე, ცხოვრებაში ჩაკვირ-  
ვებული, სოციალურ ვითარებით დაინტერესებული  
ლარიბ-ლატაკების, ბედისაგან დაჩაგრულთა მექომა-  
ვე პოეტი და მოქალაქე; რომ ის ჰქმის თავის სა-  
უცხოვო ნაწარმოებს ძალაუტანებლად, სადად,  
ღვთაებრივ შთაგონებით წაჭეზებული და ადამიანის,  
კერძოდ სიუკეთესო მისი ნაწილის, — ბავშვების სი-  
ყვარულით გამთბარი და აღზგნებული. ამით აიხს-  
ნება ის იშვიათი მოვლენა, რომ შიოს ლექსებში  
ოქვენ ვერ მიჩვენებთ ვერცერთს იმისთანას; რომელსაც  
აკლდეს გრძნობა, მხატვრული სილამაზე, ბეჭედი  
შთაგონებისა, აღმაფრენისა. დიდის აკაკის და ილიას  
ლექსთა კრებულშიაც თქვენ შეხვდებით ბლომად  
იმისთანა ლექსებსაც, რომლებიც უბრალო დიდაჭ-  
ტიზმით და მშრალი მსჯელობით არის აღსავსე, რომ-  
ლებსაც სრულებით არა აცხიათ-რა პოეზიისა, აღმა-  
ფრენისა. შიოს ლექსებში ასეთს ფაქტს აღვილი არ  
აქვს. შიოს შემოქმედება და ნაყოფი ამ შემოქმე-  
დებისა — მისი ლექსები ისეთ შთაბეჭდილობას სტოვებს



მკითხველზე, რომ თითქოს მგოსნის გულში დასაცავისა და ანთებული და გაჩაღებული მხატვრული ცეცხლი არამც თუ ერთის წუთით არ ჩამქრალიყოს, არც კი ჩანელებულიყოს დროებით მაინც, რომ მას კალაპი ხელში არც ერთხელ ისე არ აულია, რომ არ ყოფილიყოს მხურვალე გრძნობით აღზნებული და წარმტაც შთაგონებით გატაცებული. ასეთი გატაცება ასეთი ნამდვილი მხატვრული ქურუმობა ეტყობა შიოს იმ ლექსებსაც, სადაც ჩვეულებრივი საბავშო სათამაშოები და ბავშური სიცელშე უდარდელობა აქვს აწერილი. მგოსნის ასეთი მუდმივი, შეუჩერებელი შემოქმედებითი აღზნება, სრულებით არ გამოისახება ამალლებულ და პათეტიურ ლექსებში, ფრაზათა და გამოთქმათა განსაკუთრებულს ელვარებაში, მოდლესასწაულე კილოში; პირიქით, შიოს პოეტური აღმაფრენა იფრქვევა ნაზ, მომხიბლავ და დამტკბობ მარგალიტებად, იმოსება სადა, უბრალო, მაგრამ საამო, ლამაზი, ძვირფასი სამოსელით, რომელიც იშვიათად გახუნდება და შნოს დაკარგავს.

შიოს შემოქმედება არა ჰეგავს მხის ძლიერ ბრწყინვალებას, მის უკვდავ სხივთა ლაპლაპს, იგი მოგვაგონებს ნაზად მოკაშვაშე მოვარის სხივოსნობას, მისი საამო სხივთა ფრქვევას მოწმენდილ ცის კიდურზე. მისი მუზა „ვარდ-ყვავილებს ჰკოცნის ნაზად“; მისა აღმაფრენა „ნელი სიოსავით ფრთა-გაშლილი შიდის, მიდის და ჩურჩულებს“; მისი შემო-



ქმედების ზედაპირი „ოდნავ ტოკავს, ოდნავ ქვეყანას“<sup>3</sup>, მაგრამ ქვეყანას და ქვეყნის ცხოვრებას „იგი დილის სარკედ ხმარობს და შიგ თავის სახეს ფერავს“; მისი ზღვა გრძნობა „დაბლა ქვეყნად სხივებს ქსელავს“<sup>4</sup> და რაც ნაზი და ლამაზია ქვეყანაზე „გრიგალივით არა სთელავს“ („ჯეჯ“, 1913 №4). ერთი სიტყვით, შიო სულ არა ჰგავს ზოგიერთ პოეტებს, ტევა-ბუზდუნ ჩვეულებსა, შლეგიანებს, ფეთიანებს, მუდამ გადარეულებსა.<sup>5</sup> (შიოს სიტყვებია). შიოს პოეზია საღია, ძალოონით სავსე, იმედიანი, კმაყოფილი, ლალი, ხალისიანი. სასოწარკვეთილობას, უიმედობას, ჭმუნვას, ოხვრას და კვნესას თითქმის ადგილი არა იქვს მის შემოქმედებაში. ეს მით უმეტეს საყრადლებოა, რომ პირადი ცხოვრება ჩვენი მგოსნისა, როგორც ყველამ ვიცით, უკადურეს სიღარიბის და სხვა მიზეზთა გამო, არა სასურველს და ძნელს პირობებში მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს. უსახსრო და ცხოვრებასთან ბრძოლით მოქანცული მგოსანი მაინც მხნედ ვაიძახის:

„რა ვქნა, რომ არ მაქვს შემწვრები,  
გთქი და ინდოურები?  
ამისთვის უნდა დავდონდე  
და ჩამოვეარო ეურები?  
ჯანით და ღონით საჭირო ვარ,  
მე ბედს არ დავემდურები.  
ვაცი არ უნდა დაღონდეს  
ერთის წამხდარი ჟამითა,



— რას გეგარგავ, შარბათს რომ არ ვსუამ ბიბლიოთეკი  
მიწის წკრიალა ჯამით.,  
მხიარული მეუკს ცოდნებილი,  
ბედნიერი ვარ ამითა.  
რითი მჭობს ჭიმით მდიდარი,  
გულით არ საღი, სიცელი,  
უფაგრო, უცურ მარილო,  
უთვისცომით და უძლი,  
დარიბისათვის ხელმოკლე  
და ბაიუტმად ქრეული.  
„დარიბის დუქმა უკელას სჯობს“,

სიტყვის ჭირიმე ბრძნეულისა. („ნაკ.“ 1911 წ., №11).

შიოს პოეზია წმინდა და სუფთაა იხე, რო-  
გორც ბავშვის უმანქო სული; იგი საღია, როგორც  
ბავშვის გონება; იგი მომავლიანია, მომავლის შემ-  
ქმნელი, როგორც მოზარდი თაობა ბურჯი და სა-  
ძირკველი ჩვენის მომავალი ცხოვრებისა; იგი ნორ-  
ჩა და ნორჩადვე დარჩება საშვილ-შვილოდ, რად-  
განაც ბავშვთა სამყაროს ცხოვრების და ვითარების  
გამომხატველია. შიოს პოეზია არ დაბერდება, არ  
ვაკვდება, დრო და უამი მას ვერაფერს დაკლებს,  
ვინაიდგან მხოლოდ ის ბერდება და იცვლება, რაც  
თეორიის ზედგავლენითაა შექმნილი, რაც დღიურ  
ვარამით და-საჭიროებითაა გამოწვეული, რასაც მი-  
მართულების, პარტიის, კლასის იდეოლოგია ასა-  
ზრდოდებს. შიო-კი ყოველისავე მიმართულების გარე-

# შ ი ნ დ ა უ ლ ი შ ი ც დ ი გ ი პ ი

სტ.		დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
4	15	საიდუმლობას	საიდუმლოებას
"	32	მახსნელს	ამხსნელს
6	26	მესაიდუმლოედ	მესაიდუმლედ
8	13	პსიქოლოგიური	ფსიქოლოგიური
10	22	შესაძიშნავია	შესანიშნავია
15	17	გასაკვირველია	რა საკვირველია
16	24	ჩვენი მოხსენების	ჩვენი წერილის
21	1	"გველი ჭამიას" აღვილს	"გველი ჭამიას" იმ-ადგილს
21	2	თავთავებ	თავთავები
23	17	ბროლმკერდგულიანო	ბროლმკერდ-ყელიანო
24	24	იმედსაც	ისედაც
26	18	მოგვიტყუა	მიგვიტყუა
27	10	მოგვიშალა	გაგვიშალა
27	25	გადმოვლახე	გადმოვლესე
28	6	შემოგტრიალებდი	შემოგტრიალებდი
29	1	შეიძლება	შეუძლებელია
33	11	ბავშვებს	ბავშვებს
36	6	შიოს აქ უშვენიერესი	შიოს აქვს უშვენიერესი
36	9	მონაწერები	ამონაწერები.
38	15	მას	მათ
39	22	დილით	ნათლად
41	6	დილა	ლილა
43	22	გაზვურებს	დაგვაურებს
44	15	მათზე	იმათ
48	23	ჩემი ყვინჩილ მამლისა	ჩემ ყვინჩილ-შამიალსა
59	9	გავტიე	გაუტიე
62	2	მივისმინეთ	მოვისმინოთ.
63	18	ნინოს	ნინას
63	23	ოთნობაზე	ოინბაზობას
66	10	პოტი	პოეტი.

67	5	მშრობელ	მშრომელ
69	26	ჯაგარი	ჯავარი
71	19	არ	არა,
81	10	მტრედი	ტოროლა
82	11	ცქვიტი	ცქიტის
82	22	მოუმშადოს	მოუწიდოს
84	11	ლოგინში	ლიმილში
85	1	ნეტამც გამაგებინა	ნეტამც არ გამაგებინა
88	26	მიველ და მოველ	მივლე და მოვლე
88	24	სრულა-სრულები	სრელა-სრელები
96	8	შვილისა	შველისა
101	12	ხელმწიფების	ხელემწიფების
110	1	ფრთა-ჩანასკული!	ფრთა-ჩანასკულ!
110	4	შენ ნატვრაც	შენც ნატვრა
110	15	თუმცა	თავიც
110	16	სინდისი	სიხსილა
118	23	სამშობლოც	სამშობლოც
121	17	შეუდრებელი	შეუდარებელია
121	22	ან	ამ
122	16	გადევლო	გადაევლო
125	13	ძირს	შირის
126	23	გამოსახულია	გამოსახული
127	18	დაგედების	დაგედევი
128	22	ერთხელ	ერთხელც
128	22	კედი-კიდე	კუდი-კუდს
129	9	ღრმა	ღრმაა
131	6	არც ერთხელ ისე, არ	არც ერთხელ ისე არ
		აულია რომ	აულია, რომ

